

დიმიტრი დოლაბერიძე

**TAPI-ის პროექტის პროგრესი
გაურკვეველ მომავალში**

**TAPI-ის პროექტის პროგრესი
გაურკვეველ მომავალში**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიმიტრი დოლაბერიძე

**TAPI-ის პროექტის პროგრესი
გაურკვეველ მომავალში**



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ძირითადი ტიპის ნაშრომი მოიცავს ანალიტიკურ სტატიებს და თვალსაზრისებს /კომენტარებს, იძლევა ფართო ხედვის და კრიტიკულად აზროვნების უნარს. აღნიშნული მასალის ხარისხი გამოადგება როგორც პროფესიონალ, ასევე ახალგაზრდა მკვლევრებს, რომლებიც მზად არიან მიიღონ გამოწვევები და გადანყვიტონ ისინი წარმატებული გზით.

რედაქტორი ზურაბ აბაშიძე, პოლიტიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი გიორგი კვინიკაძე, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება, გეოგრაფიის დოქტორი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017

ISBN 978-9941-13-616-0 (pdf)

შინაარსი

| | |
|--|----|
| შემოკლებანი ----- | 7 |
| რუკები ----- | 9 |
| გრაფები ----- | 10 |
| სურათები ----- | 10 |
| წინათქმა ----- | 11 |
| მომგებიანი ვაჭრობა ცენტრალურ აზიასა და | |
| სამხრეთ აზიას შორის ----- | 13 |
| ძირითადი საკითხები ----- | 13 |
| მთავარი აქტორები ----- | 14 |
| თურქმენეთი ----- | 15 |
| ავღანეთი ----- | 16 |
| პაკისტანი ----- | 18 |
| ინდოეთი ----- | 21 |
| ირანი ----- | 24 |
| ყირგიზეთი ----- | 25 |
| ტაჯიკეთი ----- | 27 |
| ევროკავშირი ----- | 29 |
| რუსეთი ----- | 31 |
| ყაზახეთი ----- | 34 |
| ჩინეთი ----- | 36 |
| შესავალი ----- | 39 |
| 1. TAPI-ის პროექტის ისტორია და დასაწყისი ----- | 41 |
| 1.1. ისტორია ----- | 42 |
| 1.2. ალტერნატივები ----- | 45 |
| 1.3. სირთულეები ----- | 46 |
| 1.4. შედეგები ----- | 53 |
| 2. TAPI-ის მილსადენი: რატომ რჩება მხოლოდ, როგორც მილსადენის ოცნება? ----- | 57 |

| | |
|--|-----|
| 2.1. უსაფრთხოების საკითხები ----- | 58 |
| 2.2. გეოპოლიტიკური კონტექსტი ----- | 62 |
| 2.3. პროექტის ეკონომიკა ----- | 64 |
| 2.4. პროექტის წარუმატებლობა ----- | 68 |
| 2.5. პროექტის უპირატესობების ანალიზი ----- | 70 |
| 2.6. წინააღმდეგობების გორგალი და TAPI ----- | 73 |
| 2.7. უსაფრთხოების სფერო ----- | 74 |
| 2.8. არაუსაფრთხო გაზსადენი! ----- | 77 |
| 2.9. დასკვნა ----- | 88 |
| 3. ცენტრალური და სამხრეთ აზიის ელექტროენერჯის გადაცემის პროექტი (CASA-1000) ----- | 90 |
| 3.1. მოვლენები ----- | 91 |
| 3.2. გამონვევები და რისკები ----- | 92 |
| 3.3. შეჯამება ----- | 96 |
| 4. ირან-რუსეთის კონკურენციის პერსპექტივები ევროპის გაზის ბაზარზე ----- | 98 |
| 4.1. ირანი, როგორც მთავარი პოტენციური მიმწოდებელი -- | 100 |
| 4.2. საშინაო (შიდა) გაზის რეგულირების პერსპექტივა: ირანი, როგორც არშემდგარი ექსპორტიორი ----- | 107 |
| 4.3. რუსეთისა და ირანის კავშირების ხელახლა განსაზღვრა ----- | 110 |
| 4.4. დასკვნა ----- | 114 |
| 5. განახლებები ინდოეთში: მიმდინარე სამუშაოები ----- | 116 |
| 5.1. ინდოეთის ელექტროენერჯის წარევი (მიქსი) ----- | 117 |
| 5.2. მიზნები ----- | 118 |
| 6. განახლებადი ენერგეტიკული რესურსების (RES-ის) მეთვალყურეები ----- | 122 |
| 6.1. პოლიტიკა და დაგეგმვა ----- | 125 |
| 6.2. შეფასება: პრობლემები ----- | 127 |
| 6.3. შეფასება: დადებითი ----- | 131 |
| 6.4. დასკვნა ----- | 133 |
| გამოყენებული ლიტერატურა ----- | 135 |

შემოკლებანი

1. ADB – აზიის განვითარების ბანკი.
2. GSPA – გაზის გაყიდვების ნასყიდობის ხელშეკრულება.
3. HCA – მასპინძელ ქვეყანასთან შეთანხმება.
4. SPCC – სპეციალური დანიშნულების კონსორციუმის კომპანია.
5. TA – ტექნიკური დახმარება.
6. TAPI – თურქმენეთის-ავღანეთ-პაკისტანის ინდოეთის ბუნებრივი გაზის მილსადენი.
7. TWG – ტექნიკური სამუშაო ჯგუფი.
8. FTF – მომავალი სატრანსპორტო სანჯავი.
9. FWPCA – ფედერალური წყლის დაბინძურების კონტროლის აქტი.
10. GDP – მთლიანი შიდა პროდუქტი.
11. kWh – კვტ. სთ.
12. RFF – მომავლის რესურსები.
13. ROZ – ნარჩენი ნავთობის ზონები.
14. RTO – რეგიონული ელექტროგადაცემის ოპერატორები.
15. 1 ბარელი = 42 აშშ გალონს = 159 ლიტრს.
16. 1 კუბი ფუტი = 0.0283 კუბა მეტრი (m^3), 1 კუბა მეტრი = 35.314 კუბი ფუტი (ft^3).
17. EDB – ევრაზიის განვითარების ბანკი.
18. EBRD – ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი.
19. EIB – ევროპის ინვესტიციის ბანკი.

რუკები

- რუკა 1** ევრაზიის ნავთობის და გაზის დერეფნები (გვ. 14)
- რუკა 2** თურქმენეთის პოლიტიკური რუკა (გვ. 15)
- რუკა 3** ავღანეთის პოლიტიკური რუკა (გვ. 17)
- რუკა 4** პაკისტანის პოლიტიკური რუკა (გვ. 19)
- რუკა 5** ინდოეთის პოლიტიკური რუკა (გვ. 22)
- რუკა 6** ინდოეთის ეკონომიკური რუკა (გვ. 23)
- რუკა 7** ირანის პოლიტიკური რუკა (გვ. 24)
- რუკა 8** ყირგიზეთის პოლიტიკური რუკა (გვ. 26)
- რუკა 9** ტაჯიკეთის პოლიტიკური რუკა (გვ. 28)
- რუკა 10** ევროკავშირის პოლიტიკური რუკა (გვ. 30)
- რუკა 11** რუსეთის პოლიტიკური რუკა (გვ. 32)
- რუკა 12** ყაზახეთის პოლიტიკური რუკა (გვ. 35)
- რუკა 13** ჩინეთის პოლიტიკური რუკა (გვ. 37)
- რუკა 14** სამხრეთ აზიის მილსადენები (გვ. 47)
- რუკა 15** პაკისტანის პოლიტიკური რუკა (გვ. 51)
- რუკა 16** ცენტრალური აზიის უახლესი გაზის მილსადენები (გვ. 52)
- რუკა 17** ჩინეთი აფართოებს გაზის პოლიტიკის ექსპანსიას (გვ. 53)
- რუკა 18** ზღვისქვეშა მილსადენი ირანიდან ინდოეთში (გვ. 66)
- რუკა 19** თურქმენეთის დარეზერვებული გაზის გახსნის პერსპექტიული პროექტები (გვ. 83)
- რუკა 20** არსებული და დაგეგმილი გაზსადენი დერეფნები (გვ. 87)
- რუკა 21** შიდროელექტრო ენერჯია გადამცემი ხაზით (გვ. 90)
- რუკა 22** თალიბანის და ისლამური სახელმწიფოს ადგილმდებარეობა ავღანეთში (გვ. 97)
- რუკა 23** სამხრეთ ნაკადის გაზსადენის დაგეგმილი მარშუტი რუსეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში (გვ. 99)

- რუკა 24** მთავარი ბუნებრივი გაზის მილსადენის ტრანზიტი (გვ. 100)
- რუკა 25** ომან-ირანის წყალქვეშა გაზსადენის დერეფნის ტენდერი (გვ. 103)
- რუკა 26** შემოთავაზებული ნაბუკოს გაზის მილსადენი (გვ. 105)
- რუკა 27** თურქეთის მილსადენი (გვ. 114)
- რუკა 28** ინდოეთის ულტრა მეგა ელექტრო სადგურები (გვ. 125)

გრაფები

- გრაფა 1** გაზით მდიდარი ქვეყნების სია (გვ. 48)
- გრაფა 2** თურქმენეთის უდიდესი ბუნებრივი აირის საბადოები (გვ. 55)
- გრაფა 3** ენერჯის მოხმარება და იმპორტი (გვ. 104)
- გრაფა 4** დენის საზომი კონვერტაცია (გვ. 118)
- გრაფა 5** კლიმატის ცვლილება 2016 წლისთვის (გვ. 123)

სურათები

- სურათი 1** თურქმენეთმა დაასრულა EWP პროექტი (გვ. 56)
- სურათი 2** ბუშერის ატომური ელექტროსადგური ირანში (გვ. 112)
- სურათი 3** მზის ენერჯის სადგურების განვითარება ინდოეთში (გვ. 120)
- სურათი 4** მდინარე განგის დღევანდელი სახე (გვ. 129)
- სურათი 5** ტკბილეულის მწარმოებელი ჰალდირამის ქარხანა ნანგპური/ინდოეთი (გვ. 132)

წინათქმა

რეგიონის გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მდებარეობა აკავშირებს ცენტრალური და სამხრეთ აზიის ქვეყნებს. ეს ნაშრომი შეისწავლის თუ რამდენად რეალურია არა მხოლოდ TAPI-ის, არამედ სხვა პროექტების განხორციელება და სავაჭრო-სატრანზიტო რეგიონად გარდაქმნა.

კვლევამ აჩვენა, რომ თუ ცენტრალური და სამხრეთ რეგიონები ისარგებლებენ მისი ადგილმდებარეობით და ეკონომიკური პოტენციალით შესაძლებელია საბოლოოდ გადაიქცნენ სავაჭრო-სატრანზიტო რეგიონად, თუ იგი

- (i) სათანადო ყურადღებას მიაქცევს, მისი რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე სტაბილურ და დაბალანსებულ სავაჭრო ურთიერთობათა პოლიტიკას;
- (ii) გადახედავს მის ორმხრივ სავაჭრო-სატრანზიტო შეთანხმებებს;
- (iii) ხისტი და რბილი მიდგომით ააშენებს და გააუმჯობესებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას;
- (iv) შეამცირებს ბიუროკრაციას და კორუფციას;
- (v) სათანადოდ გააუმჯობესებს საერთო უსაფრთხოებას.

მინდა მაგალითად გადავუხადო კომპლექსური კვლევის ცენტრის მთლიან კოლექტივს მათი დაუღალავი ძალისხმევითვის. განსაკუთრებულ მაგალითად ვუხედი პროფესორ ჯონ ფოსტერს (John Foster), რომელმაც ჩაატარა მნიშვნელოვანი ლექციები ქვინსლანდის უნივერსიტეტში. მაგალითად ჩემს ხელმძღვანელს პროფესორ, ვაჯა ლორთქიფანიძეს, რომელიც ხელმძღვანელობდა და მეხმარებოდა ამ ნაშრომის სრულყოფისთვის. ასევე, ყველა ცნობილ ეკონომისტს, მეცნიერსა და ბიზნესმენს, ვინც მომცა ექსკლუზიური ინტერვიუები. უდიდესი მაგალითია მინდა გადავუხადო სა-

ქართველოში თურქმენეთის საელჩოს წარმომადგენლებს – ელჩს დოვლეტმურატ მურატოვს, კონსულს კაკაბაი დურდიევს და ყაზახეთის საელჩოს წარმომადგენლებს – პირველ მდივანს დანიალ ტოისჭუბეკოვს და ელჩის მრჩეველს სერიკ ოსპანოვს. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებს ანანო მოდებაძეს, სოფო ტალიაშვილს და თათია დარსალიას გვერდში დგომისთვის და რჩევებისთვის. რომ არა თქვენი იდეებით დახმარება, შეუძლებელი იქნებოდა ამ ნაშრომის დასრულება.

მომგებიანი ვაჭრობა ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ აზიას შორის

ძირითადი საკითხები

- მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ აზიას ენერჯის ექსპორტის დიდი შესაძლებლობა აქვს, იგი მაინც არასათანადო ეკონომიკური მდგომარეობით ხასიათდება, რაც გამოწვეულია საექსპორტო ბაზრის წვდომის ხარვეზებით. თავის მხრივ, სამხრეთ აზია წარუმატებელია მდგრადი განვითარებისა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი ნაწარმით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც გამოწვეულია რეგიონში მიმდინარე ენერჯის ხარვეზებით. ამგვარი დანაკლისი განპირობებულია მოსახლეობისა და ეკონომიკური აქტივობების ზრდით, რომელთაც ყოველთვის არ მივყავართ ენერჯის უფრო ეფექტურ მოხმარებამდე. ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ აზიას ამ მდგომარეობის სასარგებლოდ შეცვლა შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუკი მოახერხებენ შეთანხმებას ენერჯის თაობაზე. გეგმაშია ორი ამგვარი მიმდინარე პროექტი: TAPI-ის ბუნებრივი აირის მილსადენი და CASA-1000 ელექტროენერჯის გადაცემის ხაზი, თურქმენეთიდან გაზის ექსპორტირებისათვის, ასევე, ტაჯიკეთიდან და ყირგიზეთიდან ელექტროენერჯის ექსპორტი ინდოეთში, პაკისტანსა და ავღანეთში.
- დადებით მხარედ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორივე პროექტი გამყარებულია ფართო საერთაშორისო მხარდაჭერითა და დაფინანსებით. მთავარ რეგიონულ მოთამაშეებთან ერთად, პროექტში ჩართულები არიან აზიის განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი, ისლამური განვითარების ბანკი, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისათვის. უკანასკნელ წლებში, მიუხედავად გარკვეული შეფერხებისა, CASA-1000-ის ამოქმედება მოსალოდნელია 2016 წელს, ხოლო TAPI-ის პროექტისა – 2017 წლისთვის.



რუკა 1. ევრაზიის ნავთობის და გაზის დერეფნები

https://www.google.ge/search?q=caspian+sea+gas+pipeline+to+europe&safe=active&source=Inms&tbnm=isch&sa=X&ved=0ahUKewib4tvPrZrTAhViAZoKHCNMB-sUQ_AUIBigB&biw=1242&bih=557#imgrc=Yk2scXEMpDoaCM

- მიუხედავად ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერისა, ორივე პროექტი აწყდება ისეთ წინააღმდეგობებს, რომლებმაც შეაფერხეს მათი განხორციელება რამდენიმე წლით. ანალიტიკოსების თქმით, TAPI-ის პროექტის რეალიზების მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს უსაფრთხოების ნაკლებობა, ასევე, პრობლემას ქმნის CASA-1000-ის ნაკლებად ვრცელი გადამცემი ხაზი. დაინტერესებული მხარეები შიშობენ, რომ უსაფრთხოების არარსებობის შემთხვევაში, ამგვარი მრავალმილიარდიანი პროექტი შესაძლოა დაიტაცონ მეამბოხეებმა გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით.

მთავარი აქტორები:

თურქმენეთი, ავღანეთი, პაკისტანი, ინდოეთი, ირანი, ყარგიზეთი, ტაჯიკეთი, ევრო კავშირი, რუსეთი, ყაზახეთი, ჩინეთი.

საკვანძო სიტყვები: ენერჯის წყაროები, განახლებადი ენერჯის წყაროები, გაზის მილსადენები, პარტნიორობა.

თურქმენეთი

თურქმენეთი – ქვეყანა ცენტრალურ აზიაში. ესაზღვრება აღმოსავლეთით ავღანეთს და სამხრეთით ირანს, ჩრდილოეთით ყაზახეთს და უზბეკეთს, დასავლეთით ესაზღვრება კასპიის ზღვა. გაეროს წევრია 1992 წლის 2 მარტიდან. ქვეყნის დედაქალაქია აშხაბადი. ვალუტა – თურქმენული მანათი. მოსახლეობა – 5.6 მილიონი. ეს არის ნეიტრალური სახელმწიფო. ოფიციალური ენები – თურქმენული და რუსული.

ესაა სეკულარული სახელმწიფო, საპრეზიდენტო რესპუბლიკით. თურქმენეთის პრეზიდენტია გურბანგული ბერდიმუჰამედოვი. იყოფა 6 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად, რომელთაგან 5 ვალაიათია, 1 ქალაქის უფლებებით ვალაიათია.

თურქმენეთი ბუნებრივი გაზის მარაგით მეოთხეა მსოფლიოში. 1993 წლიდან მოყოლებული, თურქმენეთის მოსახლეობა მოიხმარს უფასო ელექტროენერგიას, წყალს და გაზს, რომლის ანალოგი მსოფლიოში შეუდარებელია.



რუკა 2. თურქმენეთის პოლიტიკური რუკა

<http://reflectim.com/destinations/turkmenistan-country/>

ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1991 წლის 27 ოქტომბერს.

საინტერესო ფაქტები:

1. სახელი თურქმენეთი მომდინარეობს სპარსული ენიდან და ნიშნავს „თურქმენის მიწას“.
2. ყარაყუმის უდაბნო ქვეყნის თითქმის 80%-ს ფარავს.
3. ყარაყუმის საირიგაციო არხი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელია 1100 კმ.
4. 2008 წლისთვის თურქმენეთის 100% ზრდასრული წიგნიერია.
5. ერთ-ერთი პროექტი ყოფილ პრეზიდენტს საფარმურატ ნიაზოვს ეკუთვნის „სათხილამურო კურორტის შექმნა თოვლის გარეშე“.
6. თურქმენეთში გაზი უფასოა. ასე რომ, ზოგიერთ მოქალაქეს ურჩევნია ღუმელი ჩართული დატოვოს 24/7, რათა თავიდან აიცილოს ასანთის ყიდვა.

ავღანეთი

ავღანეთი – ოფიციალურად ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა არის ჩაკეტილი ქვეყანა. მდებარეობს სამხრეთ აზიაში და ცენტრალურ აზიაში. მისი მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 33.5 მილიონს, ამით 40 ყველაზე დასახლებული ქვეყნის სიაში შევიდა. სამხრეთით და აღმოსავლეთით ესაზღვრება პაკისტანი; ჩრდილო დასავლეთით – თურქმენეთი, დასავლეთით – ირანი, ჩრდილოეთით – უზბეკეთი და ტაჯიკეთი. ჩინეთი კი უკიდურეს ჩრდილოეთით. მისი ტერიტორია მოიცავს 652.000 კმ², რითაც 41-ე უდიდესი ქვეყანაა მსოფლიოში.

ავღანეთში პირველი ადამიანის გამოჩენა საცხოვრებლად თარიღდება შუა პალეოლითის ხანაში. ქვეყნის სტრატეგიული ადგილმდებარეობა აბრეშუმის გზის გასწვრივ აკავშირებდა კულტურებს, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის და აზიის სხვა ნაწილებს.

ავღანეთის თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორია დაიწყო ჰოტაკ და დურანის დინასტიების პერიოდში მე-18 საუკუნეში. მე-19 საუკუნეში, ავღანეთი გახდა „დიდი თამაშის“ ბუ-



რუკა 3. ავღანეთის პოლიტიკური რუკა

<http://www.lib.utexas.edu/maps/afghanistan.html>

ფერული სახელმწიფო ბრიტანეთის, ინდოეთის და რუსეთის იმპერიას შორის. მეფე ამანულაჰი (Amanullah) უშედეგოდ ცდილობდა ქვეყნის მოდერნიზაციას, მესამე ინგლის-ავღანეთის ომის შემდეგ 1919 წელს. 1970 წელს დაიწყო სამოქალაქო ომების მთელი რიგი, რამაც გაანადგურა ავღანეთის უდიდესი ნაწილი და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

საინტერესო ფაქტები:

1. ახალი წელი ავღანეთში, სახელწოდებით Nawroz, აღინიშნება 21 მარტს გაზაფხულის პირველ დღეს.
2. პოეზია ავღანელების კულტურის დიდი ნაწილია საუკუნეების განმავლობაში. ქალაქ Herat-ში ქალები, კაცები და ბავშვები იკრიბებიან ხუთშაბათს ღამით ძველი და ახალი პოეზიის გასაზიარებლად.

3. ოფიციალური ენა ავღანეთში სპარსული და პაშტოურია. ისინი საუბრობენ რამდენიმე სხვა ენაზეც, როგორცაა უზბეკური, ტაჯიკური და სხვა ეთნიკური უმცირესობების დიალექტები.
4. ავღანეთის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. ისინი აწარმოებენ დიდი რაოდენობით კულტურებს, რომლებიც საკმარისია არა მხოლოდ ხალხისთვის, არამედ საექსპორტოდაც. მწვანილი, ბოსტნეული, ხილი, ბრინჯი და კაკალი.
5. ავღანეთი მდიდარია ისეთი ბუნებრივი რესურსებით როგორცაა: რკინა, სპილენძი, ოქრო, გაზი და ნავთობი.
6. ავღანეთის ეროვნულ თამაშს ჰქვია ბუზკაში ან სხვა სიტყვებით – თხა-წაგლეჯა. ცხენოსანთა რაინდების ორი გუნდი ცდილობს მკვდარი თხის ცხენზე მოკიდებას და გაქცევას. თამაშის შედეგი შეიძლება ფატალურიც აღმოჩნდეს.
7. ავღანეთი ბრიტანეთიდან დამოუკიდებლობას ზეიმობს 19 აგვისტოს. ავღანეთი მართალია არ იყო ბრიტანეთის კოლონიის ნაწილი, მაგრამ ბრიტანელები ომით სამჯერ შეიჭრნენ ავღანეთში. 1919 წელს ავღანეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

პაკისტანი

პაკისტანი – ოფიციალურად პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა, წარმოადგენს ფედერალურ საპარლამენტო ქვეყანას სამხრეთ აზიაში. ეს არის მეექვსე ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა, სადაც მოსახლეობა 200 მილიონ ადამიანს აჭარბებს. ფართობის თვალსაზრისით ის არის 36-ე უდიდესი ქვეყანა მსოფლიოში, მოიცავს 881.913 კმ². პაკისტანს სამხრეთით აქვს 1,046 კმ სანაპირო საზღვარი არაბეთის ზღვასთან და ომანის ყურესთან, ესაზღვრება ინდოეთს აღმოსავლეთიდან, ავღანეთს დასავლეთიდან, ირანს სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო ჩინეთს უკიდურეს ჩრდილოეთით.

ტერიტორია, რომელიც ახლა წარმოადგენს პაკისტანს ითვლება ცივილიზაციის ჩამოყალიბების აკვნად, რადგანაც ადრეულ ხანაში განვითარდა რამდენიმე უძველესი კულტურა, მათ შო-



რუკა 4. პაკისტანის პოლიტიკური რუკა
<https://www.google.ge/ct=j&q=&esrc=s&source=images&cd=&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwj9zbGdtJrTAhUGshQKHWDGDAVMQjRwIBw&url=https%3A%2F%2Fwww.cia.gov%2Flibrary%2Fpublications%2Fresources%2Fcia-maps-publications%2FPakistan.html&bvm=bv.152180690,bs.2,d.d2s&psig=AFQjCN-FrfZYMs4-v7F3emEQ4sXugMH6Vw&ust=1491931421669132>

რის Mehrgarh – ნეოლითური და ბრინჯაოს ხანის ცივილიზაცია და მოგვიანებით მას მართავდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის და კულტურის ადამიანები, მათ შორის ინდუსები, ინდო-ბერძნები, მუსულმანები, თურქო-მონღოლები, ავღანელები და სიკები.

პაკისტანი არის უნიკალური მუსულმანურ ქვეყნებს შორის, რადგან ის არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც შეიქმნა ისლამის სახელით. მუჰამედ ალი ჯინას (ადვოკატი, პოლიტიკოსი, პაკისტანის დამაარსებელი) მოძრაობამ დააარსა 1947 წელს დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1971 წელს სამოქალაქო ომის შედეგად მას აღმოსავლეთ პაკისტანი გამოეყო და დაარსდა ახალი ქვეყანა ბანგლადეში.

პაკისტანი არის ფედერალური საპარლამენტო რესპუბლიკა, რომელიც შედგება ოთხი პროვინციისაგან და ოთხი ფედერალური ტერიტორიისგან. ეს არის ეთნიკურად და ლინგვისტურად მრავალფეროვანი ქვეყანა. პაკისტანი სამხედრო სიძლიერით მეშვიდე ადგილზე დგას მსოფლიოში და ასევე გააჩნია ბირთვული იარაღი. მას ნახევრად განვითარებულ ეკონომიკაში კარგად აქვს ინტეგრირებული სოფლის მეურნეობის სექტორი, მისი ეკონომიკა მსყიდველობითი თვალსაზრისით მსოფლიოში 26 ადგილზეა.

შემდგომი დამოუკიდებლობის ისტორია პაკისტანში ხასიათდება სამხედრო პერიოდით, პოლიტიკური არასტაბილურობით და კონფლიქტით მეზობელ ინდოეთთან. ქვეყანაში კვლავ გადაუჭრელი პრობლემებია, მათ შორის: ტერორიზმი, სიღარიბე, წერა-კითხვის უცოდინარობა და კორუფცია.

საინტერესო ფაქტები:

1. უმაღლესი მთათა სისტემა მსოფლიოში. მათ შორისაა ჰიმალაის და ჰინდუ კუშის სპექტრი, რომელშიც განლაგებულია თოთხმეტი უმაღლესი მწვერვალი მსოფლიოში. K-2 ცნობილია, აგრეთვე, როგორც Godwin-Austen ან Chhogori – მსოფლიოში მეორე უმაღლესი მწვერვალი, ასევე მდებარეობს პაკისტანში.
2. მსოფლიოში ყველაზე ღრმა საზღვაო პორტი. **Gwadar** პორტი უდიდესი ღრმა საზღვაო პორტია მსოფლიოში, მდებარეობს არაბეთის ზღვაზე, საზღვარი გადის ბალუჩისტანის სეპარატისტულ ტერიტორიაზე. ეს პორტი ითვლება რეგიონის ეკონომიკის მამოძრავებლად.
3. მარილის მინერალის მოპოვებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ის აწარმოებს 350,000 ტონა მარილს წელიწადში.
4. ერთ-ერთ უმსხვილესი უდაბნო მსოფლიოში. უდაბნო თარი (Thar) მდებარეობს პაკისტანის და ინდოეთის საზღვარზე. ეს არის მსოფლიოში მეცხრე უდიდესი სუბტროპიკული უდაბნო. ეს უდაბნოში დაახლოებით 10,000 წლის წინ წყლით ამარაგებდა Indus Valley ცივილიზაციას.

5. მსოფლიოში ყველაზე დიდი სარწყავი ქსელი დამუშავებულია პაკისტანში. იგი ემსახურება 14.4 მილიონი ჰექტარის სახნავ-სათეს მიწას. სარწყავი სისტემა იკვებება ინდუს მდინარით.

1998 წლის 28 მაისს პაკისტანი გახდა პირველი ისლამური ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანა, რომელმაც უზრუნველყო ქვეყნის დაცვა შესაძლო საგარეო საფრთხეებისგან.

ინდოეთი

ინდოეთის რესპუბლიკა არის აზიური ქვეყანა. ის განლაგებულია სამხრეთ აზიაში. ინდოეთის მოსახლეობა შეადგენს 1.2 მილიარდ (1,210,000,000) ადამიანს, რომელიც მოსახლეობის სიდიდით მეორეა მსოფლიოში. ეს არის ტერიტორიით მეშვიდე უმსხვილესი ქვეყანა მსოფლიოში.

ინდოეთის შვიდი მეზობელი: პაკისტანი ჩრდილო-დასავლეთით, ჩინეთი და ნეპალი ჩრდილოეთით, ბუტანი და ბანგლადეში ჩრდილო-აღმოსავლეთით, Myanmar აღმოსავლეთით და კუნძული შრი-ლანკა სამხრეთით.

ინდოეთის დედაქალაქი ნიუ დელია. ინდოეთი არის ნახევარკუნძული, შებოჭილი ინდოეთის ოკეანით სამხრეთით, დასავლეთით არაბეთის ზღვით და აღმოსავლეთით ბენგალის ყურით. ინდოეთი სამხედრო ძალის სიდიდით და ბირთვული იარაღით მესამეა მსოფლიოში. ინდოეთი თავის დასახელებას იღებს ბერძნული სიტყვიდან Indus.

ინდოეთის 2015-2016 წწ. მშპ-მ შეადგინა 7.6% და შედეგად, ის კვლავ რჩება მსოფლიოს ეკონომიკით ყველაზე სწრაფად მზარდი ქვეყანა. თუმცა, კვლავ მრავალი სოციალური და ეკონომიკურ საკითხები რჩება გადაუჭრელი, როგორცაა სიღარიბე და კორუფცია.

ინდოეთი არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) დამფუძნებელი წევრი და კიოტოს ოქმის ხელმომწერი.

ინდოეთი ენების სიმრავლით მეოთხე უდიდესი ქვეყანაა მსოფლიოში, მას უსწრებს პაპუა ახალი გვინეა, ინდონეზია და ნიგერია. ინდოეთში გაბატონებულია სხვადასხვა რელიგიები, მათ



რუკა 5. ინდოეთის პოლიტიკური რუკა

https://www.google.ge/l?sa=i&rct=j&q=&esrc=s&source=images&cd=&cad=rja&uact=8&ved=0ahUKewjmyNyLtpTAhXBVxoKHWnpC3cQjRwIBw&url=http%3A%2F%2Fwww.toptourguide.com%2Ftoptour-indiamap.htm&bvm=bv.152180690,d.d2s&psig=AFQjCNE-U84JucKjVrTE5Ex8jRaS_9jZzA&ust=1491932012155397

შორის ხუთი ყველაზე პოპულარულია ქრისტიანობა, ისლამი, ინდუიზმი, ბუდიზმი და სიქიზმი.

საინტერესო ფაქტები:

1. ინდოეთს ამჟამად არ აქვს ეროვნული ენა. თუმცა ოფიციალური ენებია ჰინდი და ინგლისური. ინდოეთის რეგიონებში 17 ძირითადი ენა და 844 დიალექტი გამოიყენება.



რუკა 6. ინდოეთის ეკონომიკური რუკა

http://www.huffingtonpost.in/2015/03/21/google-auto-complete-map-in-dia_n_6907764.html

2. ინდოეთი ადრეულ მე-17 საუკუნეში ბრიტანეთის შეჭრამდე იყო ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანა დედამიწაზე. ინდოეთი ჯერ კიდევ ძალიან მდიდარი ქვეყანაა მსოფლიო ბანკის კვლევით და მთლიანი შიდა პროდუქტით (მშპ) მეათეა.
3. ჭადრაკი გამოიგონეს ინდოეთში, ვისვანათ ანანდი ყოფილი ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონია.
4. ინდოეთი მე-6 უდიდესი და ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაა მსოფლიოში.

5. ინდოეთში ყველაზე ბევრი მეჩეთია აშენებული. მას გააჩნია 300,000 მეჩეთი, რომელიც ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მუსულმანურ სამყაროში.
6. ინდური რკინიგზა ყველაზე დიდი და ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია მსოფლიოში. აქ დასაქმებულია მილიონზე მეტი ადამიანი.

ირანი

ირანი, ასევე ცნობილი როგორც სპარსეთი, ოფიციალურად ირანის ისლამური რესპუბლიკა არის სუვერენული სახელმწიფო დასავლეთ აზიაში. დასავლეთით ესაზღვრება სომხეთს, დე-ფაქტო მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას და აზერბაიჯანს; ჩრდილოეთით – თურქმენეთი, აღმოსავლეთით – ავღანეთი და პაკისტანი, სამხრეთით – სპარსეთის და ომანის ყურეები, ჩრდილოეთით



რუკა 7. ირანის პოლიტიკური რუკა
<http://jupconline.com/map-of-iran-cities/>

– კასპიის ზღვა და დასავლეთით – თურქეთი და ერაყი. მოიცავს 1.648.195 კმ² მიწის ფართობს, ეს არის სიდიდით მეორე ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში და მე-18 მსოფლიოში. 78.4-მილიონიანი მოსახლეობით, ირანი მსოფლიოში მე-17 ყველაზე დასახლებული ქვეყანაა. ეს არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მდებარეობს კასპიის ზღვის და ინდოეთის ოკეანეს შორის. თეირანი ქვეყნის დედაქალაქი და ასევე ირანის წამყვანი ეკონომიკური ცენტრია.

ირანი წარმოადგენს მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციების მემკვიდრეს, რომლის ფორმირება დაიწყო 3200-2800 ჩვ.წ.აღ.-დან. ირანმა მიაღწია დიდ გეოგრაფიულ მოცულობებს კიროს დიდის 550 ჩვ.წ.აღ.-ის დროს. აქემენიდების იმპერიის დროს ის გაჭიმული იყო აღმოსავლეთ ევროპიდან ინდოეთის ველებამდე. იმპერია დაინგრა 330 ჩვ.წ.აღ. ალექსანდრე დიდის დამპყრობლობის შემდეგ.

ისლამი ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა 640 წელს. გვიან მე-18 და მე-19 საუკუნეებში, რუსეთთან კონფლიქტმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანაკარგები. 1906 სპარსეთის საკონსტიტუციო რევოლუციით შეიქმნა კონსტიტუციური მონარქია და ქვეყნის პირველი საკანონმდებლო ორგანო გახდა მეჯლისი. უცხოური მზარდი განსხვავებული აზრის გავლენამ და პოლიტიკურმა რეპრესიებმა 1979 წელს რევოლუციით დაამკვიდრა ისლამური რესპუბლიკა.

საინტერესო ფაქტები:

1. ირანი გახდა ისლამური ქვეყანა 1979 წლის 1 აპრილს.
2. ირანში ტრანსსექსუალს შეუძლია ჩაიტაროს სქესის შეცვლის ოპერაცია ბოლო წლებში მიღებული კანონის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსსექსუალთა ქორწინება ჯერ კიდევ უკანონოდ ითვლება.
3. ირანი ცნობილია ნავთობის და გაზის ექსპორტით. აგრეთვე მისი ძირითადი ექსპორტია pistachio და ზაფრანა რომელიც მესამე ადგილზე გადის.
4. ირანის ოჯახებს ეკრძალებათ სატელიტური ტელევიზია.

ყირგიზეთი

ყირგიზეთი, ოფიციალურად ყირგიზეთის რესპუბლიკა არის ჩაკეტილი ქვეყანა და მდებარეობს ცენტრალურ აზიაში. მას ესაზღვრება ყაზახეთი ჩრდილოეთით, უზბეკეთი დასავლეთით, ტაჯიკეთი სამხრეთ-დასავლეთით და ჩინეთი აღმოსავლეთით. მისი დედაქალაქი და უდიდესი ქალაქი არის ბიშკეკი.

ყირგიზეთის ისტორია მოიცავს 2000-ზე მეტ წელს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კულტურებს და იმპერიებს. ყირგიზეთი ისტორიულად როგორც აბრეშუმის გზის ნაწილი რამდენიმე დიდი ცივილიზაციების გზაჯვარედინზეა აღმოცენებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წლის 31 აგვისტოს ყირგიზეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ყირგიზეთი უკვე ოფიციალურად გადაიქცა უნიტარულ საპარლამენტო რესპუბლიკად.



რუკა 8. ყირგიზეთის პოლიტიკური რუკა

<http://www.nationsonline.org/oneworld/map/kyrgyzstan-political-map.htm>

საინტერესო ფაქტები:

1. მანასი: იყვნენ მეომრები, რომლებმაც გააერთიანეს ყირგიზეთი. უდავოა, რომ ისინი ქვეყნის ყველაზე პოპულარული ხალხური გმირები არიან. ქუჩები, ქანდაკებები, უნივერსიტეტები, რადიოსადგურები, ეროვნული პარკები მის სახელს ატარებენ. ყირგიზეთის ძირითად აეროპორტსაც მანასის საერთაშორისო აეროპორტი ჰქვია.
2. ხელის ჩამორთმევა: ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ყირგიზეთის კულტურაში.
3. სისუფთავეს ხალხისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია ყოველთვის გაიხადოთ ფეხსაცმელი, სანამ ფეხით შეხვალთ ვინმეს სახლში.
4. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ბიშკეკი არის ყველაზე გამწვანებული ქალაქი, შესაძლოა ერთ-ერთიც მსოფლიოში. ბიშკეკის ყველა ქუჩა ფართოა და გაფორმებულია ხეებით და ბუჩქებით, რაც რეალურად ძალიან ლამაზად გამოიყურება.

ტაჯიკეთი

ტაჯიკეთი, ოფიციალურად ტაჯიკეთის რესპუბლიკა წარმოადგენს მთიან, ჩაკეტილ ქვეყანას ცენტრალურ აზიაში, დაახლოებით 8,7 მილიონი ადამიანით და 143.100 კმ² ფართობით მდებარეობს 101-ე ადგილას. ესაზღვრება სამხრეთით ავღანეთს, უზბეკეთს დასავლეთით, ყირგიზეთს ჩრდილოეთით და ჩინეთს აღმოსავლეთით. ტაჯიკი ხალხის თანამედროვე განლაგება მოიცავს დღევანდელ ტაჯიკეთს, ავღანეთს და უზბეკეთს.

ტაჯიკეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ტაჯიკეთი არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომელიც შედგება ოთხი პროვინციისგან. ტაჯიკეთის 8 მილიონი ადამიანი ეკუთვნის Tajik ეთნიკური ჯგუფს, რომლებიც საუბრობენ Tajik-ურზე (დიალექტი სპარსული). ბევრი ტაჯიკისთვის რუსული მეო-



რუკა 9. ტაჯიკეთის პოლიტიკური რუკა

<http://www.nationsonline.org/oneWorld/map/kyrgyzstan-political-map.htm>

რე ენად ითლება. მთები მოიცავს ქვეყნის 90%-ს. ის მდებარეობს გარდამავალი ეკონომიკის სტადიაზე და დიდად არის დამოკიდებული ფულად გზავნილებზე, ალუმინის და ბამბა წარმოებაზე.

საინტერესო ფაქტები:

1. ტაჯიკეთის თანამედროვე ტერიტორია ოდესღაც იყო სპარსეთის იმპერიის ნაწილი და სპარსული კულტურა დღემდე გავლენას ახდენს მასზე. მე-10 საუკუნის შემდეგ სიტყვა „ტაჯიკ“ გვეხმარება ირანელების და თურქების დიფერენცირებაში.
2. ტაჯიკეთის ძირითადი ნაწილი დაფარულია მთებით – პამირის მთათა ქედით. ქვეყნის მხოლოდ 6%-ია მიწის ნაკვეთი, მისი ფართობის 94% დაფარულია მთებით. ქვეყნის ნახევარი განლაგებულია მინიმუმ 3000 მ-ზე ზღვის დონიდან.
3. ტაჯიკეთის დედაქალაქი – დუშანბე, ასევე უდიდესი ქალაქი, ნიშნავს ორშაბათს. ეს იმიტომ, რომ ამ ქალაქის წარმოშობა მოხდა სოფელზე, რომელსაც ერქვა ორშაბათის ბაზარი.

4. ტაჯიკეთი საკმაოდ ახალგაზრდა ქვეყანაა. მან დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991. ტაჯიკეთი იმართებოდა სსრკ მთავრობის მიერ 1920 წლიდან 1991 წლამდე.
5. სამოქალაქო ომი ტაჯიკეთში დაიწყო 1992 წელს და გაგრძელდა 1997 წლამდე. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ საპრეზიდენტო არჩევნებს და მოითხოვდნენ ქვეყნის სამართლიან წარმომადგენლობას. 1997 წელის 26 ივნისს, ორივე მხარემ გააფორმა ხელშეკრულება ომის დასრულებაზე.
6. აბრეშუმის გზა იყო ძირითადი სავაჭრო მარშრუტი ევროპასა და ჩინეთს შორის, რომელიც გადიოდა ტაჯიკეთზე.


ევროკავშირი

ევროკავშირი (EU) არის 27 წევრი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირი. მისი ფართობია 4.324.782 კმ², სავარაუდო მოსახლეობა 510 მილიონი. ევროკავშირმა შეიმუშავა შიდა ერთიანი თავისუფალი ბაზარი, რომელიც ვრცელდება ყველა წევრ ქვეყანაზე. ევროკავშირის პოლიტიკის მიზანია, უზრუნველყოს ადამიანების, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის ფარგლებში შიდა ბაზარზე თავისუფალი გადაადგილება. შენგენის ზონაში პასპორტის კონტროლი გაუქმებულია. ფულადი კავშირი დაარსდა 1999 წელს და ძალაში შევიდა 2002 წელს. მასში შედის 19 ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რომლის ვალუტაც ევროა.

ევროკავშირში ზენაციონალური და მთავრობათაშორისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედებს ჰიბრიდული სისტემა. ძირითადი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ცნობილია, როგორც ევროკავშირის ევროპული საბჭოს ინსტიტუტები: ევროკავშირის საბჭო, ევროპის პარლამენტი, ევროპის კომისია, ევროპის სასამართლო, ევროპის რეგიონების კომიტეტი, ევრო ომბუცმენი, ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროპის აუდიტორთა სასამართლო.

ევროკავშირის არსებობა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებით (ECSC) და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრო-

EUROPEAN UNION



რუკა 10. ევროკავშირის პოლიტიკური რუკა

<http://www.nationsonline.org/oneworld/map/kyrgyzstan-political-map.htm>

ბით (EEC) დაიწყო. ჩამოაყალიბა შიდა ექვსმა ქვეყანამ 1951 წელს. მასტრიხტის ხელშეკრულებამ შექმნა ევროკავშირი 1993 წელს და გააცნო ევროპის მოქალაქეობის ფასეულობა. უახლესი ევროკავშირის კონსტიტუციურ ცვლილებას საფუძველი ჩაუყარა ლისაბონის ხელშეკრულებამ, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წელს.

ევროკავშირი მოიცავს მსოფლიოს მოსახლეობის 7.3%, მისი 2016 წლის გამომუშავებული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 16,477 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ანუ დაახლოებით გლობალური ნომინალური მშპ-ის 22.2%-ს. გარდა 30

ამისა, ევროკავშირის 26 ქვეყანას, გაეროს განვითარების პროგრამის თანახმად, აქვს ძალიან მაღალი ადამიანური განვითარების ინდექსი. 2012 წელს ევროკავშირის მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია. EU-მ დახვეწა ერთიანი საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოების პოლიტიკის და თავდაცვის სფეროები. კავშირი ინარჩუნებს მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენლობას მთელ მსოფლიოში და წარმოდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, G8-ში და G-20-ში.

საინტერესო ფაქტები:

1. ევროკავშირის მართვის ორგანო შედგება 65 ინსტიტუტისგან, ორგანოსგან და უწყებისგან.
2. ევროკავშირის ფარგლებში მისი 19 ქვეყანა ევროზონის წევრია.
3. ევროპარლამენტი შედგება 751 წევრისგან (ევროპარლამენტარები).
4. 2015 წელს დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირის სანევროს სახით გადაუხადა £8.5 მლრდ. ამ გადასახადებით, გერმანიის და საფრანგეთის, შემდეგ მესამე ადგილზე გადაინია.
5. 2016 წლის ივნისში დიდმა ბრიტანეთმა ისტორიულ რეფერენდუმში 52%-ით ევროკავშირის დატოვებას მისცა ხმა, მას შემდეგ რაც 43 წელი ამ კავშირში იმყოფებოდა. დარჩენის მომხრე კი 48% აღმოჩნდა.

რუსეთი

რუსეთი, ოფიციალურად ცნობილია როგორც რუსეთის ფედერაცია. არის ტრანსკონტინენტური ქვეყანა ევრაზიაში. ფართობით 17.075.200 მლ. კვადრატული კილომეტრი რუსეთი უდიდესი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც მოიცავს დედამიწის მერვე ნაწილს და მეცხრე ადგილს ხალხმრავლობით. 146.6 მილიონი ადამიანი 2016 წლის მარტის ბოლო სტატისტიკით. გავრცელებული მთელ ჩრდილოეთ აზიაში და აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთი მოიცავს თერთმეტი დროის ზონას და აერთიანებს გარემოს და ლანდშაფტის ფართო სპექტრს. ჩრდილო-დასავლეთიდან



რუკა 11. რუსეთის პოლიტიკური რუკა

<http://travelsfinders.com/russia-map-tourist-attractions.html>

სამხრეთ-აღმოსავლეთით, რუსეთი იზიარებს სახმელეთო საზღვრებს ნორვეგიასთან, ფინეთთან, ესტონეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან და პოლონეთთან (როგორც კალინინგრადის ოლქი), ბელორუსთან, უკრაინასთან, საქართველოსთან, აზერბაიჯანთან, ყაზახეთთან, ჩინეთთან, მონღოლეთთან და ჩრდილოეთ კორეასთან. იგი იზიარებს საზღვაო საზღვრებს იაპონიასთან ოხოტის ზღვაში და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოსთან ბერინგის სრუტით.

ერის ისტორია დაიწყო მე-3 და მე-8 საუკუნეებში. სახელმწიფო რუს გაჩნდა მე-9 საუკუნეში. 988 წ. მიიღო მართლმადიდებლური ქრისტიანობა ბიზანტიის იმპერიისგან. დაიწყო ბიზანტიური და სლავური კულტურების სინთეზი, რაც რუსული კულტურის მომდევნო ათასწლეულში ვითარდება. მონღოლთა მომთაბარე ოქროს ურდოს შემოსევები დაიწყო მე-13 საუკუნეში. მე-18 საუკუნეში ერი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, ძირითადად დაპყრობებით, და რუსეთის იმპერია გახდა მესამე უდიდესი იმპერია, რომელიც გაიჭიმა პოლონეთიდან ალასკამდე.

1917-18 წელს რუსეთის რევოლუცია მოჰყვა, 1945 წლიდან მსოფლიოში პირველი კონსტიტუციით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი შეიქმნა. საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომის დროს. ცივი ომის დროს გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების კონკურენტი და ზესახელმწიფო. 1990 წლის ბოლოსათვის, საბჭოთა კავშირი იყო მსოფლიოს მეორე უდიდესი კავშირი სამხედრო შეიარაღებით და მასობრივი განადგურების იარაღის უდიდესი მარაგით. საბჭოთა კავშირს 1991 წელს თოთხმეტი სოციალისტური რესპუბლიკა აღწევს თავს და ყალიბდება დამოუკიდებელი რესპუბლიკები.

რუსეთი ეკონომიკის ლიბერალიზმით მთლიანი შიდა პროდუქტით მეორე მეთორმეტეა, მიექვსე უმსხვილესი მსყიდველობითი უნარით კი მეექვსე. რუსეთს ფართო მინერალური და ენერგეტიკული რესურსებით გააჩნია უდიდესი რეზერვები მსოფლიოში, რაც მას ერთ-ერთი წამყვან მწარმოებლად ქმნის ნავთობისა და გაზის სფეროში მსოფლიო მასშტაბით. რუსეთი არის დიდი ძალა და გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, ასევე G20, ევროპის საბჭოს, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (APEC), შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (SCO), ორგანიზაცია უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო), ისევე, როგორც ერთ-ერთი წევრი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ), კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (CSTO) და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EEU) ერთ-ერთი წევრი სომხეთთან, ბელორუსიასთან, ყაზახეთთან და ყირგიზეთთან ერთად. 2001 წლიდან BRICS-ის ეკონომიკური კავშირის წევრი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა).

საინტერესო ფაქტები:

1. ტრანს-ციმბირის რკინიგზა გაჭიმულია თითქმის მთელის ქვეყნის მასშტაბით, რაც მას მსოფლიოში ყველაზე გრძელ

სარკინიგზო მონაკვეთად ქმნის 9200 კმ. ინწყება მოსკოვიდან და მთავრდება ვლადივოსტოკის პორტში. მთლიანი გაუჩრეხბელი მოგზაურობა საჭიროებს 152 საათს და 27 წუთს.

2. რუსეთში ცხოვრობს დაახლოებით 10 მილიონზე მეტი ქალი, ვიდრე მამაკაცი. დისბალანსის მიზეზად გამოცხადდა მამაკაცების სიკვდილიანობა მეორე მსოფლიო ომის დროს.
3. მოსკოვში ცხოვრობს უფრო მეტი მილიარდერი ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქალაქში. 74 მილიარდერი ცხოვრობს რუსეთის სხვადასხვა პოპულარულ ქალაქში, რომელიც ზუსტად 3-ჯერ უფრო მეტია მეორე ადგილზე გასულ ნიუ-იორკზე.
4. რუსეთი მეორე უმსხვილესი ნავთობის მწარმოებელია მსოფლიოში, ის აწარმოებს საშუალოდ 9.900.000 ბარელს დღეში. საუდის არაბეთი 10.900.000 ბარელს დღეში. თუმცა, ვარაუდობენ რომ აშშ 2020 გახდება მსოფლიოს უდიდესი ნავთობის მწარმოებელი (აშშ ამჟამად მესამე პოზიციაზეა).
5. მოსკოვის საოცარი მეტროს სისტემა შედგება სწრაფი სატრანსპორტო საშუალებებისგან. პიკის საათის პერიოდში მატარებლები მოძრაობენ დაგეგმილი 90-წამიანი ინტერვალით გაჩერებიდან გაჩრებამდე. პეტერბურგის მეტრო მსოფლიოში ერთ-ერთი ღრმა მეტროა, სიღრმე დაახლოებით 100 მეტრია.

ყაზახეთი

ყაზახეთი – ოფიციალურად ყაზახეთის რესპუბლიკა არის ტრანსკონტინენტური ქვეყანა ცენტრალურ აზიაში. ყაზახეთი მსოფლიოს უდიდეს ჩაკეტილ ქვეყანას წარმოადგენს და ფართობით (2.724.900 კვადრატული კილომეტრი) მსოფლიოში მეცხრე ქვეყანაა. ყაზახეთი თამაშობს დომინანტურ როლს ცენტრალური აზიის ეკონომიკურ სფეროში პირველ რიგში თავისი ნავთობის/გაზის ინდუსტრიაში. ყაზახეთს გააჩნია დიდი მინერალური რესურსები.

ესაზღვრება რუსეთს, ჩინეთს, ყირგიზეთს, უზბეკეთს, თურქმენეთს და ასევე კასპიის ზღვის მიმდებარე დიდ ნაწილს. რელიე-



რუკა 12. ყაზახეთის პოლიტიკური რუკა

https://www.google.ge/url?sa=i&rct=j&q=&esrc=s&source=images&cd=&ved=0ahUKewiK4qTKwJrTAhVGBhQKHUMIBq0QjhwIBQ&url=http%3A%2F%2Fwww.nationsonline.org%2Foneworld%2Fmap%2Fkazakhstan-political-map.htm&bv=152180690,bs.2,d.2s&psig=AFQjCNEP1QuYMcbHgywW_g7m7Zm3Bm_KGw&ust=1491934841086864

ფით ყაზახეთი მოიცავს დაბლობს, ტაიგას, მთიან კანიონებს, ბორცვებს, დელტებს, დათოვლილ მთებს და 10-მდე უდაბნოს. 2016 წლისთვის ყაზახეთის მოსახლეობა შეადგენს 18 მილიონ ადამიანს. დედაქალაქი ალმაატა 1997 წლიდან შეცვალა ასტანამ (ნიმნავს დედაქალაქს).

ყაზახეთის ტერიტორია ისტორიულად დასახლებული იყო მომთაბარე ტომებით. მე-3 საუკუნეში ჩინგიზ ყაენმა დაიპყრო და მიუერთა მონღოლთა იმპერიას. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის და შემდგომი სამოქალაქო ომების შემდეგ რამდენჯერმე მოხდა ყაზახეთის ტერიტორიის რეორგანიზაცია. 1920 წელს ყაზახეთი გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნურსულთან ნაზარბაევი ინიშნება პირველ პრეზიდენტად.

ყაზახეთი მოიცავს 131 ეთნიკურ ჯგუფს: ყაზახები (65%), რუსები (21.5%), უზბეკები (3.0%), უკრაინელები (1.8), გერმანელები (1.1%), თათრები (1.2%) და იუგურები (1.4%). მოსახლეობის დაახლოებით 70% ისლამის მიმდევარია, ქრისტიანობის პრაქტიკულად 26%. ყაზახური ენა სახელმწიფო ენაა, ხოლო რუსული თანაბარი ოფიციალური სტატუსით გამოიყენება ყველა დონის ადმინისტრაციულ და ინსტიტუციურ დონეებზე.

საინტერესო ფაქტები:

1. ყაზახეთში ცხოვრობს 120-ზე მეტი ეროვნების ადამიანი.
2. სიტყვა ყაზახ შეიძლება ითარგმნოს „დამოუკიდებელი“ ან „მოხეტიალე“.
3. ახალ წელს ყაზახები უწოდებენ ნავროზობას და აღინიშნება 22 მარტს.
4. ყაზახეთი ჩაკეტილი ქვეყანაა. მას ზღვაზე გასასვლელი არ აქვს, მაგრამ გააჩნია სამხედრო-საზღვაო ძალები კასპიის ზღვაში.
5. დროშაზე მზე აშუქებს 32 სხივს, რომელიც ასახავს ყაზახეთის პროგრესს და სიუხვს.

ჩინეთი

ჩინეთი – ოფიციალურად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (PRC), არის სუვერენული სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში. მთლიანი მოსახლეობით 1.384 მილიარდი, ეს არის მსოფლიოში ყველაზე ხალხმრავალი სახელმწიფო. ქვეყანას მართავს ჩინეთის კომუნისტური პარტია დაფუძნებული დედაქალაქ პეკინში. ჩინეთი მსოფლიოში სიდიდით მეორე სახელმწიფოა, მიწის ნაკვეთი რომელიც მოიცავს დაახლოებით 9,6 მილიონ კვადრატულ კილომეტრს. ჩინეთი უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანია, რომელიც სათავეს იღებს იანძის და ხუანხეს დელტაში. ის, რასაც



რუკა 13. ჩინეთის პოლიტიკური რუკა

<http://shenyangteammiller.blogspot.com/2016/06/may-2016-huangshan-mountains-tea.html>

დღეს ჩინეთის ცივილიზაციას უწოდებენ დაიწყო იმპერატორ ცინ შიხუანდის მიერ, დამწერლობის სისტემის იძულებითი დადგენის (ძვ. წ. 200 წელს) და კონფუციანიზმზე დამყარებული სახელმწიფო იდეოლოგიის (ძვ. წ. 100 წელს) ჩამოყალიბების შემდეგ.

ეკონომიკური რეფორმების შემოღების შემდეგ, 1978 წელს, ჩინეთი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი ეკონომიკურად ყველაზე სწრაფად მზარდი სახელმწიფო. 2014 წლის სტატისტიკით ეკონომიკის სიძლიერით ეს არის მსოფლიოში სიდიდით მეორე მთლიანი შიდა პროდუქტის და უდიდესი მსყიდველობითი პარიტეტის ქვეყანა. იგი საქონლის მსოფლიოს უმსხვილესი ექსპორტიორი და მეორე უმსხვილესი იმპორტიორია. ჩინეთი არის აღიარებული როგორც ბირთვული იარაღის სახელმწიფო, მსოფლიოს უდიდესი

ჯარით. თავდაცვის ბიუჯეტის სიდიდით მეორე ადგილზეა. ჩინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია 1971 წლიდან, ასევე არაერთი ფორმალური და არაფორმალური მრავალმხრივი ორგანიზაციების წევრია, მათ შორის WTO, APEC, BRICS, the Shanghai Cooperation Organization (SCO), the BCIM and the G-20.

საინტერესო ფაქტები:

1. ჩინეთში ცხოვრობს უფრო მეტი ქრისტიანი, ვიდრე იტალიაში და ვატიკანში ერთად აღებული, მიუხედავად იმისა, რომ იტალიელების 80% -ია და მხოლოდ 5,1% ჩინელია ქრისტიანი.
2. სამშენებლო კომპანიამ ჩინეთში ააშენა 57-სართულიანი ცათამბჯენი მხოლოდ 19 დღის განმავლობაში.
3. ჩინეთს მხოლოდ 1 დროის ზონა აქვს – მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით იგივე ზომისაა რაც აშშ.
4. ჩინეთმა დარგო ყველაზე დიდი ხელოვნური ტყე მსოფლიოში, რათა შეეჩერებინა უდაბნო გობის გავრცელება.
5. მას შემდეგ რაც მათ მოვიდა სათავეში, ჩინეთში იმატა თვითმკვლევლობებმა. შანხაიში ხალხს ეშინოდა ცათამბჯენებთან ფეხით გავლა, იმის შიშით რომ თავზე დაეცემოდა ვინმე.
6. 2010 წელს, ჩინეთში შეიქმნა 120 კმ-იანი საცობი, რომელიც გაგრძელდა 12 დღე.

შესავალი

ცენტრალური აზია ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოს რეგიონებს შორის ენერგო შესაძლებლობის თვალსაზრისით. ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს გააჩნიათ ჰიდრო-ელექტროენერჯის მაღალი პოტენციალი, ხოლო ყაზახეთს, თურქმენეთსა და უზბეკეთს – სანავის წიაღისეული. საბჭოთა კავშირის პერიოდში მოცემული რეგიონისა და გაერთიანებაში შემავალი სხვა რეგიონების რესურსები ერთობლივად გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრალურ აზიას საკუთარი რესურსების ექსპორტი საკუთარი რეგიონის გარეთ უხდებოდა. სანავი წიაღისეულით მდიდარ ქვეყნებს, განსაკუთრებით ყაზახეთს, შეეძლოთ მოეხდინათ საკუთარი ენერგორესურსების ექსპორტირება რეგიონის გარეთ. ამის სანაღმდეგოდ, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის მცდელობა, რომ დაეცვათ ძირითადი საექსპორტო ბაზარი ზაფხულში წარმოებული ქარბი ენერჯისათვის აღმოჩნდა წარუმატებელი. თურქმენეთი საკუთარი ბუნებრივი აირის რეზერვით მეცხრე ადგილს იკავებს მსოფლიოს ქვეყნებს შორის, თუმცა, მსოფლიო წარმოებაში მისი წილი მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენს.

ცენტრალური აზიისგან განსხვავებით, სამხრეთ აზია ენერჯის ნაკლებობას განიცდის, რაც გამოწვეულია მზარდი მოსახლეობით, მატერიალური კეთილდღეობის ზრდითა და ეკონომიკური ექსპანსიის მოთხოვნით. ავღანეთში პოლიტიკური ცვლილებების დროს დაეცა თალიბანის მმართველობა, რამაც გაზარდა მოხმარება და საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკას მაშინ, როცა სამხრეთ აზიის უდიდესი ეკონომიკები ინდოეთსა და პაკისტანში ითხოვდნენ ხელმისაწვდომ და მყარ ენერჯიას, რათა შეენარჩუნებინათ ბოლოდროინდელი ეკონომიკური ზრდა. საქმის ახლანდელ ვითარებაში, სამხრეთ აზიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებმა გამოთქვეს სურვილი ერთობლივად დაეცვათ ენერჯიით ვაჭრობის შეთანხმებები. სამხრეთ აზიის ქვეყნები განსაკუთრებით არიან

დაინტერესებულნი ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯის პროდუქტებით, რომლითაც შეიძლება მომარაგებულნი იყვნენ ყირგიზეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან და უზბეკეთიდან. ამ ბოლო დინების შესაბამისად, ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლები, უზბეკეთის გამოკლებით, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და უკანასკნელ წლებში მიაღწიეს გარკვეულ შეთანხმებებსაც.

ენერჯით ვაჭრობის პარტნიორობა გულისხმობს, რომ სარგებელს მიიღებს როგორც ენერჯით მდიდარი ცენტრალური აზია, ასევე ენერჯით ღარიბი სამხრეთ აზიაც. ბუნებრივი აირის მილსადენისა და ბუნებრივი აირის გადამცემი ხაზი ლოგიკურ ნაბიჯებს წარმოადგენს იმისათვის, რომ შედგეს რეგიონული თანამშრომლობა. ამ პროექტებს შეუძლიათ მოამარაგონ სამხრეთ აზიის ეკონომიკები ენერჯის იაფი და სანდო წყაროებით. მეორე მხრივ, აწარმოონ საჭირო ეკონომიკური შემოსავალი სამხრეთ აზიის ქვეყნებისათვის, ასევე, მთელ რეგიონში ხელი შეუწყონ ეკონომიკური ზრდის განვითარებას. რეალურად, ამგვარი იმედის მომცემი პროექტები აწყდება უამრავ წინააღმდეგობას, რომელთა გამოც მათი განხორციელება რამდენიმე წლით გადაიდო. ეს ნაშრომი იკვლევს რამოდენიმე პროექტის განვითარებას დღევანდელ დღემდე, შემდეგ განიხილავს იმ დაბრკოლებებს, რომელთაც ისინი აწყდებიან და მსჯელობენ საშუალოვადიან პერსპექტივაში მათი განხორციელების ალბათობაზე. ნაშრომის ბოლოს, წარმოდგენილია რეკომენდაციები აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად.

ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან შრომითი მიგრაციის მასშტაბების გათვალისწინებით, არსებობს საჭიროება, რომ ზემოთ ხსენებულ ქვეყნებში უფრო მეტი იცოდნენ ამ პროცესებიდან მომდინარე შედეგებზე. ეს პოლიტიკა მოკლედ განიხილავს მიგრაციის ეკონომიკურ და სოციალურ გავლენას ისეთი ქვეყნების საზოგადოებებზე, როგორცაა ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი და იკვლევს ახალ გამოწვევებს, რომელთაც აწყდებიან მიგრანტი მუშები და მათი ოჯახები.

1. TAPI-ის პროექტის ისტორია და დასაწყისი

თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთი (TAPI) ან ტრანსავღანური მილსადენი არის ბუნებრივი აირის მილსადენი, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ თურქმენეთის გაზი მიეწოდოს ავღანეთს, პაკისტანსა და ინდოეთს. მილსადენისთვის გაზის მიმწოდებელი წყარო იქნება იოლოთან ოსმანი (Yoloten-Osman) გაზის საბადო თურქმენეთში. მეორე უდიდესი საბადო მსოფლიოში, ტრანსპორტირებული იქნება 1680 კმ-ზე ავღანეთისა და პაკისტანის გავლით სანამ მიაღწევს ფაზილკას (Fazilka) ინდოეთში. ვარაუდობენ, რომ მილსადენი დღეში მიიღებს 60-დან 90 მილიონამდე კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, რომლისგანაც ინდოეთსა და პაკისტანს ერგება 42 %, ხოლო ავღანეთი მიიღებს 15,5 %. 2008 წელს, TAPI-ის მილსადენის ღირებულება შეფასებული იყო სულ მცირე 7.6 მილიარდ დოლარად.

TAPI-ის მილსადენის პროექტი თარიღდება 1995 წლით, როცა თურქმენეთმა და პაკისტანმა გააფორმეს ურთიერთგაგების ხელშეკრულება. პროექტმა მიიღო იმ დროს გაბატონებული თალიბანის რეპრესიული რეჟიმის თანხმობა. 1998 წელს კომპანია Unocal-მა (რომელიც დაიხურა 2005 წელს), რომელსაც უნდა აეგო მილსადენი, უკან დაიხია იმ მიზეზით, რომ თალიბანი არღვევდა ადამიანის უფლებებს. შედეგად, პროექტი შეჩერდა 2002 წლამდე. ავღანეთის ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ აშშ-მ გაგზავნილი ძალებით, ავღანეთის ჩრდილო ალიანსთან ერთად, დაამარცხა თალიბანის რეჟიმი. მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდში თურქმენეთმა, ავღანეთმა და პაკისტანმა თხოვნით მიმართეს აზიის განვითარების ბანკს ტექნიკური განხორციელებადობის (ეკონომიკური მიზანშეწონილობის) ანალიზის ჩასატარებლად. იგი დაიწყო 2005 წელს, ხოლო დასრულდა 2008 წელს. იმავე წელს ინდოეთი ოფიციალურად შეუერთდა პროექტს, გააფართოვა მილსადე-

ნი და თურქმენეთისათვის პოტენციურად მეტად მომგებიანი ბაზარი გახსნა. პროექტს მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, რომლის მიზნებიც ცხადი იყო: ავღანეთის მთავრობის უსაფრთხოების დაცვა, ირანისა და პაკისტანის (IP) გაზსადენის განადგურება, ასევე შესაძლოა თურქმენეთის რუსეთზე, ხოლო ახლა ჩინურ მილსადენებზე დამოკიდებულების შემცირება.

TAPI-ის მილსადენის იმპლემენტაცია 5 ფაზისგან შედგება. **პირველი** ფაზა დასრულდა 2010 წელს რესურსის მიწოდების შესახებ ზოგადი შეთანხმებისა და მთავრობათაშორისი შეთანხმებების გაფორმებით. **მეორე** ფაზა 2012 წელს დასრულდა გაზის გაყიდვებისა და გადახდის შეთანხმებების (GSPA) გაფორმებით. **მესამე** ფაზა, რომელიც წარმოადგენს კომერციული ერთეულის არჩევანს, უხელმძღვანელოს განსაკუთრებულ დანიშნულების კონსორციუმს (SPCC), დასრულდა 2014 წელს. **მეოთხე** ფაზა, პროექტის მომზადება, დასრულდა 2015 წელს და მოიცავს უამრავ შეთანხმებას, მათ შორის ფინანსურს, პროექტთან დაკავშირებით. **მეხუთე** ფაზა, პროექტის განხორციელება, 2017 წლისათვის პარტნიორი ქვეყნები დაიწყებენ გაზის ექსპორტს. თურქმენეთის პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუხამედოვმა განაცხადა, რომ TAPI-ის მილსადენის გაყვანა დაიწყება 2015 წელს.

1.1. ისტორია

მილსადენის პროექტი TAPI არის გაზის მილსადენი, რომელიც დააკავშირებს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ აზიის რეგიონებს. იგი მოახდენს 33 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის გადატანას. თურქმენეთი არის გაზის ერთადერთი მიმწოდებელი ამ მილსადენისათვის. ინდოეთი და პაკისტანი მთლიანი შესაძლო მოცულობის 42%-ს მიიღებენ, დარჩენილი გაზი კი ავღანეთს მიენოდება.

მას შემდეგ, რაც 1990-იანი წლებიდან ავღანეთის გავლით, თურქმენეთიდან პაკისტანში მილსადენის გაყვანის იდეა იქნა

ნამოყენებული, 1998 წლის დასაწყისში Unocal-ის კონსორციუმმა გააფორმა მშენებლობის შეთანხმება თალიბანის ახალ მთავრობასთან ქაბულში. გარდა ამისა, მას უნდა მოეხდინა ქვეყნის სტაბილიზაცია, რასაც, თავის მხრივ, ბუშის ადმინისტრაციაც ემხრობოდა. მხარდაჭერის ერთ-ერთი მიზეზი იყო, უზრუნველყოფილიყო “US consortium Unocal”-ის მილსადენის მშენებლობა მისი პირდაპირი მონინალმდგის არგენტინული Bidas-ს წინააღმდეგ.¹ მოლაპარაკებები შეწყდა 2001 წლის ტერორისტული აქტების ჩადენამდე ცოტა ხნით ადრე. მაგრამ აშშ-ის ჩარევის შემდეგ მალევე გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, მშენებლობა არ დაწყებულა, რადგან 1998 წლის დასასრულისათვის Unocal-მა დატოვა კონსორციუმი, რაც გამოწვეული იყო თალიბანის რეჟიმის დროს განხორციელებული საერთაშორისო პოლიტიკით, რაც გულისხმობდა ადამიანთა უფლებების დარღვევას და ქალებისადმი არასათანადო მოპყრობას. თალიბანის რეჟიმის დასრულების შემდეგ იდეა განახლდა. 2002 წელს თურქმენეთის, ავღანეთისა და პაკისტანის ნავთობისა და გაზის მინისტრებმა ჩამოაყალიბეს „საორგანიზაციო კომიტეტი“, რომელსაც ტეკნიკურ მხარდაჭერას უწევდა აზიის განვითარების ბანკი, რომელმაც ჩაატარა წარმატებული კვლევა. კვლევის შედეგები სრულყოფაში მოიყვანა ბრიტანულმა ფირმამ Penspen-მა, რომელმაც გამოიტანა სასურველი ვერდიქტი 2005 წელს. 2006 წელს ინდოეთის ფედერალურმა კაბინეტმა დაამტკიცა ინდოეთის მონაწილეობა ამ პროექტში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ახალი დელი ჯერ არ იყო მინვეული. 2008 წელს ჩატარებულ მე-10 შეხვედრაზე ინდოეთიც საბოლოოდ შეუერთდა წევრ ქვეყნებს.²

¹ Foster, J. (2010), Afghanistan, the TAPI Pipeline, and Energy Geopolitics, Journal of Energy Security, 23 March. Available at: http://ensec.org/index.php?option=com_content&view=article&id=233:afghanistan-the-TAPI-pipeline-and-energy-geopolitics&catid=103:energysecurityissuecontent&Itemid=358 [Accessed: 02 May 2015].

² Ibid.

2006 წლის ბოლოსათვის პროექტმა გაზრდილი იმპულსი მას შემდეგ მიიღო, რაც თუქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნი-აზოვი გარდაიცვალა და მისი მემკვიდრეობა გურბანგული ბერდიმუჰამედოვზე გადავიდა. 2010 წლის დეკემბერში აშხაბადში (თურქმენეთი) ოთხი ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გაზის მილსადენის შეთანხმებას, ასევე, მასთან დაკავშირებულ მთავრობათშორის მოლაპარაკებებს.

პროექტის განვითარების კიდევ ერთ ძირითად ფაქტორს თურქმენეთის მიმართ რუსეთის დამოკიდებულება წარმოადგენს. ცენტრალური აზიის ეს ქვეყანა ფლობს მსოფლიოს მეოთხე უდიდეს ბუნებრივი გაზის მარაგს, თუმცა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გაზის ექსპორტზე ჩინეთში მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეწყვიტა თურქმენეთის გაზის შესყიდვა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. პროექტის დღევანდელი დიზაინით, თურქმენეთიდან წელიწადში 33 მილიარდი კუბური მეტრი იქნება ექსპორტირებული, საიდანაც ინდოეთი და ავღანეთი მიიღებენ 14 მილიარდ კუბურ მეტრს, ავღანეთი კი მიიღებს მხოლოდ 5 მილიარდ კუბურ მეტრს. ინდოეთი მოითხოვს, რომ ბუნებრივი აირი დაზუსტებით იყოს განთავსებული პარალელურ მილსადენში, მოგვიანებით რაოდენობა უნდა იქნეს გაორმაგებული და საეჭვო არაა მისი სანყისი განხორციელების წარმატებულობა. დღევანდელი გაანგარიშებით, მშენებლობის დასრულება მოსალოდნელია 2016 წლის დეკემბრისთვის, ხოლო მილსადენი 2017 წლიდან ამუშავდება.

ავღანეთში გადაზიდვის წლიური შემოსავალი იქნება 300 მილიონი აშშ დოლარი, რაც პროექტების განსავითარებლად წლიური ბიუჯეტის ერთი მესამედიანია. დამატებით, ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით სამუშაო ადგილების შექმნას. ასევე, ავღანეთში გააძლიერებს შესაძლებლობებს საშინაო გაზის წყაროების მოპოვებისა და განვითარებისათვის, რასაც შემდგომში ექნება ადგილობრივი გამოყენება. ადრეული გამოთვლების თანახმად, TAPI-ს ღირებულება ფასდებოდა მხოლოდ 3.3 მილიარდი აშშ დოლარის

ოდენობით, მაშინ როცა სახეზე თურქმენეთი, ავღანეთი, პაკისტანი სამხრეთი კავშირი გვექონდა. მიმდინარე მონაცემებით, სადაც ინდოეთიც მოიაზრება, ღირებულება შეადგენს 7.6 მილიარდ აშშ დოლარს. თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ გაზი თურქმენეთის “Dauletabad” ბუნებრივი აირის ველიდან უნდა გამოსულიყო, თუმცა, აშხაბადმა მოგვიანებით განმარტა, რომ გაზი ახლად აღმოჩენილი სამხრეთ “Yolotan-Osman”-ის მდელიდან გამოვიდოდა. 1681 კილომეტრის მარშრუტი თურქმენეთიდან სამხრეთისაკენ გადაიჭიმება, შემდეგ კი აღმოსავლეთისაკენ – ჰერათის გასწვრივ კანდაჰარისკენ იქნა არჩეული. ჰინდუ-კუშის მთათა სისტემა ჩრდილოეთით მარშრუტს მეტისმეტად ართულებს, ხოლო სამხრეთის მარშრუტს გააჩნია გზების ინფრასტრუქტურა, რომლებიც ხელს შეუწყობს სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებას.

1.2. ალტერნატივები

რამდენიმე წლის მანძილზე ინდოეთსა და პაკისტანს ჰქონდათ მოლაპარაკებები ირანთან სხვა მილსადენის პროექტის განხორციელების თაობაზე, რაც გულისხმობდა ირანიდან გაზის შეყვანას ზემოაღნიშნულ ქვეყნებში. სავარაუდო ღირებულებით, რაც გულისხმობდა 7.5 მილიარდ აშშ დოლარს, ამ მილსადენის პროექტის ღირებულება იქნებოდა TAPI-ის პროექტის ღირებულებასთან მიახლოებული. 2008 წლის აპრილში ინდოეთისა და პაკისტანის ნავთობის მინისტრები ისლამაბადში შეხვდნენ ერთმანეთს (2008 წლის 25 აპრილის TAPI-ის ოთხივე ქვეყნის შეხვედრის ჩატარებიდან ძალიან მალე) ფასების საკითხის პრობლემების გადასაწყვეტად, ამასთანავე, განიხილეს გზები ხელშეკრულების გაფორმებისთვის. შეხვედრის ჩატარების კვირაში მილსადენის პროექტზე სალაპარაკოდ, ირანის პრეზიდენტი აჰმადინეჯანი ისლამაბადსა და ნიუ დელს ესტუმრა. აქედან მოყოლებული, ინდოეთი მერყეობს ამ პროექტთან დაკავშირებით და ინდოეთი-პაკისტანის ურთიერთობაში დიდწილად დარჩა მეორეხარისხოვან მონაწილედ.

მიუხედავად ამისა, 2009 წლის დეკემბერში ინდოეთის პრეზიდენტმა მურლი დეორამ განაცხადა, რომ მიმდინარეობდა განხილვა მილსადენის პროექტის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით დანარჩენ წევრ ქვეყნებთან ერთად.

2009 წლის მაისში ირანმა და პაკისტანმა საბოლოოდ დაამტკიცეს პროექტი და ხელი მოაწერეს თავდაპირველ შეთანხმებას ინდოეთის გარეშე. რუსეთის გაზპრომ-მა გამოხატა სურვილი, რომ ხაზის გაყვანაში გაენია დახმარება. ამავე თვეში ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური ელჩი რიჩარდ ჰოლბრუკი შეხვდა პაკისტანის ნავთობის მინისტრს სიდ ნავიდ ქამარს და პაკისტანის ბექდური მედიის დახმარებით ალუთქვა პაკისტანს მატერიალური დახმარება, თუ იგი უარს იტყოდა ირანის პროექტზე. შედეგად, ნავთობის მინისტრმა აუხსნა ჟურნალისტებს, რომ პაკისტანი და ირანი მალე მოაწერდნენ ხელს ტექნიკურ შეთანხმებას. ასევე განაცხადა, რომ იგი შეხვდა ამერიკის ელჩს და შეერთებული შტატების გარეთ კერძო ინვესტიციების კორპორაციის ოფიციალურ წარმომადგენლებს, რომელთაც არ გამოუხატავთ რაიმე წინააღმდეგობა ამ პროექტთან დაკავშირებით.

1.3. სირთულეები

TAPI-ის მილსადენის გეგმა ოთხივე მონაწილე ქვეყანას სთავაზობს საერთო სარგებელს და წარმატებულ თანამშრომლობას მათ შორის. თურქმენეთისათვის იგი ითვალისწინებს წლიური შემოსავლის გაზრდას და საექსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციას. პაკისტანისა და ინდოეთისათვის იგი გადაამისამართებს ენერჯის დანაკლისს. ავღანეთში იგი აწარმოებს შემოსავლებს განვითარებისთვის და გაზის ინდუსტრიული საწარმოების განვითარებისათვის. დამატებით უპირატესობას წარმოადგენს სხვა ქვეყნებში ექსპორტის პოტენციური პაკისტანის გვადარის (Gwadar) პორტის გავლით.

TAPI ეთავსება შეერთებული შტატების პოლიტიკას ცენტრალური და სამხრეთ აზიის შეკავშირებასთან და, ასევე, თურქმენე-



რუკა 14. სამხრეთ აზიის მილსადენები


<http://shenyangteammiller.blogspot.com/2016/06/may-2016-huangshan-mountains-tea.html>

თის გაზის საექსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით. TAPI-ის მილსადენის აგების და ამოქმედების შემთხვევაში ბევრ ქვეყანას შეეძლება ანარმოს წარმატებული ბიზნესი.

TAPI-ის მილსადენის მნიშვნელობის გასაგებად აუცილებელია ყურადღების გადატანა თურქმენეთზე, გაზის წყაროზე. თურქმენეთი არის ერთ-ერთი მათგანი ცენტრალური აზიის იმ ხუთი სახელმწიფოდან, რომლებიც გახდნენ დამოუკიდებლები 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად.

უთანხმოება არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა რაოდენობის გაზს ფლობს ქვეყანა რეალურად. BP-ის 2009 წლის სტატისტიკურ მიმოხილვაზე დაყრდნობით, თურქმენეთს გააჩნია მსოფლიოში სიდიდით ბუნებრივი აირის მეოთხე რეზერვუარი, 7.94 ტრილიონი კუბური მეტრის (TCM) მოცულობით. მას წინ უსწრებს მხოლოდ რუსეთი, ირანი და ყატარი.

დიდი წინსვლა აღინიშნება 2008 წლის მონაცემებთან შედარებით, როცა ბუნებრივი აირის მოცულობა მხოლოდ და მხოლოდ 2.43 კუბური მეტრის (TCM) წარმოადგენდა. ახალი შეფასებით და 2008 წლის ბალანსის რევიზიის შედეგად იოლოთან-ოსმანი



გრაფა 1. გაზით მდიდარი ქვეყნების სია
<http://www.petroleumindustryreview.com/2014/07/nigerias-gas-superpower-2/>

(Yolotan-Osman) წარმოადგენს დასავლეთ თურქმენეთში უდიდესი გაზის საბადოს. ანგარიშების შემოწმებას სათავეში ედგა დიდი ბრიტანული აუდიტორული კომპანია Gaffney, Cline & Associates. აუდიტის შედეგად გაზის რეზერვუარის მოცულობა, თავის მხრივ, შეფასდა 4-დან 14 კუბურ მეტრამდე. ამის გამო, იგი მიჩნეულია მსოფლიოში მეოთხე უდიდეს საბადოდ.

სხვა საბადოები კვლავ შეფასების პროცესშია, თურქმენეთის ოფიციალური წარმომადგენლები კი იმედოვნებენ, რომ საბოლოო შედეგები გაცილებით მაღალი აღმოჩნდება. მას შემდეგ ორმა გამოცემამ ეჭვის ქვეშ დააყენა აუდიტის შედეგები. რუსულ და თურქმენულ არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, არსებობს მოსაზრება, რომ თურქმენეთის ოფიციალურმა პირებმა არასწორი ინფორმაცია გაავრცელეს და შემოგვთავაზეს გადაჭარბებული შეფასება რეზერვუარის ზომების შესახებ. კომპანია Gaffney, Cline & Associates უარყოფს ამ ბრალდებებს. ამ დროის განმავლობაში პრეზიდენტმა ბერდიმუხამედოვმა თანამდებობიდან გაათავისუფლა ენერჯის საკითხებში სხვადასხვა ხელმძღვანელი

და ოფიციალური მოხელე. როგორც არ უნდა იყოს სიმართლე, თურქმენეთს გაზის უზარმაზარი საბადო გააჩნია და ამის გამო უდიდესი ბრძოლა მიმდინარეობს. გეოპოლიტიკური ფსონები ძალიან მაღალია.

არსებობს ეჭვები თურქმენეთიდან გაზის რეზერვის მდგრადობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ თურქმენეთმა გააფორმა ხელშეკრულება ირანთან და ჩინეთთან ამ ბაზრებზე არსებული მარაგის გასაზრდელად, ხოლო რუსეთის გაზრომი ბუნებრივი გაზის უდიდესი მიმწოდებელია, მაინც არსებობს კითხვები, არის თუ არა თურქმენეთი მზად იმ ვალდებულებებისათვის, რომელთაც დააკისრებს TAPI? თუმცა, თურქმენეთი აცხადებს, რომ მისი გაზის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს სამხრეთ იოლოთანის უდიდესი საბადო, რომელიც მოიცავს 212 ტრილიონი კუბური მეტრის აღდგენად გაზს, (რაც შეერთებული შტატების ოფიციალური რეზერვის 90%-ია) TAPI-ის პარტნიორებმა მოითხოვეს აღნიშნული რეზერვუარების მესამედის სერთიფიცირება. თითოეული შეთანხმების საფუძველზე, თურქმენეთი TAPI-ს მიაწოდებს დღეში 90 მილიონი კუბური მეტრის ოდენობის (mcmd-million cubic meter per day) გაზს, 38 (mcmd) მიწოდება პაკისტანსა და ინდოეთს, ხოლო დანარჩენი – ავღანეთს.

გარდა ამისა, თურქმენეთის გაზის სექტორი რამდენიმე შეზღუდვას განიცდის, მათ შორის ფინანსური რესურსების, ასევე ტექნიკური შესაძლებლობების ნაკლებობას ახალი პროექტების განსახორციელებლად. ქვეყანაში ასევე აღინიშნება ინფრასტრუქტურის სიმცირე მილსადენის ქსელისათვის, რათა გადაეცეს გაზი მის ბაზრებს. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ევროპაში თურქმენეთის ექსპორტი კვლავ რუსეთზეა დამოკიდებული. შედეგად, ზოგიერთი სპეციალისტი აცხადებს, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ 10 წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდება ექსპორტის მოცულობის არსებითად გაზრდა.

ფაქტია, რომ საჭიროა ენერჯის დერეფანი ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ აზიას შორის, ასევე „ბუნებრივი პარტნიორობის“ მიღწევა უმოკლესი შესაძლო მარშრუტის გამოყენებით მწარმოებლიდან მომხმარებლამდე. ამ პირობებით მოცემული მიზანი ყოველი ნევრი სახელმწიფოსათვის სასურველი და სასარგებლოა. მიმწოდებელი მხარისათვის (თურქმენეთი) ეს ნიშნავს ექსპორტის მარშრუტის შემოსავალს და დივერსიფიკაციას, აგრეთვე კონკურენტულ ფასს ბუნებრივ აირზე. ხოლო ავღანეთისა და პაკისტანისათვის – დამატებით წყაროს და სატრანსპორტო შემოსავალს.

მშვიდობა აუცილებელია. მილსადენის მშენებლობა ვერ დაიწყება, სანამ არ დასრულდება ბრძოლა და მისი ყველა მხარე, მათ შორის პუშტუნები, პროექტის მონაწილეები არ გახდებიან. ავღანეთი და პაკისტანი წინააღმდეგობებით აღსავსე ქვეყნებია. მათი შერეული ეთნიკური ჯგუფები, დიდი ხნის გვაროვნული ტრადიციები და მთავრობის არსებობის მცირეხნიანი ისტორია ქმნის მთავარ გამოწვევებს. ასეთი გამოწვევები მოითხოვს პოლიტიკურ და არა სამხედრო გამოსავალს. დასაწყისს წარმოადგენს ეროვნული შეთანხმების სტრატეგია, რომელიც შეთავაზებული იქნა ავღანეთისათვის ლონდონის კონფერენციაზე 2010 წელს (http://www.rs.nato.int/images/stories/File/factsheets/Documents_Communique%20of%20London%20Conference%20on%20Afghanistan.pdf).

ბოლოს, ინდოეთსა და თურქმენეთში წამოიჭრა განსხვავებული მოსაზრებები გაზის ღირებულებასთან და სატრანზიტო გადასახადთან დაკავშირებით. არსებობს სამი პრობლემატური საკითხი, სატრანზიტო გადასახადი და ზემოთ აღნიშნული თურქმენეთის შეზღუდული კანონის მიერ მიწის კერძო მფლობელობისა და წაუხალისებელი პოტენციური ინვესტორების, როგორებიცაა Total ან Exxon-ის პრევენცია¹. 2012 წლის მაისში ოთხი ნევრი ქვეყნის სამიტზე გარკვეული დავების შემდეგ დაიწყო შეთანხმება სატრანზიტო გადასახადებთან დაკავშირებით, სადაც გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმი. რაც შეეხება თურქმენეთის რეგულა-

¹ Tanchum, M. (2015), A Breakthrough on the TAPI pipeline?



რუკა 15. პაკისტანის პოლიტიკური რუკა
<http://www1.american.edu/ted/ice/pakistan-flood.html>

ციებს, სახელმწიფო კომპანია TurkmenGaz-მა სხვა პარტნიორების თანხმობასთან ერთად, არჩია „თვითგადაადგილება“ და გაიწვია კონსორციუმი, რაც მიზნად ისახავდა რუსეთისგან და/ან ჩინეთისგან მხარდაჭერას.

ბოლოდროინდელი საერთაშორისო მინისტერიალის შეხვედრები ჩიხში შევიდა იმის გამო, რომ ინდოეთისათვის თურქმენეთის მიერ შეთავაზებული ღირებულება მიუღებელი იყო, რადგან იგი თხევადი ბუნებრივი აირის ფასზე მაღალი იქნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მილსადენი ბოლოსდაბოლოს მაინც აიგება, ბევრად დამოკიდებული იქნება შეერთებული შტატების უკომპრომისო მხარდაჭერაზე. მანამ, სანამ ვაშინგტონის სახელმწიფოებრივი ხედვა არის ის, რომ დაეხმაროს



რუკა 16. ცენტრალური აზიის უახლესი გაზის მილსადენები
<https://cestandard.wordpress.com/2012/10/01/central-asia-natural-gas/>

ავღანეთს მდგომარეობის სტაბილიზაციაში, ასევე მონაწილეობა მიიღოს მის განვითარებაში, სულ მცირე არა იმიტომ, რომ ნება დართოს გამოიმუშავოს ყოველწლიურად 300 მილიონი დოლარი სატრანზიტო შემოსავლებით, არამედ ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცეთ გავიდნენ ალტერნატიულ ბაზარზე აღმოსავლეთში და შეამცირონ რუსეთზე დამოკიდებულების დონე და მოამარაგონ სამხრეთ აზიის ლარიბი ქვეყნები ენერჯით.

იმის გათვალისწინებით, რომ ავღანეთში მიმდინარეობს ამბოხება, კვლავ რჩება მილსადენის უსაფრთხოების საკითხები. მანამ, სანამ ნატოს ჯარების ავღანეთში ყოფნა ხელს უწყობს მილსადენის მარშრუტის უსაფრთხოებას, მნიშვნელოვანია, კიდევ რამდენ ხანს დარჩებიან ისინი ქვეყანაში და რა მოხდება, როცა ისინი სამხედრო კოალიციის ნაწილს უკან გამოითხოვენ 2016 წლის ბოლოსთვის.

1.4. შედეგები

TAPI-ის პროექტის განხორციელების ოთხმხრივი გადაწყვეტილება არის გადამწყვეტი დარტყმა დიდი ხნით ადრე დაწყებული მსჯელობისათვის ირანისა და პაკისტანის მილსადენის პროექტზე, რომელიც არ განვითარებულა ირან-პაკისტანსა და ირან-ინდოეთს (IPI) შორის გამართული ორმხრივი კონსულტაციების მიღმა. ბოლოს, პაკისტანმა 2009 წელს გააფორმა ირანთან ხელშეკრულება შემცირებული მოცულობის ორმხრივ მილსადენთან დაკავშირებით მაშინ, როცა ინდოეთი 2008 წელს პროექტს გამოეთიშა. 2010 წელს ირანმა განაცხადა, რომ მან დაასრულა შიდა სეგმენტი საკუთარ ტერიტორიაზე (Assalouyeh Energy Zone-დან Iranshahr-მდე, 180 კმ. მილის მონაკვეთი), რომელიც პაკისტანის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. პაკისტანში წყალდიდობებისა და პოლიტიკური არეულობის შედეგად (მილსადენი შედის ბალუჩისტანში, რომელიც უახლოეს მომავალში აპირებს დამოუკიდებ-




რუკა 17. ჩინეთი აფართოებს გაზის პოლიტიკის ექსპანსიას
<http://www.zerohedge.com/news/2014-01-20/where-does-china-import-its-energy-and-what-means-petroyuan>

ლობის გამოცხადებას პაკისტანისგან) ალბათ გადაიდება პროექტის ამ ნაწილის დასრულება. ისეთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც გაზი მიენოდება პაკისტანის გვადარის (Gwadar) პორტს (პატარა ნახევარკუნძულზე ქვეყნის სამხრეთ დასავლეთით ომანის ყურის შესასვლელთან) შენელება და ზღვით ტრანსპორტირება ჩინეთში აღარ გაგრძელდება.

2010 წლის მარტში ჩინეთმა შეწყვიტა გვადარის განვითარებისთვის დახმარების განევა. ასევე მოიქცნენ რამდენიმე თვის შემდეგ ბალუჩისტანშიც, როდესაც უბიძგეს ხალიფას გადამამუშავებელი ქარხნის პროექტზე ფინანსების გაზრდისაკენ.

აზიის განვითარების ბანკი (ADB) აპირებს დააფინანსოს TAPI-ის შეფასებული ღირებულების ერთი-მესამედი. ეს განცხადება წარმოადგენს გეოეკონომიკური იზოლაციის მტკიცებულებას, რომელიც დაეხმარება აღდგეს დაფინანსება ფინანსური ცენტრებიდან და კერძო სექტორიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროპული საინვესტიციო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მსგავს როლს ასრულებენ ევროპული მილსადენებისათვის რუსეთიდან და სამხრეთ კავკასიიდან. ინდოეთმა თავიდანვე მიანიშნა, რომ სურს, მისმა საკუთარმა კომპანიებმა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი მილსადენის აგებაში, რასაც ბერდიმუხამედოვი კონსორციუმის დროს დაეთანხმა. ამგვარი გაერთიანების მიმართ ინტერესი გამოხატეს ამერიკამ და ჩინეთმაც. 2010 წლის დეკემბერში აშხაბადში შედგა შეხვედრა, რომელზეც ლიდერებს შორის გაფორმდა ოთხი ნაწილისგან შემდგარი ხელშეკრულება, ენერგეტიკის მინისტრებმა ასევე ხელი მოაწერეს დამატებით ჩარჩო ხელშეკრულებას. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს 2011 წლის დასაწყისში სამი ორმხრივი მოლაპარაკების სერიას თურქმენეთსა და დანარჩენ პარტნიორ ქვეყნებს შორის, რათა შეთანხმდნენ მიწოდების პირობებზე, სასაქონლო ფასებსა და სატრანზიტო ტარიფებზე. მოგვიანებით სხვა ოთხმხრივი შეხვედრა გაიმართება ყველა გაყიდვისა და გადახდის შეთანხმების გაფორმებისა და ლეგიტიმაციისთვის.



გრაფა 2. თურქმენეთის უდიდესი ბუნებრივი აირის საბადოები
<http://www.energy-pedia.com/news/turkmenistan/turkmenistan-seeking-foreign-bids-for-offshore-gas-fields>

ის ფაქტი, რომ ამჟამადმა აუნყა თავის პარტნიორებს, რომ გაზის წყარო მომდინარეობდა იოლოთან-ოსმანის სამხრეთიდან და არა დაუღელთაბადიდან, იმაზე მიუთითებს, რომ იგი ამზადებს საბოლოო გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ მონაწილეობა მიიღოს ტრანს-კასპიური გაზის მილსადენის (TCGP) მშენებლობაში აზერბაიჯანისკენ, რათა შევიდეს ნაბუქოს დასან ნებისმიერ სხვა გაზის გადატანის პროექტში ევროპისაკენ, რაც განსაზღვრულია ევროკავშირის სამხრეთ-დერეფნის სტრატეგიით.

დაუღელთაბადი იმიტომ არის გაზის წყარო ე.წ აღმოსავლეთ-დასავლეთ მილსადენისათვის (EWP) ქვეყნის შიგნით, რომ თურქმენეთმა გადაწყვიტა თავად ჩაეტარებინა მისი რეკონსტრუქცია, ვიდრე ეს გააკეთებინა გაზპრომს ან 70 საერთაშორისო კომპანიიდან ნებისმიერს, რომლებიც ალტაცებით გამოეხმაურებოდნენ საერთაშორისო ტენდერს.

EWP-ის დასავლეთ საზღვარი ქვეყნის კასპიის ზღვის სანაპიროდან არც ისე შორს არის და მისი პროგნოზირებული განახლე-



სურათი 1. თურქმენეთა დაასრულა EWP პროექტი
<http://www.inventingeurope.eu/story/gas-supply-north-south-vs-east-west>

ბული მოცულობა არის 30 bcm/y. ეს შეიძლება იყოს საჭირო მოცულობის მინიმუმი იმისათვის, რომ TCGP გახდეს კომერციულად ეფექტური და სასურველი სხვა მეთოდებით (როგორცაა შესქელება ან გათხევადება) გაზის ტრანზიციისათვის. 2010 წლის დეკემბერში ბაქოში კასპიის ზღვის სანაპირო ქვეყნების ხუთმხრივ სამიტზე, ბერდიმუჰამედოვმა განაცხადა, რომ ნებისმიერ ორ ქვეყანას უნდა ჰქონდეს უფლება ერთმანეთს შორის ააგოს წყალქვეშა მილსადენი ისე, რომ არ სჭირდებოდეთ დანარჩენების ნებართვა.

2. TAPI-ის მილსადენი: რატომ რჩება მხოლოდ, როგორც მილსადენის ოცნება?

TAPI-ის გაზის მილსადენი არის მთავარი პროექტი, რომელიც აკავშირებს ცენტრალურსა და სამხრეთ აზიას. 2015 წლის მარტში პაკისტანისა და ინდოეთის წყაროების განცხადებით, კომპრომისი იქნა მიღწეული თურქმენეთის პირობებზე, რომელიც წინათ აფერხებდა კერძო დაფინანსებას, აქედან გამომდინარე, TAPI-ის მილსადენის მშენებლობა დაიწყო 2015 წლის ბოლოსკენ. სამწუხაროდ, არ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ამ მილსადენის მშენებლობა მართლაც ასე მცირე დროში დაიწყება. მოცემული ნაშრომი ხაზს უსვამს მთავარ ფაქტორებს, რომლებიც აფერხებენ ენერჯის განვითარების გამოწვევებს ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ აზიას შორის, ასევე განმარტავენ იმ კონკრეტულ საკითხებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ TAPI-ის განხორციელებაში.

2015 წლის 15 მარტს ამ დღესთან მიძღვნილ მთავრობათშორის შეხვედრაზე ქაბულში შეთანხმებებმა TAPI-ის მშენებლობის შესახებ (გაზის მილსადენი, რომელიც გაივლის თურქმენეთის, ავღანეთის, პაკისტანის და ინდოეთის ტერიტორიებზე), შეანელა მნიშვნელოვანი დაბრკოლებები პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. სარტაჯ აზიზის (Sartaj Aziz) განცხადებით პროექტი დაიწყება 2015 წლის ბოლოსათვის.¹ ის გახლავთ პაკისტანის პრემიერ მინისტრის მრჩეველი ეროვნულ უსაფრთხოებასა და საერთაშორისო საკითხებში. ანგარიშებზე დაყრდნობით, თურქმენეთში უმნიშვნელოვანესი მიღწევა არის მფლობელობაზე და კერძო ინვესტიციებზე მიღწეული შეთანხმება².

¹ Tanchum, M. (2015), A Breakthrough on the TAPI pipeline? The Diplomat, 20 March. Available at: <http://thediplomat.com/2015/03/a-breakthrough-on-the-TAPI-pipeline/> [Accessed: 02 May 2015].

² Ibid.

მიუხედავად ამისა, TAPI-ის როგორც ინტეგრირებული პროექტის განხორციელება არის შორს რეალობისგან. მოცემული ანალიზი დააჯგუფებს პროექტის განხორციელების დაბრკოლებებს სამ ძირითად ჯგუფად და განიხილავს მათ შემდეგი წყობით: უსაფრთხოების საკითხები, გეოპოლიტიკური ფაქტორები, ეკონომიკური გამოწვევები.

2.1. უსაფრთხოების საკითხები

მოცემული პროექტის ყველაზე აქტუალური საკითხი არის ფიზიკური უსაფრთხოება. ეს საკითხი, ძირითადად, ეხება სატრანზიტო სახელმწიფოებს – ავღანეთსა და პაკისტანს.

TAPI გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი პროექტია, მაგრამ ბევრი სირთულითაა დატვირთული, რომლებიც, მომდევნო წლებში, ყველა მონაწილეს აქტიურობისკენ მოუწოდებენ.

ისევე როგორც IPI-ის (ირანი-პაკისტანი-ინდოეთი) პროექტთან დაკავშირებით, მილსადენის მარშრუტი ახლაც საკამათოა. დაახლოებით 1, 700 კმ-ის სიგრძის მილსადენი სათავეს აიღებს თურქმენეთის დაულათაბადის გაზის საბადოდან და ტრანზიტს შეასრულებს ჰერათის, ავღანეთში ჰელმანდისა და კანდაჰარის, პაკისტანში ქუეთსა და მულტანის და ინდოეთში ფაზილკის გავლით.

იმის გათვალისწინებით, რომ ავღანეთში მიმდინარეობს ამბოხება, კვლავ რჩება ავღანეთში მილსადენის უსაფრთხოების საკითხები. მანამ, სანამ ნატოს ჯარების ავღანეთში ყოფნა ხელს უწყობს მილსადენის მარშრუტის უსაფრთხოებას, მნიშვნელოვანია, კიდევ რამდენ ხანს დარჩებიან ისინი ქვეყანაში და რა მოხდება, როცა ისინი სამხედრო კოალიციის ნაწილს უკან გამოითხოვენ 2016 წლის ბოლოსთვის.

1) <http://www.bbc.co.uk/news/world-south-asia-11371138>

2) http://www.rs.nato.int/images//20160614_2016-06-rsm-placemat.pdf

ამასობაში, პაკისტანში არსებული მილსადენის 800 კმ-ის სიგრძის სექტორიც არ არის დაცული. მილსადენის ნაწილი გაივლის ბალოჩისტანშიც, სადაც ასევე ამბოხება მიმდინარეობს. ბა-

ლოჩისტანის გავლით ადგილობრივი მილსადენი, ფაქტობრივად, ყოველ დღე მიზანშია ამოღებული. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მნიშვნელოვანი გავლენის მქონე რესურსი ამ პროვინციის გავლით, დაცული იქნება მემბოხების მიერ. უფრო მეტიც, საერთაშორისო სპონსორებს არ ექნებათ სურვილი დააფინანსონ ისეთი პროექტი, რომლის უსაფრთხოებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მედია გამიზნულად თუ გაუცნობიერებლად თავს არიდებს ავღანეთის მოვლენების გაშუქებას, მას შემდეგ, რაც მოხდა ალ-ქაიდას ლიდერის ბინ ლადენის მკვლელობა და ნატოსა და აშშ-ის ჯარების გამოყვანა სახელმწიფოდან. ეს გვაძლევს წარმოდგენას, რომ უსაფრთხოების სიტუაცია სახელმწიფოში შესამჩნევად გაუმჯობესდა, თუმცა, როგორც ჩანს, რეალობა გარკვეულწილად უარესია, ვიდრე ზოგადააა გამოსახული. 2015 წლის მარტს პრეზიდენტმა ობამამ ვაშინგტონში დიდი პატივისცემითა და კომპლიმენტებით მიიღო თავისი ახალი ავღანელი კოლეგა აშფარ განი (Ashfar Ghani), რომელმაც აღიარა, რომ „ავღანეთი კვლავ სახიფათო ადგილია“ და ადგილობრივი ჯარები კვლავაც ვერ ინარჩუნებენ კანონმდებლობასა და წესრიგს სახელმწიფოში საერთაშორისო სამხედრო დახმარების გარეშე. მსგავსი შემთხვევით, რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი საკუთარ ღია წერილში აღწერს გარემოებას ცენტრალურ აზიაში, როგორც „ჩიხს“ და აღნიშნავს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია მერყევია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბან კი მუნი ავრცელებს გამაფრთხილებელ განცხადებას, რომ დღევანდელ პირობებზე დაყრდნობით, ქვეყანაში ამ სიტუაციის გარდაუვალობის რისკი კვლავაც არსებობს, განსაკუთრებით სუსტი მთავრობის ლეგიტიმურობითა და საკამათო არჩევნების ფონზე. ერთი წლის შემდეგაც კი მეტისმეტად ნაადრევია პრეზიდენტ აშრაფ აჰმადზაიზე გავლენის ქონა. 2014 წლის სექტემბერში სტრატეგორდის კვლევებმა ივარაუდეს მზარდი რისკები მას შემდეგ, რაც დასრულდა

აშშ-ის ჯარების გაყვანა¹. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ „პოლიტიკური ძალები კვლავაც შორს არიან გრძელვადიანი შეთანხმების მიღწევისგან“, ეს კი ნათლად გვიჩვენებს, რომ გაყოფილი პროდასავლური ფრონტი, დაუცველია ავღანელი თალიბანის წინაშე.

გასაკვირი არავისთვისაა, რომ ჭორები გარდაუვალი სამმხრივი მშვიდობის დაწყებისა აშშ-ს, ავღანეთსა და ავღანელ თალიბანს შორის იქნა უარყოფილი ოფიციალური წყაროების მიერ, ასევე დამტკიცდა, რომ ეს იყო ჭორები. მსგავს შეხვედრას ადგილი არც ჰქონდა და არც მომავალში იგეგმება². საბოლოო ჯამში, ზემოაღნიშნული სიტუაცია გვიჩვენებს, რომ საშუალო ხასიათის ვნებები და შეტაკებები იარსებებს ხანგრძლივად. 2012 წელს პაკისტანის პრესაში დაინერა, რომ „ავღანელმა თალიბანმა დაამტკიცა, რომ ეს პროექტი არ იქნებოდა საბოტაჟი“ და ეს გამოიყენა, როგორც ძირითადი არგუმენტი ტრანზიტის პრობლემის მოკლე დროში მოსაგვარებლად. **მთავარი საკითხია:** მიიჩნევა თუ არა თალიბანი რაციონალურ აქტორად? მოძრაობა დაფუძნებულია ფუნდამენტურ რელიგიურ ღირებულებებზე. იგი აგრძელებს ძალადობრივი აქტების განხორციელებას სახელმწიფოში და მთავარ ტერორისტულ შეტაკებებს ქვეყნის გარეთ. ადვილი მისახვედრია, რომ რელიგიური ღირებულებები ამ ჯგუფისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკური და ეკონომიკური მომგებიანობა. სიტუაცია, სადაც მთავრობა, რომელიც წინათ დაეთანხმა „არა საბოტაჟს“, შეცვალოს პოლიტიკური ორიენტაცია არჩევნების გამო, არ არის შორეული პერსპექტივა. შეინარჩუნებს თალიბანი შეთანხმებას „pacta sunt servanda – შეთანხმება უნდა შენარჩუნდეს“? საკითხავია!

¹ Stratfor (2014), Afghan Power-Sharing Deal Is Only a Temporary Fix. Available at: <https://www.stratfor.com/sample/geopolitical-diary/afghan-power-sharing-deal-only-temporary-fix> [Accessed: 02 May 2015].

² Panda A. (2015), Who's Negotiating with the Taliban Anyway? The Diplomat, 20 February. Available at: <http://thediplomat.com/2015/02/whos-negotiating-with-the-taliban-anyway/> [Accessed: 02 May 2015].

დასაშვებია ჯარების შემოყვანა სამშენებლო ოპერაციებისა და მილსადენის ფუნქციონირების დაცვის მიზნით, რომელმაც საკმაოდ საშიშ რეგიონებში უნდა გაიაროს (როგორცაა კანდა-ჰარი და ჰერეთი). სამხედრო ჯარების არსებობა გაზრდის ღირებულებას და გამოიწვევს უფრო მეტ დაუცველობას, რადგან იგი მოტივაციას მისცემს ტერორისტებს ტერორისტული აქტების ჩადენისაკენ. ინფრასტრუქტურა ჩანს, რომ არის ლეგიტიმურობის წყარო ცენტრალური მთავრობისათვის, ამიტომ ის არის ბუნებრივი სამიზნე ტერორისტული შეტაკებებისათვის.

საბოლოოდ, არსებობს მტკიცებულებების ნაკლებობა, რომ პროექტისათვის შერჩეული ტერიტორია ნაღმებისაგან უსაფრთხოა¹.

ასევე, არის ტერიტორიის უსაფრთხოების პრობლემები პაკისტანში. იგეგმება, რომ მილსადენი გაივლის სეპარატისტულ პროვინცია ბალუჩისტანზე, რომელიც სერიოზული საფრთხის ქვეშ იმყოფება.

აშკარაა, რომ ბალოჩის დამოუკიდებლობის ორგანიზაციები (Baloch independentism organisations) ხაზს უსვამენ, რომ ყოველი პროექტი, რომლის ტრანზიტშიც ჩართული იქნება მათი ტერიტორია, შეთანხმებული უნდა იყოს „ლეგიტიმურ“ წარმომადგენლებთან, ამ შემთხვევაში, ლონდონში დაფუძნებულ (London-based) ლიდერთან ჰირბაირ მართან (Hyrbyair Marri). მიუხედავად ამისა, საბოტაჟის რისკი ძალიან მაღალია. გარდა ამისა, ბალოჩის დამოუკიდებლები მოიპოვებენ მნიშვნელოვან ბერკეტს ისლამაბადის მთავრობაზე TAPI-სგან. ამასობაში, ინდოეთი მძიმედ დაიტანჯება ყოველი პროვოცირებული დარღვევისაგან.

საბოლოო ჯამში, რისკების გავლენა პროექტის ფიზიკურ ფუნქციონირებაზე არის ძალიან მაღალი და დამატებით არავითარი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არაა მოსალოდნელი.

¹ Foster J. (2010), Afghanistan, the TAPI Pipeline, and Energy Geopolitics.

2.2. გეოპოლიტიკური კონტექსტი

უსაფრთხოების საკითხები – ავღანეთის გავლით მშვიდობიანი ტრანზიტი პაკისტანში – არ წაახალისებდა უმეტეს საერთაშორისო კომპანიებს, ჩართულიყვნენ ამ პროექტში. მაშინ, რატომ მიისწრაფვიან და მიზნად ისახავენ მონაწილე მხარეები ამ პროექტში გრძელვადიან არასანდო ჩართულობას უდიდესი რისკის ფასად?

პასუხი შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ გრძელვადიანი პროექტი, განსაკუთრებით, როცა იგი ეხება ძირითადი წყაროების გაზიარებას, როგორცაა გაზი TAPI-ის შემთხვევაში, ნიშნავს, რომ გრძელვადიანი გეოპოლიტიკური თამაში რისკის ქვეშაა. ცენტრალურ აზიას აქვს სტრატეგიული ადგილმდებარეობა თითოეული აქტორისათვის – განსაკუთრებით თურქმენეთისთვის, პაკისტანისა და ინდოეთისათვის. მათ გააჩნიათ ძლიერი გეოპოლიტიკური ინტერესი იმისა, რომ განხორციელდეს მილსადენის პროექტი. კერძოდ, ამ ტერიტორიაზე ორი ტრადიციულად გეოპოლიტიკური მტერი პაკისტანი და ინდოეთი ხედავს მილსადენის პროექტს, როგორც ავღანეთთან ურთიერთდამოკიდებულების დამკვიდრებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. ინდოეთიც და პაკისტანიც ელიან შესაძლებლობებს იმისათვის, რომ გაზარდონ საკუთარი სტატუსი რეგიონში. ორივე სახელმწიფო მოიაზრებს ავღანეთს, როგორც სტრატეგიულ „აქტივს“, განსაკუთრებით ავღანეთის გეოგრაფიული პოზიციის გამო.¹

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ მილსადენის პროექტს ძლიერ მხარდაჭერას უცხადებს.² ამასთანავე, იმედია, რომ მილსადენი იქნება წევრი ქვეყნების ურთიერთობე-

¹ Shams S. (2014), India and Pakistan 'Battle' for Afghanistan. Available at: <http://www.dw.de/india-and-pakistan-battle-for-afghanistan/a-18073889> [Accessed: 02 May 2015].

² Foster J. (2010), Afghanistan, the TAPI Pipeline, and Energy Geopolitics.

ბის გაუმჯობესების ხელმშემწყობი ფაქტორი.¹ მთავარი მიზანია პრო-აშშ-ის „ფარდის“ განმტკიცება ამ ტერიტორიაზე, ამავდროულად, თურქმენეთში ჩინეთის მონოპსონის შეჩერება და პრივილეგირებული ურთიერთობების დამკვიდრება ამ ორ სახელმწიფოს შორის.

TAPI-ის მილსადენის გრძელვადიანობის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჩამოაყალიბებს დამოუკიდებელ ურთიერთობებს სხვა აქტორებთანაც.² ნეი და კეოჰანის (Nye and Keohane) ურთიერთდამოკიდებულების თეორიაზე დაყრდნობით, რომელიც წარმოდგენილია ნიგნში „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება – **Power and Interdependence**“, გრძელვადიან ურთიერთდამოკიდებულ ურთიერთობას შეუძლია მარტივად გახდეს ასიმეტრიული, რისი გამომწვევი მიზეზიცაა საგარეო და საშინაო ფაქტორების ზენოლა. ამ შემთხვევაში ასიმეტრიულობა შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ძალის წყარო.

ტრადიციულად დაძაბული საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში წარმოქმნილი ასიმეტრიულობა შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც იარაღი. თუ ბუნებრივი აირი გამოყენებული იქნება ძალის დემონსტრირებით, იგი გახდება ძალიან ხელსაყრელი მიზნების ან/და შურისძიების გასაქრობად. ამიტომ, კონფლიქტის ესკალაციის რისკები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, განსაკუთრებით ინდოეთისა და პაკისტანის ბირთვული სტატუსის ფონზე.

თუ განვიხილავთ მაკრო საფეხურს, მილსადენმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ჩინეთი-აშშ-ის ურთიერთობების გაუარესებას, რაც განპირობებული იქნება წინა შესაძლო გამაძლიერებელი „გარემოცვითი კომპლექსით“. მისი გამოვლენა უფრო მეტად შესაძ-

¹ Bahar Khan A. (2014), TAPI Pipeline: A Nexus for Peace and Stability. [Available at: <http://www.pakistantoday.com.pk/2014/08/02/comment/TAPIPipeline-a-nexus-for-peace-and-stability/>] [Accessed: 02 May 2015].

² Keohane R., Nye J. (2001), Power and Interdependence, NY: Longman. Pp. 10-11.

ლოა ჩინეთის აშკარა ინტერესის გამოღვიძებით ცენტრალური აზიის რესურსებზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩინეთი ეცდება, რომ დაძლიოს ამერიკის ღია მხარდაჭერა და მისი მიზანი, რომ მოიპოვოს თურქმენეთის კეთილგანწყობა, როგორც მისი დე ფაქტო უნიკალური მომხმარებელი და მოკავშირე.

საბოლოო ჯამში, პროექტი მეტად გახლართულია მრავალმხრივი გეოპოლიტიკური ინტერესების ქსელში. ინდოეთი და პაკისტანი ზრუნავენ, რომ გადააჭარბონ გაზის ვაჭრობის პოტენციურ სარგებელს საკუთარი რეგიონული მიზნების გამო, რაც ინვესტს იმის რისკს, რომ შესაძლოა მოწყვლადობიდან არასანდო პარტნიორები გახდნენ. გარდა ამისა, რეგიონში ვხვდებით ჩინეთისა და აშშ-ის წინააღმდეგობებს.

2.3. პროექტის ეკონომიკა

ყველაზე კრიტიკული ასპექტი ინვესტორებისათვის არის თურქმენეთში სამხრეთ იოლოტან სფეროს (South Yolotan field) შეფასება იმისათვის, რომ გამოიყენონ გაზის ძირითადი წყარო TAPI-სთვის. უახლესი ვარაუდები, რომლებიც წამოჭრილია დამოუკიდებელი ბრიტანული აუდიტ გაფნისგან (the independent British auditor Gaffney), Cline & Associates-მა გამოაქვეყნა ანგარიშები გაზის 21.2 ტრილიონი კუბური მეტრის გაუმჯობესების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც გახდის მას მსოფლიოში გაზის მეორე უდიდეს რეზერვუარს ირანის/კატარის სამხრეთ პარსის შემდეგ¹. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვარაუდები მკაცრად გაკრიტიკებულია, ამ სფერომ შესაძლოა გადაიტანოს პროდუქციის მოცულობა, რაც შეთანხმებული იქნება ჩინეთის მიერ². თურქმენ-

¹ Henni A. (2014), Gas for Cash: The Future of Turkmenistan. Available at: <http://www.spe.org/news/article/Turkmenistan-Gas-for-Cash> [Accessed: 02 May 2015].

² CNPC (2015), Flow of Natural Gas from Central Asia. Available at: <http://www.cnpc.com.cn/en/FlowofnaturalgasfromCentralAsia/FlowofnaturalgasfromCentralAsia2.shtml> [Accessed: 02 May 2015].

ნეთი საერთაშორისო კომპანიებს სახმელეთო ზონაში ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და განვითარების ნებას არ რთავს, ერთადერთი გამონაკლისი არის ჩინური CNPC – ჩინეთის ეროვნული პეტროლიუმის კორპორაცია.


2013 წელს ევროპულსა და ამერიკულ IOCS-ს შორის დაიდო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ განვითარებინათ პროექტები და გაეცვალათ სამხრეთ იოლოტანთან წარმოებული გაზი, რომელიც TAPI-ის ავსებდა. ეს შეთანხმება მოქმედებაში ვერ მოვიდა, ოფშორული მოპოვების მაღალი ღირებულებისა და რისკების გამო¹. გარდა ამისა, ამ მომენტში მხოლოდ CNPC-ს აქვს ტექნიკური ცოდნა, გამოცდილება და ეკონომიკური უნარიანობა, რომ ჩადოს შესაბამისი ინვესტიცია პროექტისათვის, რაც ჩინეთის ეროვნულ ინტერესს ეწინააღმდეგება.

კონტროლის გარეშე საერთაშორისო კომპანიები არ ჩადებენ ინვესტიციებს მოცემული პროექტის რეალიზაციაში და (FDI- **Foreign direct investment**)-ის მნიშვნელოვანი შენაკადი არის საჭირო მისი განხორციელებისათვის. და აი, ძირითადი ფინანსური საკითხიც: 2008 წელს პროექტის ღირებულება ჯდება დაახლოებით 7.6 მილიარდი დოლარი, მაგრამ 2012 წლისთვის ამ ღირებულებამ შეადგინა 12 მილიარდი დოლარი.² საერთაშორისო ინვესტორების არარსებობის გამო, დარჩენილი პარამეტრები შეთავაზებული სახელმწიფოებისთვის გულისხმობს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ყველა საჭირო დაფინანსება თავად უნდა უზრუნველყონ.³ 2008 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, პროექტის ღირებულება დამოკიდებულია აზიური განვითარების ბანკის

¹ Bhutta Z. (2013), TAPI project: Turkmenistan Offers Global Companies Role in Gas Export.

² Tanchum, M. (2015), A Breakthrough on the TAPI pipeline?

³ Asian Development Bank (2014), Budget of the Asian Development Bank for 2015. Available at: <http://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/151406/r171-14.pdf> [Accessed: 02 May 2015].



რუკა 18. ზღვისქვეშა მილსადენი ირანიდან ინდოეთში
<http://indianexpress.com/article/india/india-others/stuck-in-the-pipeline-a-4-billion-deep-sea-gas-project/>

ფინანსურ შესაძლებლობებზე, რაც გულისხმობს მნიშვნელოვან რისკებს.

TAPI-ის მილსადენისთვის არის ორი მთავარი ალტერნატივა: „მშვიდობიანი მილსადენი“ ირანსა და ინდოეთს შორის პაკისტანის გავლით და ომან-ინდოეთის ოფშირული მილსადენი.

„მშვიდობიანი მილსადენი“ ირანის სამხრეთ პარსიდან ინდოეთამდე პაკისტანის გავლით მოიაზრებოდა და იყო ყველაზე დამაიმედებელი ვარიანტი მანამ, სანამ 2012 წელს ირანის წინააღმდეგ სანქციები დაწესდებოდა. ამ გადმოსახედიდან ჩანს, რომ TAPI-ი არის „სანქციების განშტოება“. ღირებულება დაახლოებით იმავე რაოდენობაზე მერყეობს (7.5 მილიარდი დოლარი).¹ ჩინეთმა უკვე განაცხადა, რომ იგი დააფინანსებს ირანი-პაკისტანის გაზის მილსადენის შემცირებულ პროექტს, რომელსაც არ ექნება არანაირი ტრანზიტი ავღანეთის გავლით (მიუხედავად იმისა, რომ ბალუჩისტანი მოიაზრება, როგორც სატრანზიტო საკითხი) და მოსალოდ-

¹ RT (2015), China to Build \$2bn Iran-Pakistan Pipeline. Available at: <http://rt.com/business/248313-china-iran-pakistan-gas-pipeline/> [Accessed: 02 May 2015].

ნელი არაა, რომ აშშ-ისგან მიიღონ ვეტოს გამოყენების უფლება პაკისტანის წინააღმდეგ. მადლობა ჩინეთს მხარდაჭერისათვის. ინდოეთმა უკვე გაიყვანა „მშვიდობის მილსადენის“ უსაფრთხოებისა და ფინანსური საკითხების წინასწარი ეტაპი.

სანაცვლოდ, ინდოეთს შეუძლია მიიღოს გაზის მოცულობა, ირანი-ომანი-ინდოეთის მილსადენისაგან, რომლის ოფშირული სექცია დაჯდება დაახლოებით 4-5 მილიარდი დოლარი.

ამ შემთხვევაში, სატრანზიტო რისკები პაკისტანის ჩართვისგან იქნება შემცირებული და გეოპოლიტიკური პრობლემებიც საგრძნობლად შემცირდება.

ბოლო ვარაუდებზე დაყრდნობით, TAPI-ის ორი ალტერნატიული გზის მშენებლობის ღირებულება TAPI-ის ღირებულებას გადააჭარბებს დაახლოებით 1 მილიარდი დოლარით, რომლის ცდაც ნამდვილად ღირს.

ამ შემთხვევაში ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც წაგებაში იქნება არის თურქმენეთი. აშხაბადის მრავალფეროვანი ოცნებები განადგურდება. მიუხედავად ამისა, წაგება შესაძლოა იყოს დროებითი: მიუხედავად იმისა, რომ ირანს აქვს გაზის უდიდესი რეზერვი ქვეყნის შიგნით, ის წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს მომხმარებელს მსოფლიოში და აქვს ძალიან დაბალი დონის ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ მან განაცხადა თურქმენეთის გაზის ტრანზიტზე თანხმობა დამატებითი ექსპორტისათვის, აქედან FDI (*A foreign direct investment*) მიიღებს სარგებელს იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს ახალი ტრანს-სასაზღვრო ინფრასტრუქტურებისა და სასოფლო ტერიტორიების გაზიფიცირებას რეგიონში.

ეს ყველაფერი აშკარად დამოკიდებულია ინდოეთისა და პაკისტანის მოთხოვნაზე, ხოლო ალტერნატიული LNG-ის მოხმარების ღირებულების გათვალისწინებით, სცენარი შესაძლოა არა ნაიშალოს, არამედ, ერთი შეხედვით, გამოჩნდეს კიდევც.

2.4. პროექტის წარმატებლობა

გაზსადენის თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთი (TAPI) პროექტის განხორციელების საკითხი დაიძრა მკვდარი წერტილიდან ოცდახუთწლიანი დისკუსიის შემდეგ, რის შედეგადაც TAPI-ს თურქმენული მონაკვეთი შესრულების სტადიაზე გადავიდა. 2015 წლის დეკემბერში თურქმენეთის ქალაქ მარში, დედაქალაქი აშხაბადიდან 311 კმ-ში, გაიმართა TAPI-ის გაზსადენის მშენებლობისთვის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია. ამ გრანდიოზულ მოვლენას ესწრებოდნენ თურქმენეთის ლიდერი გურბანგულ ბერდიმუჰამედოვი, პაკისტანის პრემიერ-მინისტრი ნავაზ შარიფი, ავღანეთის პრეზიდენტი აშრაფ განი აჰმადაი და ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი მუჰამმად ჰამიდ ანსარი. პროექტის ჩანაფიქრის მიხედვით, ბუნებრივი აირის მიწოდება იგეგმება თურქმენეთის საბადო გალკინიშიდან ინდოეთის ფაზილკას პროვინციამდე (პენჯაბი). გაზსადენის ტრასა გაივლის გერატს, კანდაგარს (ავღანეთი), კვეტუს და მულთანს (პაკისტანი), ხოლო შემდეგ აღწევს ინდოეთის საზღვარს. 2015 წლის 13 დეკემბერს თურქმენეთმა დაიწყო მუშაობა თავისი ტერიტორიის გაზსადენის 214 კმ-იან მონაკვეთზე. ავღანეთში გაზსადენის სიგრძე 773 კმ-ია, პაკისტანში – 827 კმ. სრულდება პენჯაბში (ინდოეთი).

წარმატებით დასრულების შემთხვევაში, TAPI-ის გაზსადენი განკუთვნილი იქნება ბუნებრივი აირის 33 მლრდ კუბამეტრის ტრანსპორტირებისთვის გალკინიშის უზარმაზარი საბადოდან მეზობელ რეგიონებში, რომლებიც განიცდიან ენერჯის ნაკლებობას. ეს გაზსადენი ავღანეთისთვის და პაკისტანისთვის უზრუნველყოფს ერთგვარ ენერგეტიკულ სიმყარეს, ასევე, ხელს შეუწყობს ინდოეთის ეკონომიკას უზრუნველყოს საკუთარი მზარდი ენერგეტიკული მოთხოვნილებები. TAPI მიაწვდის ავღანეთს დღელამის განმავლობაში ბუნებრივი აირის 14 მლნ სტანდარტულ კუბამეტრს, მაშინ როდესაც ინდოეთი და პაკისტანი მიიღებენ დღე-

ლამეში 38 მლნ კუბამეტრს. მთლიანობაში, TAPI-ის სიმძლავრე შეადგენს 90 მლნ სტანდარტულ კუბამეტრს დღე-ღამეში.

თუმცა TAPI-ის გაზსადენის პროექტი ფინანსურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, ხოლო აზიის განვითარების ბანკის მიხედვით TAPI-ის მიახლოებითი ღირებულება შეადგენს, როგორც მინიმუმ, 10 მლრდ ამერიკულ დოლარს. 2016 წლის თებერვალში სტამბოლში ოთხივე მონაწილე ქვეყნის ლიდერმა ხელი მოაწერა TAPI-ის გაზსადენთან დაკავშირებულ საინვესტიციო ხელშეკრულებას. როგორც აღნიშნულია სააგენტო „რეიტერი“-ს დეკემბრის სტატიაში, „TAPI-ის მშენებლობა მიმდინარეობს სახელმწიფო კომპანიის „თურქმენგაზი“-ის მხარდაჭერით და ჯერჯერობით არცერთი მსოფლიო ენერგეტიკული კომპანია არ დაინტერესებულა ამ პროექტით, რომლის ღირებულება დაახლოებით შეადგენს 2016 წლის თურქმენეთის ბიუჯეტის მესამედს“. „თურქმენგაზი“ იქნება კონსორციუმის ლიდერი და მიიღებს წილის 85%-ს. გარდა ამისა „GAIL“ (ინდოეთი), „ISGS“ (პაკისტანი) და „Afghan Gas Enterprise (AGE)“ (ავღანეთი) ჩადებენ თითოეული 5 %-ს. საინვესტიციო შეთანხმებით, სამი მონაწილე ქვეყნის თითოეულმა წევრმა უნდა მიიღოს წილის 5%, რაც გულისხმობს ყველა მხარისგან თავდაპირველი ფულის ჩადების საჭიროებას, რაც თითოეულისთვის შეადგენს მიახლოებით 200 მლნ დოლარს. გარდა ამისა, აზიის განვითარების ბანკი წარმოდგენილია სამდივნოსა და TAPI-ის ტრანსაქციების კონსულტანტის სახით.

აშხაბადი თვლის, რომ გაზსადენის ექსპლოატაცია დაიწყება 2019 წლის დეკემბერში, ასევე დიდ იმედებს ამყარებს TAPI-ის პროექტზე, რის გამოც მთავრობამ გადაწყვიტა პროექტის ღირებულების 85% შეეტანა თურქმენეთის შიდა წყაროებიდან. ცხადია, რომ ეს ნაბიჯი წინ წასწევს TAPI-ის პროექტის განხორციელებას. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გაზსადენის სატრანზიტო ქვეყანა უსაფრთხოების მხრივ მძიმე ვითარებაშია, რადგან ავღანეთის პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

2.5. პროექტის უპირატესობების ანალიზი

გაზსადენი TAPI იწყება თურქმენეთში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე იზოლირებულ ქვეყანაში, შემდეგ გადის პოლიტიკურად არასტაბილურ და არაუსაფრთხო ავღანეთზე, ხოლო შემდეგ უახლოვდება ორ ქვეყანას, რომელთაც რთულია ვუნოდოთ პარტნიორები – პაკისტანი და ინდოეთი. შესაბამისად, ცხადია, რომ ცენტრალური და სამხრეთ აზიის დამაკავშირებელი ბმულის შექმნის მცდელობის შემთხვევაში, პროექტს ელის რიგი სირთულეები. მიუხედავად ამისა, პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, შედეგები არა მხოლოდ ეკონომიკურ კეთილდღეობას შეუწყობს ხელს წევრ ქვეყნებში, არამედ გზას გაუკაფავს თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს. მაშ ასე, ავღანეთს თავისი ელექტროენერჯის სიმძლავრის და წარმოების გასაზრდელად ესაჭიროება გარანტირებული ენერჯის წყარო. პაკისტანშიც ელექტროენერჯის ნაკლებობაა და თავისი მოთხოვნილებებისთვის ესაჭიროება დამატებითი სიმძლავრე. პაკისტანში ელექტროენერჯის ნაკლებობა გამოწვეულია რამოდენიმე ფაქტორით, მათ შორის, გაზის მიწოდების შემცირებით და (თუ არ ჩავთვლით CASA 1000) ენერჯის ალტერნატიული წყაროს არარსებობით. ინდოეთი, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვისა და ეკონომიკის ზრდის შედეგად, იმავე პრობლემებს აწყდება. TAPI – სამომავლოდ, რეგიონული თანამშრომლობის პროექტი გაზრდილი ინვესტიციებით, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას და ვაჭრობის განვითარებას, გაათანაბრებს მონაწილეთა წილს და მხარს დაუჭერს რეგიონულ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. იმის გათვალისწინებით, რომ გაზი წარმოადგენს საწვავის ეკოლოგიურად სუფთა სახეობას, TAPI-ის პროექტის განხორციელება შეამცირებს გარემოსთვის ზიანის მიყენების დონეს. თურქმენეთს, რომელიც ფლობს ბუნებრივი აირის მსოფლიოში სიდიდით მეოთხე საბადოს, გასასვლელი აქვს მხოლოდ ირანის, რუსეთისა და ჩინეთის ბაზრებზე. ავღანეთის შემთხვევაში, TAPI-ის პროექტი ადგილობ-

რივ მოსახლეობას შეუქმნის სამუშაო ადგილებს და შეიძლება მოხსნას ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დაძაბულობა.

თავის მხრივ, პაკისტანის მთავრობა TAPI-ის გაზსადენის გაყვანას განიხილავს მნიშვნელოვან პროექტად, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობის ახალი ეპოქის დაწყებას რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე. რეგიონულ თანამშრომლობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთსაც გააჩნია ეკონომიკური ინტერესები ავღანეთსა და პაკისტანში. მაგალითად, პროექტი “China Metallurgical Group Corporation” (CMGC), რომელიც მუშაობს უზარმაზარი სპილენძის საბადოს ხაზით აინაკში ლოგარის პროვინციაში (ავღანეთი), სადაც უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. TAPI-ის გაზსადენის პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს მადანის დამუშავების ტექნოლოგიისთვის. ეს მოითხოვს დიდი მეტალურგიული სანარმოს მშენებლობას, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს სანვავს.

აღნიშნული კომბინატი, სხვა მადანის დამუშავებასთან დაკავშირებული დარგების მსგავსად – ფოლადმდნობი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები – შეიძლება გახდნენ TAPI-ის გაზსადენის მიერ მიწოდებული ბუნებრივი აირის ძირითადი მომხმარებლები. ამრიგად, TAPI ხდება ჩინეთის ეკონომიკური ინტერესების გამტარი მექანიზმი ავღანეთში. გარდა ამისა, ინდოეთსაც და პაკისტანსაც სჭირდებათ გრძელვადიანი გადაწყვეტილებები თავიანთი მუდმივად მზარდი ენერჯის მოთხოვნილებებისთვის. მიწოდების დეფიციტი განსაკუთრებით, ელექტრომომარაგების, არსებითად ანელებს ორივე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. სამხრეთ აზიაში ბუნებრივი აირი სწრაფად იძენს მნიშვნელობას ელექტროენერჯის წარმოებისთვის ძირითადი სანვავის სახით. გაზის ელექტროსადგურებს ნაკლები ხარჯები სჭირდება, ვიდრე ენერჯის წარმოების ალტერნატიული ობიექტების მშენებლობას, ისეთების როგორცაა: ატომური სადგურები, ჰიდროელექტრო სადგურები და ქვანახშირის ელექტრო სადგურები. გაზის ტურბინები მეტად

სრულყოფილია და შეუძლიათ სწრაფად მოახდინონ რეაგირება ქარბი მოთხოვნების არსებობისას. ასევე გაზის ელექტროსადგურები მთლიანობაში უფრო იაფია, ვიდრე სანვავის ან დიზელის, რომელთაც ხშირად იყენებენ ელექტროენერჯის წარმოებისთვის ინდოეთსა და პაკისტანში. როგორც წესი, სამხრეთ აზიაში ენერჯის დეფიციტის პრობლემის მოგვარების ყველაზე ხელსაყრელი მეთოდი ეფუძნება გაზის ელექტროსადგურების მშენებლობას.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე „სამხრეთ და ცენტრალური აზიის საქმეთა ბიურო“, დენიელ როზენბლიუმი, დადებითად გამოეხმაურა TAPI-ის პროექტს. „პირველ რიგში, აშშ მხარს უჭერს TAPI-ის პროექტს, რადგან, ჩვენი აზრით, მას გააჩნია ენერგეტიკული უსაფრთხოების კონტექსტში რეგიონის ტრანსფორმაციის პოტენციალი ქვეყნებისთვის და სავაჭრო კავშირების განვითარებისათვის. ჩვენ ასევე ვთვლით, რომ მოცემული პროექტი იქნება წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მას განახორციელებენ სტაბილური ფინანსური მხარდაჭერის საფუძველზე. ამიტომ გვინდა წავახალისოთ საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიის ჩართვა TAPI-ის პროექტში, რომელიც პროექტის ლიდერის სახით იქნებოდა წარდგენილი. წარსულში ანალოგიური პროექტებისთვის მსგავსი ხერხი მუშაობდა და, ჩვენი აზრით, ეს აუცილებელი კომპონენტია პროექტის სისრულეში მოსაყვანად“.

თუ პროექტი წარმატებით დასრულდება, მას შეეძლება მეტი ინვესტიციების მოზიდვა ავღანეთსა და პაკისტანში. სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდა სატრანზიტო გადასახადების ხარჯზე, ასევე, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

მეორე მხრივ, TAPI-ის პროექტის შემუშავების ყველა ეტაპზე მონაწილეობაზე მზადყოფნას გამოთქვამდა რუსეთიც. 2014 წლის მაისში კასპიის ზღვის აუზში მეხუთე საერთაშორისო გაზის კონგრესის დროს, მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწემ არკადი დვორკოვიჩმა გამოთქვა დაინტერესება რუსული ენერგეტი-

კული კომპანიების თანამშრომლობაზე. თუმცა, სინამდვილეში რუსეთი არ მონაწილეობს TAPI-ის პროექტში და განიხილავს მას, როგორც საშიშროებას მისი გავლენისთვის ცენტრალური აზიის ენერგეტიკულ ბაზარზე. ახლა რუსეთი გეგმავს გაზსადენის გაყვანას სინცზიანიდან ინდოეთში. მეტიც, რუსეთის ბოლოდროინდელი შეთავაზება გაზსადენის გაყვანის შესახებ ირანიდან პაკისტანში არის საკუთარი გავლენის ზრდის მცდელობა პაკისტანში, აგრეთვე ხერხი გავიდეს ინდოეთის ენერგეტიკულ ბაზარზე. როგორც ჩანს, რუსეთი ცდილობს შექმნას რაც შეიძლება მეტი ალტერნატიული მარშრუტი იმ შემთხვევისთვის, თუ TAPI-ის პროექტი ჩაიშლება 2019 წლამდე.

2.6. წინააღმდეგობების გორგალი და TAPI

TAPI-ის გაზსადენის დადებით და ოპტიმისტურ მოლოდინებთან ერთად, ასევე არსებობს რიგი წინააღმდეგობების, რომლითაც შესაძლებელია პროექტის ჩიხში შეყვანა. რაც შეეხება პრობლემებს, ყველაზე მნიშვნელოვანია ავღანეთსა და პაკისტანში უსაფრთხოების სფეროში არსებული სირთულეები, დაფინანსების და მისი განაწილების საკითხები, ასევე გეოპოლიტიკური პრობლემები.

უსაფრთხოების სფეროში არსებული სიტუაცია მრავალი წლის განმავლობაში ვერ დარეგულირდა და ცხადია, რომ ის ქმნის დიდ დაბრკოლებას TAPI-ის პროექტისთვის. ავღანეთში არსებული უსაფრთხოების მაჩვენებლის მიხედვით, პროექტის დასრულებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თალიბანის მოძრაობა. გადაუჭრელ პრობლემად რჩება ჩრდილოეთ ავღანეთის უსაფრთხოება, კერძოდ, თურქმენეთ-ავღანეთის საზღვარი. ავღანეთის ლიდერმა ამრაფ განიმ გაზსადენის უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით შესთავაზა 7000 ჯარისკაცის განლაგება. პაკისტანის პროვინცია ბალუჩისტანს სადაც თალიბანის მოძრაობის ლიდერთა და მონაწილეთა უმრავლესობა არის ფეხმოკიდებული, ასევე ექმნება

უსაფრთხოების შენარჩუნების პრობლემა. რა გასაკვირია, თურქმენეთი გაიყვანს გაზსადენის მისეულ ნაწილს, მაგრამ გავა საკმაოდ დიდი დრო, სანამ პაკისტანი და ინდოეთი შესძლებენ სარგებლის მიღებას თურქმენეთის გაზისგან.

მეტიც, პროექტის ბიუჯეტის და ფინანსური ნაწილი 10 მლრდ დოლარის ღირებულებით რჩება გაუგებარი, რადგან თურქმენეთმა უარი განუცხადა უცხოურ კომპანიებს თავის გაზის საბადოებიდან წილის მიღებაზე. ამის შედეგად, ყველა მსხვილმა ევროპულმა და დასავლურმა ენერჯეტიკულმა კომპანიამ ინტერესი დაკარგა TAPI-ის პროექტის მიმართ. მთავრობა აცხადებს, რომ გაზის საბადოები საერთო ეროვნულ რესურსს წარმოადგენს და მთავრობას უნდა შეეძლოს მისი სრული კონტროლი. გარდა ამისა, თუ პროექტი წარმატებით დასრულდება, ინდოეთსა და პაკისტანს შორის ურთიერთობებმა შეიძლება შექმნან დამატებითი პრობლემები. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ინდო-პაკისტანური ურთიერთობები გართულებულია რიგი ისტორიული და პოლიტიკური მოვლენების გამო. ამ მხრივ, პაკისტანზე გამავალი გაზსადენი ასევე შეიძლება გახდეს პოლიტიკური იარაღი ინდოეთის წინააღმდეგ დაძაბული ვითარების არსებობაში ამ ქვეყნებს შორის.

2.7. უსაფრთხოების სფერო

ინდოეთის ბაზარი ღიაა და მზადაა იხადოს თანხა ბუნებრივ აირზე, ხოლო თურქმენეთი, თავის მხრივ, მზადაა შეავსოს გაზსადენი. გაზსადენს ასევე შეუძლია შეარბილოს პოლიტიკური სიტუაცია ავღანეთში, გააუმჯობესოს ურთიერთობები ინდოეთსა და პაკისტანს შორის, მთელ რეგიონში გაზარდოს სამუშაო ადგილების რაოდენობა, ყველა მონაწილე ქვეყნის ბიუჯეტი და მოიზიდოს მეტი ინვესტიცია.

თუმცა უსაფრთხოების სფეროში არსებული სიტუაცია ინვესტორებს შეშფოთებას, რადგან გაზსადენის ტრასა გადის ავღანეთის ერთ-

ერთ საფრთხის შემცველ მონაკვეთზე, კერძოდ, სამხრეთით, სადაც მოძრაობა „თალიბანი“ ფლობს მნიშვნელოვან კონტროლს. თავის მხრივ, ავღანეთი უზრუნველყოფს გაზსადენის ტრასის დასაცავად 7000 ჯარისკაცს, რაც ნიშნავს სადენის ყოველ კილომეტრზე 10 ჯარისკაცის განლაგებას. ეს უჩვენებს პროექტისადმი ავღანეთის დიდ დაინტერესებას და ასახავს მთავრობის ძალისხმევას გაზსადენის მშენებლობის განსახორციელებლად. რთული ვითარებიდან ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს კონსტრუქციული დიალოგის გამართვა ავღანურ მთავრობასა და მოძრაობა „თალიბანის“ ლიდერებს შორის. მთლიანობაში აღნიშნული პროექტი მოიტანს დიდ სარგებელს და ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება დასტაბილურდება. ადგილობრივ ლიდერებს და „თალიბანს“ შეუძლიათ ავღანეთში მიმდინარე პროცესში მიიღონ მონაწილეობა და იგრძნონ საკუთარი თავი უზარმაზარი პროექტის ნაწილად. სარგებელი შეიძლება გახდეს ქვეყნების მიერ ერთობლივი ტრანზიტული გადასახადები. თუ მშვიდობიანი მოლაპარაკებები მოიტანს საგრძნობ შედეგებს, მაშინ გაზსადენის პროექტი შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ TAPI-ის შესახებ მოლაპარაკებები იყო დანყებული 90-იან წლებში და ყველა განხილვა პროექტის შესახებ და მის მომავალზე მიმდინარეობდა იმდროინდელ მთავრობასა და თალიბანს შორის. 90-იან წლებში ისინი იყვნენ დაინტერესებულები და უდავოდ ახლაც იქნებიან დაინტერესებულნი, როდესაც ქვეყანას ესაჭიროება დიდი გარდაქმნები. თუ „თალიბანი“ იქნება დაინტერესებული და მიიღებს პროექტში მონაწილეობას ეს მოუტანს სარგებელს მთელ ავღანეთს, ხოლო გაზსადენი უსაფრთხოდ გაივლის მის ტერიტორიაზე.

გაზსადენის ცენტრალური აზია-ჩინეთი და თურქმენეთი-ირანი შეიძლება იქცეს წარმატებული პროექტის კარგ მაგალითად, მაგრამ ორივე პროექტი ფინანსდებოდა და იმართებოდა მიმღები ქვეყნების მიერ. ტრანსკასპიური გაზსადენიც არის პროექტი, რო-

მელიც გახსნის ევროკავშირის გაზის ბაზარს თურქმენეთის გაზის საბადოსთვის.

მეორე მხრივ, TAPI შეიძლება გარდაიქმნას არაეფექტურ პროექტად, რადგან თურქმენეთი გაიყვანს თავის გაზსადენს ავღანეთის საზღვრამდე და დაელოდება კონფლიქტის და პრობლემების დასრულებას მომდევნო ქვეყანაში. რა თქმა უნდა, შეიძლება ვიმედოვნოთ ოპტიმისტურ სცენარზე, თუმცა, თალიბანთან დაკავშირებული პრობლემა ვერ გადაიჭრება მოკლე ხანში, მანამ სანამ არ გაიმართება კონსტრუქციული დიალოგი. პროექტის ბიუჯეტის ფორმირება და დაფინანსება დღემდე იწვევს ეჭვებს. ადრე თურქმენეთი ფრანგულ კომპანიას "Total"-ს განიხილავდა და სთავაზობდა მას კონსორციუმის ლიდერობას. უეცრად თურქმენეთის მხარემ შეწყვიტა მოლაპარაკებები და გამოაცხადა საკუთარი თავი პროექტის ლიდერად. თუმცა ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ კომპანი "Total"-მა იგრძნო საფრთხე და პრობლემები, რომელიც თან მოაქვს პროექტს და უარი განაცხადა მრავალმილიარდიან დაფინანსებაზე. ხოლო 2014 წლის 20 ოქტომბერს ავიაკატასტროფის შედეგად TOTAL-ის პრეზიდენტი Christophe de Margerie იღუპება მოსკოვის აეროპორტში. ცნობილია, რომ TAPI-ის გაზსადენის გაყვანა ხორციელდება სახელმწიფო კომპანიის „თურქმენგაზის“ მიერ და ჯერჯერობით არცერთი მსოფლიო გაზის კომპანია არ დაინტერესებულა პროექტით, რომლის ღირებულება შეადგენს თურქმენეთის 2016 წლის ბიუჯეტის მესამედს. ახლა თურქმენეთმა მისი ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად აქცენტი უნდა გადაიტანოს შეთანხმების დადებაზე საერთაშორისო ენერგეტიკულ გიგანტებთან. ამჟამად TAPI-ის პროექტში შემჩნეული კომპანია არის "Dragon Oil" (დუბაი), რომელიც აწარმოებს ნავთობს თურქმენეთის კასპიის შელფზე. თურქმენული ნაწილის ხარჯების 85% შეადგენს 8,5 მლრდ ამერიკულ დოლარს, ამიტომ საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება საერთაშორისო კომპანიის მოძებნა პარტნიორობისთვის კონსორციუმში ან შეთანხმების დადება საერთაშორისო დონორთან.

რეკომენდაციები:

- მრავალმხრივი მოღვაწეობების ჩატარება და ურთიერთ-სარგებლიანი კომპრომისის მოძებნა ავღანეთში უსაფრთხოების პრობლემის მოსაგვარებლად.
- გაზსადენის ტრასის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეთანხმების დადება დაინტერესებულ მხარეებთან სატრანზიტო გადასახადების ერთობლივ მოხმარებაზე.
- შეთანხმების დადება საერთაშორისო ენერგეტიკულ კომპანიასთან პროექტის ხარჯებში მონაწილეობის მისაღებად და შეუწელებლად განსახორციელებლად.
- საერთაშორისო კონსორციუმის დამხარებით „თურქმენგაზი“ შეიძლება გახდეს პროექტის ლიდერი.

TAPI-ის გაზსადენის ოპტიმისტური სცენარი შემდეგია, ავღანური მთავრობა კომპრომისზე მიდის „თალიბანის“ ლიდერებთან და ხდის მათ პროექტის ნაწილად, რადგან „თალიბანი“ დასაწყისიდანვე იყო შესაძლო მონაწილე პარტნიორი გაზსადენის განხილვაში. გარდა ამისა, ობიექტის მშენებლობისთვის განეულ ხარჯებში მონაწილეობისთვის „თურქმენგაზმა“ დადო შეთანხმება საერთაშორისო ენერგეტიკულ სპონსორთან. ზემოაღნიშნული პუნქტების შესრულება TAPI-ის გაზსადენის პროექტს გახდის რეალურს და მას ექნება შანსი დაიწყოს ფუნქციონირება 2019 წლიდან როგორც იყო დაგეგმილი.

2.8. არაუსაფრთხო გაზსადენი!

მაღე გამოაცხადებენ ტენდერს TAPI-ის პროექტში ლიდერის არჩევაზე. რა რისკები ახლავს თან მის განხორციელებას? როგორ მოიქცევიან რეგიონალური მოთამაშეები?

საერთაშორისო მასმედია აცხადებს, რომ ახლო მომავალში იქნება გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერი TAPI-ის გაზსადენის პროექტში კონსორციუმის ლიდერის არჩევანზე. ამის შესახებ იტყობინება თურქმენეთის ნავთობ-აირის წარმოების და მინერალური რესურსების სამინისტრო, რომლის გეოპო-

ლიტიკურმა და შიდა პროცესებმა უზიძგა თურქმენეთს TAPI-ის გაზსადენის განხორციელებისკენ?

თურქმენეთი, რომელიც ფლობს ბუნებრივი აირის შთამბეჭქ-დავ მარაგს, ცნობიერად ატარებს შეკავებულ პოლიტიკას გარე სფეროდან, რაც ადასტურებს მის იზოლირებულ პოლიტიკას.

მთავრობის შეცვლით გარემოში მიმდინარე ფრთხილი ნაბი-ჯების კურსმა შეინარჩუნა თავისი აქტუალობა. თუმცა საგრძნო-ბი რყევები ნავთობ-აირის ბაზარზე, ახალი მარშრუტების გაყვა-ნასა და დაპროექტებაში მეზობლების აქტივიზაცია, შთამბეჭქდავი საბადოების მარაგის ექსპლუატაცია, რიგ ქვეყნებში რომლებიც ითვლება ენერგომატარებლის პერსპექტიულ მიმწოდებლებად ერთგვარი მობილობისკენ უზიძგებს თურქმენეთს.

თუ მივაქცევთ ყურადღებას, რომ ქვეყანას, რომლის ეკონო-მიკა ეფუძნება ნედლეულს და ბუნებრივ აირს, ნამდვილად გააჩ-ნია პრიორიტეტი, გასაგები ხდება, რატომ აფართოებს აშხაბადი მის მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში.

საექსპორტო პოტენციალის მნიშვნელოვანი ზრდისთვის მთავრობის გეგმა ითვალისწინებს მოცულობისა და მარშრუტე-ბის დივერსიფიკაციას. ეს გამოთვლები უსაფუძვლო არ არის. ქვეყანაში არსებული დამტკიცებული გაზის საბადოები შთამბეჭქ-დავია: უცხოური წყაროების შეფასების მიხედვით – დაახლოებით 10 ტრილიონი კუბური მეტრი, ადგილობრივი ცენტრების მიხედ-ვით – 1,5-ჯერ მეტია.

ყველა შემთხვევაში, რეალურად გამოყენებადი და 20-ზე მე-ტი ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი პერსპექტიული ბლოკების არ-სებობა ხმელეთსა და კასპიის ზღვის შეღფზე იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ თურქმენეთი სერიოზულად უმიზნებს, დაიკა-ვოს თავისი ადგილი გაზის მსხვილ მიმწოდებელთა ჯგუფში და გაიმყაროს ეკონომიკური პოზიციები.

TAPI ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია აშხაბადისთვის, რაც, წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ქვეყანას მის-

ცემს საშუალებას გაზარდოს ეროვნული ექსპორტის ინდექსი სამხრეთ აზიაში წელიწადში ბუნებრივი აირის დამატებით 30 მლრდ კუბამეტრის მიწოდების ხარჯზე. ეს უდავოდ, ქვეყნისთვის იქნება სანდო და მნიშვნელოვანი ფაქტორი კაპიტალთან დაკავშირებული რეფორმების განსახორციელებლად, სოციალური ბლოკის პრობლემების მოსაგვარებლად, ასევე მნიშვნელოვნად გაამყარებს აშხაბადის გეოეკონომიკურ პოზიციებს ტურბულენტურ რეგიონში.

როგორ კორელაციაში იქნება ჩინეთი გაზის მიწოდებასთან?

ჩინეთს, როგორც თურქმენეთის აირის მსხვილ მომხმარებელს, შეშფოთებისთვის არავითარი მიზეზი არ გააჩნია. მან უკვე გაიმყარა თავისი ადგილი გალკინიშის საბადოზე, რომელსაც მარაგის მოცულობით მსოფლიო კლასიფიკაციაში მეორე ადგილი უჭირავს ირანული ბლოკის „სამხრეთ ფარს“-ის შემდეგ. შემთხვევითი არაა, რომ ჩინურმა კომპანიამ CNPC შეთანხმება დადო „თურქმენგაზთან“ ინფრასტრუქტურისა და აირის გამანაწილებელი სისტემის შემუშავების თაობაზე, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს წელიწადში 25 მლრდ. კუბამეტრი გაზის ტრანსპორტირებას ცენტრალური აზიის გავლით ჩინეთში.

ჩინეთის მადა ძალიან შთამბეჭდავია და მომავალში თურქმენული ექსპორტი მხოლოდ გაიზრდება და გადააჭარბებს 70 მლრდ კუბამეტრს წელიწადში. ხოლო ეს ეხმიანება ქვეყნის მზარდ მოთხოვნებს, რომელიც ეჯიბრება აშშ-ს მსოფლიო ეკონომიკურ რბოლაში.

რომელი ოპერატორები შეიძლება დაინტერესდნენ პროექტში მონაწილეობით?

ყველანაირი – აზერბაიჯანელებიდან, ჩინელებამდე. მაგრამ, ამერიკელების TAPI-ისადმი არაფორმალური დაინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლური კომპანიები დაიკავებენ წამყვან პოზიციებს კონსორციუმში. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ლიდერი შეიძლება გახდეს ამერიკული ოპერატორი.

ამ კონტექსტში საჭიროა პატარა ექსკურსია ჩავატაროთ ახლო წარსულში. ვაშინგტონი ღიად ლობირებდა TAPI-ის პროექტის სქემის მიხედვით ნავთობის და გაზსადენის გაყვანას. ეს იწყება გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ამერიკელები თავისუფლად გრძნობდნენ თავს პოსტსაბჭოთა სივრცეში და მიმდებარე ზონაში, კრემლის ყოველგვარი ზენოლის გარეშე. მაშინ კომპანიამ UNOCAL-მა თეთრი სახლის დიპლომატიური მხარდაჭერით მაქსიმუმს მიაღწია, როდესაც ავღანელი თალიბები დაარწმუნა პროექტის ქეშმარიტებაში. მათი ჩანაფიქრით, ჯერ საჭირო იყო ნავთობსადენის გაყვანა, ხოლო შემდეგ გაზსადენის.

ამერიკელებმა შეძლეს დაეპატიჟათ თალიბანთა გავლენიანი პირები ჰიუსტონში UNOCAL-ს ოფისში. მაგრამ 2001 წლისთვის ვითარება რედიკალურად შეიცვალა, რაც გამონვეული იყო თალიბების უკმაყოფილებით სატრანზიტო გადასახადებთან დაკავშირებით. აშშ-ის დიპლომატებმა ვერ შეძლეს პრობლემის მოგვარება და თეთრმა სახლმა ჯორჯ ბუშ უმცროსთან ერთად გადაწყვიტა თალიბების ჩამოშორება. 11 სექტემბრის მოვლენებმა გაამძაფრა ურთიერთობები, ხოლო დაწყებულმა ომმა წერტილი დაუსვა ყოველგვარ გეგმას.

TAPI-ის პროექტში ამერიკელი დიპლომატების მიერ ჩადებული გეოპოლიტიკური ხრიკები დღესაც ინარჩუნებს ძალას. ის მონოდებულია თამამგარეთ დატოვოს ყველა ე.წ. არამეგობრული ქვეყნის ინტერესები. ამ მიზეზით ამერიკული და სხვა დასავლური კომპანიები ფოკუსირდებიან პროექტზე, რომელიც მიმზიდველია არა მხოლოდ გლობალური ბიზნესის კუთხით, არამედ გეოპოლიტიკური ხელახალი გადანაწილების კუთხითაც.

დასავლური კომპანიების მსგავსი წილის მიღება შეუძლიათ პროექტის მონაწილე ქვეყნების ბიზნესსტრუქტურებს, მეზობელ ქვეყნებს, მათ შორის აზერბაიჯანს, ყაზახეთს, რომლებსაც გააჩნიათ ბერკეტები სწრაფად მზარდი ნავთობ-აირის ბაზარზე.

აზიანებს თუ არა გაზსადენი რუსეთის ინტერესებს რეგიონში?

უდავოდ. თავიდანვე, როდესაც 1995 წელს აშხაბადში თურქმენეთმა და პაკისტანმა მიიღეს პროტოკოლი პროექტის თავდაპირველი ვარიანტის შესახებ, ამერიკელები არ იშურებდნენ ძალისხმევას, არ დაეშვათ ამ პროცესებზე რუსეთი და ირანი. ამერიკელები არ აპირებდნენ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების, როგორებიცაა სტრატეგიული ენერგომატარებლების კონტროლი და რესურსების მინოდების მონოპოლიური უფლება, ვინმესთან გაზიარებას.

აშშ-ს კარგად ესმოდა, რომ რუსეთი ფლობდა სტრატეგიულ მილსადენებს, რომლითაც მარაგდებოდა ევროპა. ამიტომ აშშ-მ შეიმუშავა აზიური ენერგოსისტემის ახალი კონფიგურაცია და ხელთ იგდო ყველა საკვანძო ელემენტი. და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინდოეთიც კი, რომელიც პრორუსულადაა განწყობილი, დიდი ფიქრის შემდეგ დათანხმდა სამხრეთ აზიაში მიწოდების მარშრუტის დივერსიფიკაციის ამერიკულ ვარიანტს, რითაც ირანი თამაშგარეთ დატოვა. შეიძლება ითქვას, რომ დელი დათანხმდა ვაშინგტონის ლიდერულ როლს რეგიონში.

რა მიმართებაშია TAPI-ის გაზსადენის სისრულეში მოყვანა ირანის გადაწყვეტილებასთან განახორციელოს თავისი გაზსადენის პროექტი ირანი-პაკისტანი-ინდოეთი (IPI)? შემთხვევითია ქრონოლოგიური დამთხვევა?

ირანის გეოგრაფიული სიახლოვე და გაზის დიდი მარაგის არსებობა მის ტერიტორიაზე მას აძლევს არა მხოლოდ მანევრირების საშუალებას, არამედ უქმნის რეალურ კორიდორს გავლენის მოსახდენად მიმდინარე პროცესებზე. აქ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ გასულ წლებში საუბარი მიმდინარეობდა ახალი მაგისტრალის გაყვანაზე, თეირანმა კი ამ დროს გაიყვანა თურქმენეთ-ირანის გაზსადენი.

ირანი სინამდვილეში იმედოვნებს, რომ ავღანეთი, როგორც პრობლემური ქვეყანა, ვერ შეძლებს TAPI-ისთვის საჭირო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. და თუ განმეორდება 2000-იანი წლების დასაწყისის ისტორია, მაშინ ირანის დომინირების დონე მნიშვნელოვნად გაიზრდება რეგიონში, ხოლო ორი ისეთი დიდი მომხმარებელი, როგორებიცაა პაკისტანი და ინდოეთი, თვითონ დააკაკუნებენ თეირანის კარებზე. ყოველ შემთხვევაში, ირანმა თავისი ხაზი უკვე გაიყვანა პაკისტანის საზღვრამდე და ელოდება მომენტს.


რაც შეეხება თანხვედრას, რა თქმა უნდა, ეს არ არის შემთხვევითი. თეირანი მთელი ძალისხმევით ეწინააღმდეგება იზოლაციას, რომელსაც მხარს უჭერს ვაშინგტონი და დგამს რეალურ ნაბიჯებს აღმოსავლეთის მიმართულებით. თუ ისლამაბადი მოიშორებს აშშ-ის მიერ კისერზე დაკიდულ ჯაჭვს, მაშინ, სავარაუდოდ, ირანი თავისას მიაღწევს.

მსგავსი მოვლენების განვითარება მოსალოდნელია, რადგან პაკისტანს დიდად არ სურს TAPI-ის პროექტში ჩართვა, როდესაც IPI-ს (ირანი-პაკისტანი-ინდოეთი) პროექტს მეტად მიმზიდველ და უსაფრთხო ალტერნატივად აღიქვამს.

როგორ აფასებს აზერბაიჯანი TAPI-ის გაზსადენს, რომლის განხორციელება წერტილს უსვამს ტრანსკასპიური გაზსადენის გაყვანას?

აზერბაიჯანი აპრიორი ფლობს რამოდენიმე უპირატესობას, რაც მას მობილურ როლს ანიჭებს. რა თქმა უნდა, ის დაინტერესებულია ტრანსკასპიური გაზსადენის გაყვანით, რადგან დამატებითი მოცულობის ტრანზიტი აღმოსავლეთ სანაპიროდან დამატებით შემოსავალს მოუტანს სახელმწიფო ბიუჯეტს.

აზერბაიჯანისთვის, რომელიც საკუთარი რესურსებით რაციონალურად ოპერირებს და ემზადება დიდი გადასვლისთვის „მაჰდენიზ-2“ საბადოდან სხვაზე, წყალქვეშა მილის საკითხი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც აშხაბადისთვის.



რუკა 19. თურქმენეთის დარეზერვებული გაზის გახსნის პერსპექტიული პროექტები

<http://destination-yisrael.biblesearchers.com/destination-yisrael/2013/09/assads-wmd-and-how-israels-high-holidays-have-predicted-the-worlds-future-events.html>

ტრანკასპიური გაზსადენის თაობაზე მოლაპარაკებების ძირითად მხარეებად რჩებიან ევროკავშირი და თურქმენეთი. 2011 წლიდან აზერბაიჯანი ამ ფორმატის მონაწილეა და სამმხრივი მოლაპარაკებებიც გაიმართა. ბაქო დღესაც აცხადებს, რომ მზადაა ბრიუსელსა და აშშ-სადს შორის თანხმობის არსებობის შემთხვევაში მათ გადასცეს თავისი ტრანზიტული კომუნიკაციები.

თურქმენეთს გააჩნია რამოდენიმე მდიდარი გაზის საბადო, სადაც ნამდვილად უზარმაზარი მარაგია მოთავსებული. ეს არის დაულეთაბადის, იოლოთანის, გალკინიშის და სხვა საბადოები. მომგებიან ბაზრამდე მიმწოდებელი მაგისტრალების არარსებობის პირობებში უზარმაზარი მარაგის ქონა უარყოფითად აისახება.

მითუმეტეს, თურქმენეთს ჰქონდა მსგავსი პრობლემა, როდესაც ღირებული საექსპორტო ბუნებრივი რესურსი უბრალოდ იკარგებოდა. კი, არსებობს გაზის შენახვის ტექნოლოგია, მაგრამ ეს ძვირად ღირებული სიამოვნებაა. ამიტომაც, ბოლო დროს, თურქმენეთის მთავრობა ცდილობს დააჩქაროს გეგმების განხორციელება და გაიყვანოს ახალი მაგისტრალები. ის ასევე უმიზნებს დასავლურ მარშრუტს. მაგრამ რამდენად შეძლებს ამხაბადი გადალახოს რუსეთისა და ირანის წინააღმდეგობა, რომელთაც ევროკავშირიც უჭერს მხარს – ღია კითხვაა.

საინტერესოა თურქეთის როლი TAPI-ის გაზსადენის პროექტის განხორციელებაში. ანკარა აგრძელებს რუსეთთან მოლაპარაკებებს თურქული ნაკადის რეალიზაციის თაობაზე. დაინტერესებს თუ არა თურქეთს TAPI-ის გაზსადენი?

არამგონია, რომ ეს პროექტი აინტერესებს ანკარას. ვერ გამოვრიცხავ თურქული კომპანიების მონაწილეობას კონსორციუმში, თუ სინამდვილეში დაიწყება TAPI-ის სისრულეში მოყვანა.

გაზპრომის ლიდერობის დროს ამხაბადი არ მალავს, რომ უწევდა სხვადასხვა საბაზრო სირთულეების გადალახვა. უკრაინისთვის საკუთარი გაზის მიყიდვა უწევდა რუსეთის შუამავლობით და არა პირდაპირ, თანაც ღირებულების საკითხს, ძირითადად, რუსული პროფილური ინსტანციები წყვეტდნენ, რომლებსაც მონოპოლიური უფლებები ჰქონდათ.

თურქეთი როგორც ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია ბუნებრივი აირის მარაგი, დაინტერესებულია ტრანსკასპიური გაზსადენის გაყვანით, რომელიც გაზგამყვანი სისტემის გამოყენებით გახსნის თურქმენეთის გაზის ევროპაში ტრანზიტის პერსპექტივას. ამის გარეშე ანკარა ვერ ნახავს სარგებელს TAPI-ის პროექტში.

გაზსადენის მარშრუტი გადის არასტაბილურ ზონებში. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ავღანეთში ისლამური

სახელმწიფოს შეჭრის მცდელობას. ეს მოვლენები არ ანუხებს აშხაბადს?

დღეს არა მხოლოდ ავღანეთი, არამედ მის შემოგარენში არსებული სივრცე წარმოადგენს გაზრდილი საშიშროების სარტყელს. ასეთ ვითარებაში TAPI-ის განხორციელება ბადებს ბევრ კითხვას და მათგან უმთავრესია – სტაბილურობის მისაღწევად ვისთან და როგორი თანამშრომლობაა საჭირო.

აშრაფ განის ხელმძღვანელობით ახალი ხელისუფლება წინამორბედების კვალს მიუყვება. აკონტროლებენ მხოლოდ ქაბულს და რამოდენიმე ცალკეულ წერტილს. მთელი ქვეყანა ისევ იმყოფება დეცენტრალიზაციის მდგომარეობაში. ადგილობრივი ხელმძღვანელები მეთაურები, ე.წ. ჯიჰადისტების მობილური შეიარაღებული ფორმირებები ხან თანამშრომლობენ, ხან ომობენ ერთმანეთთან. ავღანეთი ჩაფლულია ცეცხლოვან ისლამურ პროექტში, რომელიც კიდევ უფრო ამძიმებს და ბუნდავს ხდის ქვეყნის ვითარებას.

ინფორმაციული წყაროების მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას აზრადაც არ აქვს, რას ნიშნავს მშვიდი ცხოვრება. მომთაბარე ცხოვრების წესი, ღია საზღვრები და ავღანეთის ტერიტორიაზე კონტრაბანდისტებისა და კრიმინალური ელემენტების შეღწევა ქვეყნის არაპროგნოზირებადობას ნორმად აქცევს.

განსაკუთრებით დიდი საფრთხეს რეგიონის პროექტებისთვის წარმოადგენს ისლამური დაჯგუფებები, რომლებიც მრავლდება საზღვარგარეთული ცენტრების მონაწილეობით. ყურადღებას იქცევს ფაქტი: ისლამური სახელმწიფოსა და თალიბების რიგებში უკვე არის თურქმენული ფორმირებები, რომელთაც გაიარეს საბრძოლო წვრთნები ერაყსა და სირიაში. ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა „აღმოსავლეთ თურქმენისტანის ისლამური მოძრაობა“ ან „თურქმენული თალიბები“, ფორმირდებიან პაკისტანის ჩრდილოეთ ნაწილში, თურქმენეთისა და ავღანეთის საზღ-

ვარზე. ეს ზუსტად ის არეალებია, სადაც უნდა გავიდეს TAPI-ის გაზსადენები.

მათ ვისაც მოუწევს TAPI-ის პროექტის განხორციელება, საქმე ექნება ადგილობრივ ლიდერებთან და მეთაურებთან, რათა შეუთანხმდნენ აღმოსავლური ბაზრის კანონებზე დაყრდნობილ კონკრეტულ გადასახადებზე. პერმანენტული წინააღმდეგობის პირობებში ეს საქმე არ არის იოლი და არ დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელ დღეს ავღანეთი არა მხოლოდ აშშ-ის, რუსეთის, ჩინეთის, პაკისტანისა და ირანის ინტერესებში შედის, არამედ საუდის არაბეთის ინტერესებშიც, რომლის ბოლო დროინდელი ქმედებები ყოველთვის და ყველაფერში არ ემთხვევა ვაშინგტონის ხედვას.


რეგიონული აქტორებიდან ვის შეუძლია საფრთხეებისა და გამონვევების შეჩერება?

როგორც ჩანს, ჩინეთი უფრო მეტად უუნაროა რეგიონში აქტუალური პრობლემების მოგვარებაში. სხვათაშორის, პეკინს გააჩნია თავისი ხედვა თურქმენეთის გაზის მარაგის რეალიზაციის მიმართ. ის სთავაზობს თურქმენეთი-ყაზახეთი-ჩინეთის მარშრუტს.

ამ პროექტის ავტორების მიხედვით, ასეთი მარშრუტის შეთხვევაში რისკები უფრო მცირე იქნება, ვიდრე TAPI-ის ვარიანტის დროს. გარდა ამისა, ჩინეთის იმიჯი ბევრი გავლენიანი ავღანური დაჯგუფებების თვალში უფრო პოზიტიურია, ხოლო ეს ჩინეთს უპირატესობას ანიჭებს კონკურენტებთან შედარებით.

ირანის სახით ჩინეთს საიმედო მეზობელი ჰყავს. ამიტომ პეკინს საშუალება ეძლევა გამოიყენოს დამატებითი იარაღი ავღანეთში და შექმნას მისთვის სასარგებლო კოორდინატა სისტემა.

ამგვარი ვითარების არსებობაში სიტუაცია შეიძლება ძალზედ დაიძაბოს, რადგან პაკისტანი შესძლებს მოათავსოს თავისი შესაძლებლობები ირანულ ინფრასტრუქტურაში, ხოლო ჩინეთი კიდევ უფრო იოლად მოიმხრობს თურქმენეთს. ვაშინგტონის წი-



რუკა 20. არსებული და დაგეგმილი გაზსადენი დერეფნები
<http://www.rethinkinstitute.org/linking-the-caspian-to-europe-repercussions-of-the-trans-anatolian-pipeline/>

ნააღმდეგობა ამგვარი მოვლენებისადმი დაკარგავს მნიშვნელობას, რადგან აზიის გაზის ბაზარზე აშშ-ის პოზიცია არ შეესაბამება იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ფოკუსირებულია ევროპულ მიმართულებაზე.

2.9. დასკვნა

თუ გადავავლებთ თვალს მოცემულ სურათს, ეჭვგარეშეა, რომ ტრანსრეგიონული პროექტები ცენტრალურ და სამხრეთ აზიას შორის ძალიან მნიშვნელოვანია ორივე რეგიონის განვითარებისათვის. ძირითადად, მხოლოდ ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინება და ტრანზიტი ავღანეთის გავლით შესაძლოა არის პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა მიზნის მისაღწევად. მიუხედავად ამისა, ავღანეთში მზარდი უსაფრთხოების პრობლემების, გრძელვადიანი გეოპოლიტიკური რისკებისა და TAPI-ის მილსადენის ეკონომიკური ასპექტებისა და შესაძლო ალტერნატივების გამო, შეგვიძლია, შევაჯამოთ, რომ TAPI-ს მილსადენის პროექტი ეჯახება მრავალგვარ დაბრკოლებას, რომლებიც მის აქტუალურ განხორციელებას მიმზიდველობას უკარგავს. თუ წევრი სახელმწიფოები რაციონალურად იმოქმედებენ, ისინი არ ჩართავენ TAPI-ის თავიანთ ენერგო სტრატეგიებში მანამ, სანამ არ აღკვეთავენ არასასურველ პირობებს. ამასობაში, ირანზე დასავლური სანქციების გაუქმება აბსოლუტურ პრიორიტეტს მიანიჭებს სიცოცხლისუნარიან ალტერნატივას, რომლის ცენტრიც ირანში იქნება. პროექტის წარმატებული განხორციელება ხელს შეუწყობს ავღანეთის მშვიდობიან ეკონომიკურ განვითარებას, მრავალფეროვანი გახდება თურქმენეთის გაზის ექსპორტი და რესურსებს მიაწვდის ენერგიით ღარიბ პაკისტანს და ინდოეთს. ის ასევე შეცვლის რეგიონის გეოპოლიტიკურ კონტურებს, ხელს შეუწყობს ინტენსიურ თანამშრომლობას მეტა-რეგიონში, რომელიც მდებარეობს კასპიის ზღვის აღმოსავლეთით, რუსეთის სამხრეთით და ჩინეთის დასავლეთით. განსაკუთ-

რებით, ეს იქნება პირველი მაგალითი ავღანეთის ინტეგრაციისა სამხრეთ აზიასთან, ამასთანავე, ინდოეთს აძლევს შესაძლებლობას, რომელსაც ის დიდი ხანია ეძებდა, გააფართოვოს საკუთარი გეოეკონომიკური პროტექცია ცენტრალურ აზიაში.

ისე, როგორც იყო IPI-ის შემთხვევაში, ბევრი ექსპერტი სკეპტიკურად არის განწყობილი, რომ TAPI-ის პროექტი რეალურად განხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს უამრავი შეზღუდვა და პოლიტიკური პრობლემა პარტნიორ ქვეყნებს შორის. თუკი პროექტი დღის სინათლეს იხილავს, ეს იქნება შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი მხარდაჭერიდან გამომდინარე, რაც მის პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებში შედის.

3. ცენტრალური და სამხრეთ აზიის ელექტროენერჯის გადაცემის პროექტი (CASA-1000)

CASA-1000 არის ელექტროენერჯის გადაცემის ხაზი, რომლის მეშვეობითაც სავარაუდოა, რომ გადაზიდვები 1000-დან 1,300-მდე (მგვტ) ჰიდროელექტროენერჯიას ყირგიზეთიდან და ტაჯიკეთიდან ავღანეთში და პაკისტანში ყოველწლიურად 2015 წლიდან.

მიჩნეულია, რომ ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში ელექტროენერჯის საფასური პაკისტანსა და ავღანეთში საბოლოო ღირებულებაზე დაბალი იქნება, ეს კი ამართლებს ინვესტიციის განხორციელებას. CASA-1000-ის მთავარი წამყვანი ფაქტორები: 1) ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს გააჩნია ჭარბი ენერჯია ზაფხულის განმე-



რუკა 21. ჰიდროელექტრო ენერჯია გადამცემი ხაზით <http://www.casa-1000.org/>

ვლობაში, რომელიც სხვა შემთხვევაში ფუჭად დაიხარჯებოდა. 2) პაკისტანი და, გარკვეულწილად, ავღანეთი აწყდებიან მნიშვნელოვან პრობლემებს ენერჯის სიმცირის გამო.

CASA-1000-ის საექსპლოატაციო ღირებულება შედგება ელექტროენერჯის გადამცემი 1.200 კმ-ის სიგრძის ხაზისგან და დამაკავშირებელი ქვესადგურებისგან, რაც, საერთო ჯამში, 1.7 მილიარდ დოლარს შეადგენს. მსოფლიო ბანკმა, აზიის განვითარების ბანკმა და USAID-მა გარანტია აღუთქვეს, რომ დააფინანსებდნენ ამ პროექტს. 2011 წელს, მსოფლიო ბანკის მოთხოვნის საფუძველზე, CASA-1000-ის ტექნიკური განხორციელებადობის ანალიზი წარდგენილ იქნა SNC-Lavalin International-ის მიერ (<http://www.snclavalin.com/en/>). აღნიშნულმა კვლევამ დაადასტურა: 1) მიმდინარე შესაძლებლობებით ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში საკმარისად ჭარბი ენერჯია ინარმოება. 2) პაკისტანსა და ავღანეთში ენერჯის მნიშვნელოვანი ნაკლებობა აღინიშნება. 3) ელექტროენერჯის ღირებულება მისაღებია თუ მას შევადარებთ პაკისტანსა და ავღანეთში ელექტროენერჯის ღირებულებასთან.

3.1. მოვლენები

CASA-1000 განეკუთვნება ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკის კორპორაციის (CAREC) პროგრამას, რომელიც წარმოადგენს ათი სახელმწიფოს თანამშრომლობას, მას კი მხარს უჭერს ექვსი საერთაშორისო ორგანიზაცია. ეს პროგრამა ყურადღებას ამახვილებს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებაზე ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის. ცენტრალური აზიისა და სამხრეთ აზიის ენერჯის დერეფანი – CASA-1000 – გახლავთ პირველი ელემენტი CAREC-ის ენერჯის სამუშაო გეგმისა. 2013 წელს CAREC-ის მიერ წარდგენილი მოხსენების მიხედვით, CASA-1000-ის კომერციული სტრუქტურა დასრულებულია. თუმცა, საგადასახადო შეთანხმებები სავარაუდოა, რომ გაფორმდება 2016 წელს.

CAREC-ის სამუშაო გეგმის მიხედვით, იგეგმება, რომ CASA-1000 წარმოადგენს ცენტრალური და სამხრეთ აზიის რეგიონული ელექტროენერჯის ბაზრის (CASAREM) <http://CASA-1000.org/page5.html> განვითარების პროგრამის პირველ ფაზას, რომელიც, მოსალოდნელია, რომ საფუძველს ჩაუყრის ორ რეგიონს შორის ენერჯით უფრო ფართო ვაჭრობას. ამ ეტაპზე შემდეგი ამოცანების შესრულება CASA-1000-ის პროგრესთან არის დაკავშირებული: 1) ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა, 2) გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება, 3) პროექტის განვითარების სტრუქტურა და რისკების შეფასების პროექტი. ამჟამად წარმატება მიიღწევა კომერციულ ხელშეკრულებებში პროექტის საერთაშორისო ინიციატორისა და ოპერატორის მონაწილეობით. გეგმის მიხედვით, CASA-1000-ის განხორციელების ფაზა უნდა დაწყებულიყო 2014 წელს, ხოლო დასრულდებოდა 2015 წელს.

3.2. გამონვევები და რისკები

როდესაც საქმე TAPI-სა და CASA-1000-ის განხორციელებაზე მიდგა, ეს პროექტები აღმოჩნდნენ მრავალი ბარიერის წინაშე, რომელთაც შეაფერხეს მათი ძირითადი სამუშაოები რამდენიმე წლის მანძილზე, გარდა ამისა, ეჭვქვეშ დააყენეს ამ პროექტების რეალიზაციის საკითხი. მოკლედ რომ ითქვას, TAPI-სა და CASA-1000-ის პროექტების გადამტანი ხაზის განხორციელების მთავარ გამონვევად ითვლება უსაფრთხოება, დაფინანსების ნაკლებობა, დიპლომატიური დაძაბულობა მონაწილე ქვეყნებს შორის და ალტერნატიული ენერჯონყაროები.

TAPI-ის მილსადენისათვის **არასაიმედოობა (შესაძლო საფრთხის არსებობა)** არის უდიდესი გამონვევა ავღანეთის გადაკვეთისას, ხოლო მცირედ პრობლემას ქმნის პაკისტანში გავლისას. CASA-1000-ის შემთხვევაში სიტუაცია განსხვავებულია, რადგან ის უფრო უსაფრთხოდ კვეთს ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთ ავ-

ლანეთს. TAPI-ის მილსადენის უსაფრთხოებისათვის, რომელიც მეტი საფრთხით კვეთს დასავლეთსა და სამხრეთ ავღანეთს, ავღანეთის ყოფილმა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ვაჰიდულაჰ საჰრანიმ 2011 წელს გამოაცხადა, რომ ავღანეთის მთავრობა გეგმავს, განათავსოს 5000-დან 7000 კაცამდე თავდაცვის პერსონალი, რომლებიც მიმართულნი იქნებიან მილსადენის დასაცავად. მაგრამ, ავღანეთის პოლიციისადმი ნდობის ნაკლებობის გამო, შიშობენ, რომ მილსადენი შესაძლოა გახდეს „ფულადი საქონელი“ მეამბოხეთათვის. პროექტის მშენებლობის მაღალი ღირებულების გამო, მისი წარუმატებელი შედეგი ყოველი წევრისათვის საყურადღებოა.

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა ყოველწლიურმა გამოკითხვამ, რომელიც დაფინანსებული იყო აზიის განვითარების ფონდის მიერ 2011 წლიდან 2014 წლამდე, აჩვენა, რომ „საერთაშორისო ჯარების/საერთაშორისო საზოგადოების არსებობა“ არის პირველი მიზეზი, რომლის საფუძველზეც ავღანელები ფიქრობენ, რომ ანტისამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებები, როგორცაა თალიბანი, იბრძვიან ავღანეთის მთავრობის წინააღმდეგ.

ამ კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა არის ის, რომ მეამბოხე ჯგუფები, როგორცაა თალიბანი, არ ისწრაფვიან სტრატეგიული ინფრასტრუქტურის განადგურებისაკენ. ჰელმანდის პროვინციაში, რომელიც მოიაზრება, როგორც დიდი საფრთხის შემცველი პროვინცია და სადაც გაივლის TAPI-ის მილსადენი, მდებარეობს კაშხალი, რომელიც თამაშობს მნიშვნელოვან როლს ადგილობრივი სასოფლო და ელექტროენერჯის აღმოცენებაში. მეამბოხე ჯგუფების მიზანს კაშხალი არ წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იღებენ მხარდაჭერას ადგილობრივი საზოგადოებისგან. ოქსფამის 2014 წლის კვლევის შედეგები აჯამებს (https://www.oxfamamerica.org/static/media/files/Aid_in_Contested_Spaces_Afghanistan_1.pdf), რომ საზოგადოებებისა და ტომების იგნორირებამ შექმნა არასაკმარისი გარე-

მო, რამაც გამოიწვია ავღანეთში მშვიდობის დამყარების წარუმატებლობა. თუმცაღა ანგარიშში ასევე წარმოდგენილია მცირე შემთხვევებიც, სადაც ადგილობრივმა საზოგადოებებმა გააძევეს მემბოხე ჯგუფები საკუთარი ტერიტორიებიდან მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარების მიზნით. CASA-1000 ამტკიცებს, რომ ადგილობრივი ჯგუფების ჩართულობა, რომლებიც ცხოვრობენ მარშრუტის გასწვრივ, მეტყველებს კარგ პრაქტიკაზე დიდი პროექტებისათვის, როგორცაა TAPI-ის მილსადენი.

რაც შეეხება **პროექტის განხორციელებისათვის სრულ დაფინანსებას**, ესაა საკითხი, რომელიც თითქმის მოგვარებულია. CASA-1000-მა უკვე მიიღო \$526.5 მილიონი მსოფლიო ბანკისაგან, მაშინ როცა, დარჩენილ \$1.17 მილიარდს აზიის განვითარების ბანკი და ამერიკის სააგენტო საერთაშორისო განვითარებისათვის დააფინანსებენ. CASA-1000 მოდელი გამოიყენებს არსებული ელექტროენერჯის ქსელს ავღანეთში, ასევე ააშენებს ახალ გადაამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს. 2007 წელს TAPI-ის მილსადენის სავარაუდო ღირებულება წარმოადგენდა 7.6 მილიარდ აშშ დოლარს. გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით, მომდევნო წლებში ეს ღირებულება გაიზარდა და შეადგინა 12 მილიარდი აშშ დოლარი. საფრთხის შიში არის ღირებულების ინფლაციის მთავარი მიზეზი. მილსადენის პროექტს მხარს უჭერს მრავალი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია, მათ შორის აზიის განვითარების ბანკი, რომელმაც პირობა დადო, რომ გამოყოფს პროექტისათვის საჭირო ფინანსებს.

დიპლომატიურ დაძაბულობას აქვს პოტენციალი, რომ შეაჩეროს TAPI-ის მილსადენის პროგრესი და, ასევე, გავლენა იქონიოს CASA-1000-ზე. მეტოქეობა ინდოეთსა და პაკისტანს შორის არის უდიდესი დიპლომატიური ბარიერი, ქაშიმირში უახლესმა შეტაკებებმა ამ ორ ქვეყანას შორის შემოგვთავაზა მათი არასტაბილური ურთიერთობა, რომელიც ძირს უთხრის რეგიონთაშორის შეთანხმებას. დიპლომატიურმა დაძაბულობამ ავღანეთსა და პა-

კისტანს შორის, ასევე, შესაძლოა წარმოშვას საფრთხე, რადგან ეს ორი ქვეყანა ხასიათდება ბოლო წლებში არარეგულარული საზღვრისპირა დაბომბვებითა და დიპლომატიური შურისძიებით.

თანამედროვე ისტორიის მანძილზე ურთიერთობა სამხრეთ აზიის სამ სახელმწიფოს შორის ძალიან დინამიკურია, რაც გამონვეულია მრავალი მიზეზით, როგორებიცაა: რელიგია, რასა, სექტები და კოლონიური წარსული, რომელმაც მოახდინა საზღვრების ცვლა. არსებობს დამატებითი გართულებული ურთიერთობები ამ სამ სახელმწიფოს შორის. ბევრს სჯერა, რომ ინდოეთი და პაკისტანი შურის საძიებლად იყენებს ნეიტრალურ ავღანეთს, როგორც ბრძოლის ველს. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამძაფრებს დაუცველობის შეგრძნებას ამ რეგიონში. ამ გარემოებებით, თანამშრომლობა ინდოეთსა და პაკისტანს შორის ძალიან მნიშვნელოვანია, რათა TAPI-ის მილსადენის პროექტმა მიაღწიოს წარმატებას. ამდენად, ინდოეთი-პაკისტანის პარტნიორობის სიცოცხლისუნარიანობა მოიაზრება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს TAPI-ის მილსადენის პროექტის წარმატებულობასა თუ წარუმატებლობას.

TAPI-ის პროექტთან დაკავშირებით უნდა დავამატოთ, რომ პაკისტანმა სცადა დაედო შეთანხმება ირანიდან გაზის იმპორტთან დაკავშირებით. ეს პოტენციური ხაზი შესაძლოა იყოს ნაკლებად გართულებული, ასევე პაკისტანისათვის იქნება უფრო მომგებიანი, ვიდრე TAPI-სთვის. მიუხედავად ამისა, ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების მოხსნა მაინც ანელებს ამ პროცესს. კიდევ ერთი ფაქტორი, რაც უწყობს ხელს TAPI-ის პროექტის განხორციელებას ორმხრივ ირანი-პაკისტანის ქსელზე არის საუდის გავლენა პაკისტანში: ახლახანს ერ-რიადმა (Riyadh – საუდის არაბეთი დედაქალაქი) ჩადო ფული პაკისტანში, იმის მცდელობით, რომ დაემხო ქვეყანაში თეირანის (Tehran – ირანის დედაქალაქი) ეკონომიკური და პოლიტიკური მოძრაობები. ზუსტად ამ პერიოდში ჩანს, რომ რიადის ძალისხმევა წარმატებულია.

3.3. შეჯამება

ერთი შეხედვით, ცენტრალური აზია და სამხრეთ აზია საუკეთესო წყვილია: სამხრეთ აზიელებს სჭირდებათ ენერჯია საკუთარი ეკონომიკის გავრცელებისათვის. ცენტრალურ აზიელებს კი ენერჯიის გასაყიდად სჭირდებათ მისი გავრცელება და შემოსავლების ნაკადის დივერსიფიკაცია. მიუხედავად ამისა, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ აზიის თანამშრომლობა შეფერხდა. ამის მიზეზი ნაწილობრივ არის ის ფაქტი, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნები თავს არიდებენ ავღანეთთან მჭიდრო კავშირს, რადგან შიშობენ, რომ რადიკალური ისლამი მათ სახელმწიფოებშიც მოიკიდებს ფეხს. მაგრამ TAPI-სა და CASA-1000-ის შემთხვევებში ჩანს, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის არსებობს უდიდესი ინტერესი: ორივე პროექტმა მიიღო საერთაშორისო მხარდაჭერა და დაფინანსება, რის საფუძველზეც ორივე პროექტის განხორციელებაში მატერიალური პროგრესი მოხერხდა.

თვალშისაცემი საფრთხის ალბათობა არის უდიდესი დაბრკოლება ყოველი პროექტისათვის, რომლებშიც მონაწილეობენ ავღანეთი და პაკისტანი. განსაკუთრებით ძნელია, ინინასწარმეტყველო მომავალი გარემო სამხრეთ აზიაში მაშინ, როცა ავღანეთი ირჩევს ახალ მთავრობას აშრაფ განის მეთაურობით და საერთაშორისო სამხედრო ძალები ტოვებენ მის ტერიტორიას. უახლესი დაძაბულობები, რომლებიც ინვევენ დიპლომატიური ურთიერთობების გაუარესებას სამხრეთ აზიის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ხაზს უსვამენ იმ გამოწვევებს, რომელთაც ეჯახებიან წევრი ქვეყნები წარმატების მიღწევის პროცესში.

თუ გავითვალისწინებთ წევრი ქვეყნების უდიდეს ინტერესსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერას, TAPI-ის მილსადენის პროექტი და CASA-1000 არის შორს რეალობისაგან მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯით. მომავალი პროგრესი უფრო მეტად დამოკიდებულია პროექტების უსაფრთხოებასთან, ვიდრე შეთანხმებულ იურიდიულ დეტალებთან. ეს გულისხმობს,

რომ მათი განხორციელებადობა დამოკიდებულია ავღანეთისა და პაკისტანის უსაფრთხოების სიტუაციის გლობალურ გაუმჯობესებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და ადგილობრივმა რესურსებმა ხელი შეუწყო მშვიდობის მიღწევას, დაუცველობა რჩება თვალსაჩინო საფრთხედ, განსაკუთრებით ავღანეთში. ამიტომ, დამატებით სადისპეჩერო უსაფრთხოების პერსონალის ჩართვა პროექტების დასაცავად კარგი პრაქტიკაა და უაღრესად მიზანშეწონილია, განსაკუთრებით TAPI-სთვის, რომელიც გადის ავღანეთის საფრთხის შემცველ ტერიტორიებზე, სადაც შეზღუდული მთავრობაა.




რუკა 22. თალიბანის და ისლამური სახელმწიფოს ადგილმდებარეობა ავღანეთში
<http://www.aljazeera.com/news/2016/11/taliban-hits-german-consulate-afghanistan-161110202134221.html>

4. ირან-რუსეთის კონკურენციის პერსპექტივები ევროპის გაზის ბაზარზე

2015 წლის ივლისში P5+1 ჯგუფის წარმომადგენლებმა (გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი + გერმანია) ირანთან მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ირანი ეკონომიკური სანქციების მოხსნის სანაცვლოდ, შეაჩერებდა ატომურ კვლევებს. მოლაპარაკებების შემდეგ რამდენჯერმე იქნა ნახსენები, რომ ირანის ბუნებრივი აირი შეიძლება გამხდარიყო რუსული გაზის ალტერნატივა ევროპულ ბაზარზე. ამ ნაშრომში განიხილება ირანისა და რუსეთის კონკურენციის პერსპექტივები ევროპულ ბაზარზე ირანის გაზის მრეწველობის განვითარების, საექსპორტო პოტენციალისა და პრიორიტეტების კუთხით (ორივე მილსადენი და LNG (თხევადი ბუნებრივი აირი) და ასევე ირანსა და რუსეთს შორის ორმხრივი ურთიერთობების თვალსაზრისი.

ეს შეიძლება ყოფილიყო მოლაპარაკებების სასარგებლოდ დამატებითი არგუმენტი, რაც გამოიწვევდა ინვესტიციების დინებას ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართულებით, კერძოდ კი გაზის მრეწველობაში.¹ მართლაც, 33,6 ტრილიონი კუბური მეტრის ოდენობის ბუნებრივმა აირმა, რის საფუძველზეც ირანი არამატერიალური სანჯავის მსოფლიოს სიდიდით მეორე რეზერვუარია, შეიძლება გახდეს წამახალისებელი ფაქტორი ზოგიერთი ევროკრატის ფანტაზიებისათვის მილსადენებთან დაკავშირებით, ასევე ბევრი ბიზნესმენისათვის – შემოსავლის წყარო. უკრაინის კრიზისის დაწყების შემდეგ, ევროპული გაზის იმპორტის სანდობა კვლავ საფრთხედ იქნა მიჩნეული, განსაკუთრებით სამხრეთ და

¹ Cerny, D. (2014), *EU Looks to Iran Gas Imports to Sap Russia's Energy Hold*, *Moscow Times*, 25 September. Available at: <http://www.themoscowtimes.com/business/article/eu-looks-to-iran-gas-imports-to-sap-russias-energy-hold/507783.html> [Accessed: 14 December 2014].



რუკა 23. სამხრეთ ნაკადის გაზსადენის დაგეგმილი მარშრუტი რუსეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში <http://www.economist.com/node/9009041>

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ამ მონაკვეთზე ხშირად იმედს ამყარებენ Bratstvo-სა და Soyuz-ის გაზის მილსადენების იმპორტზე.

(სურათი 8) ტრანს-ანატოლიური მილსადენის (TANAP) მშენებლობის ინიციატივა, ირანისთვის გაზის შესაძლებლობასთან დაკავშირებით იმედის მომცემი გახლდათ შეერთებოდა ამ პროექტს.¹

ხშირად გამოთქმულა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ნებისმიერი მთავარი გაზის მილსადენი ევროპასა და ირანს შორის ზრდის უკანასკნელის არბიტრაჟის უნარს და წარმოქმნის 135 მილიარდი კუბური მეტრის ოდენობის კონკურენციას რუსული გაზისთვის,

¹ Reuters (2015), Iran May Join TANAP Gas Pipeline Project, Gulf Business, 6 May. Available at: http://gulfbusiness.com/2015/05/iran-may-join-tanap-gas-pipeline-project/#.VVDBm_ntmko [Accessed: 10 May 2015].



რუკა 24. მთავარი ბუნებრივი გაზის მილსადენის ტრანზიტი
<https://miningawareness.wordpress.com/2017/03/24/italian-communities-block-trans-adriatic-pipeline-tap-to-save-ancient-olive-trees-environment/>

რომელიც ყოველწლიურად იმპორტირდება ევროპული ქვეყნების მიერ. რა არის რეალური პერსპექტივები ამგვარი მთავარი პროექტებისათვის ირანის საშინაო გაზის მრეწველობის მართვაში და ექსპორტში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს ირანის არჩევანმა ევროპაში გაზის ექსპორტთან დაკავშირებით რუსეთ-ირანის ორმხრივ ურთიერთობებზე?

4.1. ირანი, როგორც მთავარი პოტენციური მიმწოდებელი

ირანი, როგორც ექსპორტიორი, დაინტერესებულია მოახდინოს საექსპორტო მიმართულებების დივერსიფიკაცია, რათა დაიცვას თავისი გაზი და შეამციროს რისკები. გარდა ამისა, ეს სტრატეგიული მოსაზრებები და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გადამწყვეტი ხდება, როცა საქმე ახალი მილსადენების პროექტებს ეხება. ამ კუთხით, ევროპას, როგორც სამიზნე ბაზარს ირანის გაზისთვის, არ გააჩნია კონკურენტული უპირატესობა სხვა მიზნობრივი ბაზრებისათვის. ევროპული ბაზარი შორ მანძილზე მდებარეობს. ამგვარად, უფრო მაღალ დანახარჯებს მოითხოვს მიწოდების ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და

დახვეწაში. უფრო მეტიც, ევროპაში ფასები უფრო დაბალია, ვიდრე აზიაში და, როგორც ცნობილია, შემფოთების წყაროს წარმოადგენს ირანისთვის.¹

ირანის საექსპორტო პარამეტრები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად: გათხევადების პროექტები ყურეში; მილსადენის პროექტები სპარსეთის ყურის ქვეყნებში; ირანი-პაკისტანი-ინდოეთის (IPI) მილსადენი; თურქეთსა და კავკასიის ქვეყნებს შორის არსებული კავშირების გაღრმავება.

ირანის მთავრობის პრიორიტეტია თხევადი ბუნებრივი აირის (LNG – **liquefied natural gas**) ექსპორტისათვის საჭირო ნაგებობა-დანადგარების მშენებლობა და აღჭურვილობის განვითარება. ასეთი ძვირადღირებული ვარიანტის არჩევის ლოგიკური მიზეზი არის ის, რომ იგი დაკავშირებულია ისეთ დიდ და მიმზიდველ ბაზრებთან, როგორცაა იაპონია, სამხრეთ კორეა და ჩინეთი, რომელიც ასევე ხასიათდება უფრო მაღალი ფასებით.

ეს ვარიანტები შეაფერხა გაერო-ს სანქციებმა ირანის წინააღმდეგ, ამის შედეგად სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიამ უარი თქვა ირანის გაზის საბადოზე, მაგალითად “French Total”, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა გამხდარიყო წამყვანი ინვესტორი ირანის (თხევადი ბუნებრივი აირი – LNG) პროექტებში, მაგრამ მან უკან დაიხია.² ასეთ სიტუაციაში, ირანს ძალიან მცირე შანსი ჰქონდა იმისა, რომ საერთაშორისო გამოცდილებიდან სარგებელი მიეღო. პროექტების განვითარება მნიშვნელოვნად შეფერხდა. ხოლო Gazprom და ჩეპკ (ჩინეთის ეროვნული პეტროლიუმის კორპორაცია) (**China National Petroleum Corporation – CNPC**), რომლებიც ვაჭრობენ ირანთან, არც ისე დიდ ცოდნას და გამოცდილებას ფლობენ, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება გათხევადების ტერმინა-

¹ Iran Daily (2015), Iranian Official: Gas Exports to Europe Not Economical, Iran Daily, 10 May. Available at:

² Kozhanov, N. (2012), Russia’s Relations with Iran. The Washington Institute for Near East Policy. Available at: <http://www.washingtoninstitute.org/uploads/Documents/pubs/PolicyFocus120.pdf> [Accessed: 14 December 2014].

ლების მშენებლობა-განვითარებას. ხოლო სანქციების გაუქმება და დასავლელი ინვესტორების შემდგომი დაბრუნება ირანს მისცემს მეორე შანსს LNG-ის შეჩერებული პროექტების განახლებაში. ზემოთ აღნიშნული პროექტების დასრულების შემდეგ ევროპული ბაზარი გახდება გაზის დამატებითი წყარო მომხმარებელი.

LNG ექსპორტი არის ერთადერთი საექსპორტო ვარიანტი, რომელზეც პირდაპირი უარყოფითი გავლენა მოახდინა ევროპული კომპანიების უარმა. სანქციების რეჟიმს არ უმოქმედია ირანის შესაძლებლობებზე, მილსადენის მეშვეობით ეწარმოებინა გაზის ექსპორტი სპარსეთის ყურის ქვეყნებში. ყურეში ბუნებრივ აირზე მზარდი მოთხოვნაა, რაც გამომდინარეობს როგორც გაუმჯობესებული ნავთობის აღსადგენი ტექნიკის გამოყენებით (EOR– enhanced oil recovery), ასევე ენერჯის წარმოებაში გაზის გამოყენების ზრდით. ამ ფაქტორების საფუძველზე შეიქმნა საინტერესო საბაზრო სივრცე ირანისათვის სპარსეთის ყურეში,¹ ირანსა და არაბულ მონარქიებს შორის დაპირისპირების პირობებშიც კი. ირანსა და მის სამხრეთელ მეზობლებს (საუდის არაბეთის გარდა) შორის ხელი მოეწერა მთელ რიგ ურთიერთგაგების მემორანდუმებს, რათა აეგოთ რამდენიმე 10-მილიარდიანი კუბური მეტრის მოცულობის პატარა მილსადენები. ამ პროექტებიდან ჯერჯერობით არცერთი განხორციელებულა. ბევრი მათგანი შეჩერებულია ფასებზე არსებული უთანხმოების გამო. გეოპოლიტიკური არგუმენტები არასდროს ყოფილა გამორიცხული ამ რეგიონში.² იემენის კონფლიქტმა, ბოლოდროინდელი გაუარესების გამო, რომელიც ასევე განიხილებოდა, როგორც ომი ირანსა და არაბეთს შორის, უშუალო ჩარევის გარეშე უარყოფითად იმოქმედა ირანის ისლამურ რესპუბლიკაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ამერიკის შეერთებულ შტატები აღმოფხვრის ირანის საექსპორტო პროექტებს

¹ Jalilvand, R. D. (2013), *Iran's gas exports: Can Past Failure Become Future Success?* Available at: <http://www.oxfordenergy.org/2013/06/irans-gas-exports-can-past-failure-become-future-success/> [Accessed: 14 December 2014].

² Ibid.




რუკა 25. ომან-ირანის წყალქვეშა გაზსადენის დერეფნის ტენდერი
<http://re3.feem.it/getpage.aspx?id=6240>

სპარსეთის ყურესთვის, ეს მისთვის რთული ამოცანა არ იქნება. მიუხედავად ამისა, ბაზრის კომერციული დინამიკა აისახება შეთანხმებით, რომელიც განხორციელდა 2015 წლის გაზაფხულზე ირანსა და ომანს შორის: მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, აეგოთ ბუნებრივი აირის წყალქვეშა მილსადენი, რომლის მარაგი ყოველწლიურად 10 მილიარდი კუბური მეტრი იქნებოდა.¹

ირანი-პაკისტანი-ინდოეთის მილსადენი (IPI) ისლამური რესპუბლიკისათვის არის ერთ-ერთი მთავარი პროექტი გაზის ექსპორტში. ეს პროექტი, რომელზეც მსჯელობა 1990-იანი წლებიდან მიმდინარეობს, უფრო რეალისტური გახდა 2000 წლიდან. ამ პერიოდში ინდოეთსა და პაკისტანს შორის ურთიერთობები ნაკლებად დაძაბული გახდა. სავარაუდოდ, მილსადენი პაკისტანისა და ინდოეთის ბაზარს ყოველწლიურად მოამარაგებს 22 მილიარ-

¹ Reuters (2015), Iran Says Seals Gas Export Deal with Oman, Reuters, 12 March. Available at: <http://www.reuters.com/article/2014/03/12/us-iran-oman-gas-idUSBREA2B24K20140312> [Accessed: 10 May 2015].

World Energy Consumption by Fuel



გრაფა 3. ენერჯის მოხმარება და იმპორტი

<http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0959652615001961>

დი კუბური მეტრის ოდენობის ბუნებრივი აირით.¹ მილსადენის პირველი ფაზა უკვე დასრულებულია და იგი აღწევს ირანისა და პაკისტანის საზღვრამდე. პაკისტანისთვის მიწოდება უნდა დაწყებულიყო სულ მცირე 2014 წლის დეკემბერში, თუმცა ეს არ განხორციელებულა, იმის გამო რომ პაკისტანის მონაკვეთი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

ზოგიერთი ექსპერტი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პროექტი ორივე სახელმწიფოზე შეჩერებული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის გამო.² იმ შემთხვევაშიც თუ ეს სიმართლე აღმოჩნდება, გაერო-ს სანქციების გაუქმება პრაქტიკულად დაიხსნის მილსადენს წინააღმდეგობებისგან იმის ნაცვლად, რომ გადაამისამართოს ირანის გაზი ალტერნატიულ

¹ IGU (2009), The Iran-Pakistan-India PIPeline Project, IGU Magazine, April, pp. 234-253. http://members.igu.org/old/gas-knowhow/publications/igu-publications/publications/mag/apr-09/igu_april_2009_pages_234-back.pdf [Accessed: 14 August 2015].

² Jalilvand, R. D. (2013), Iran's Gas Exports: Can Past Failure become future success? Available at: <http://www.oxfordenergy.org/2013/06/irans-gas-exports-can-past-failure-become-future-success/> [Accessed: 14 December 2014].

მიმართულებებზე. **გრაფა 3** გვიჩვენებს, რომ პაკისტანში გაზზე მზარდი მოთხოვნაა, ევროპასთან შედარებით. მონაცემები ათწლიულის განმავლობაში უფრო დადებითია. პაკისტანის მოთხოვნა 30%-ით გაიზარდა (შიდა წარმოების შემცირებით) იმ დროს როცა ინდოეთის მოხმარება გაორმაგდა და 2013 წელს მიაღწია 51,4 მილიარდ კუბურ მეტრს (ამგვარად ინდოეთს წინ აქვს განვითარების დიდი პოტენციალი).

დაბოლოს, როდესაც საუბარია ირანის გაზის ექსპორტის არჩევანზე, არ უნდა დავივიწყოთ ირანის პერსპექტივები უფრო მეტად განავითაროს მილსადენის ექსპორტი თურქეთთან. 10 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობის თავრიზი-ანკარის მილსადენი არის ირანის ერთადერთი დამაკავშირებელი უცხოურ ბაზრებთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ნაკლებად მნიშვნელოვან კავშირებთან ერთად.¹



რუკა 26. შემოთავაზებული ნაბუკოს გაზის მილსადენი
<http://aa.com.tr/en/turkey/nabucco-project-fails-placed-by-trans-adriatic-pipeline-project/235841>

¹ Ibid.

ირანის ნავთობის მინისტრმა ბოლო პერიოდში წამოაყენა შეთავაზება, რომ გაეორმაგებინათ თურქეთისათვის მიწოდებული გაზის მოცულობა, მაგრამ შეთავაზება უარყოფილ იქნა.¹ ამის მთავარი მიზეზია ირანის, როგორც არასანდო ექსპორტიორი ქვეყნის პოზიცია: ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში დეფიციტის საფუძველზე დაფიქსირდა შეფერხება თურქეთში იმპორტთან დაკავშირებით, ხოლო 2008 წლიდან (მისი ინაუგურაციის შემდეგ) ჯერ მხოლოდ მილსადენის 60%-ია გამოყენებული.² ამ ფაქტორებმა შეარყია თურქეთის ნდობა. ამავე დროს, თურქეთი ვითარდება როგორც სატრანსპორტო ცენტრი ევროპული ბაზრის მიმართულებით. ეს მდგომარეობა თავისთავად ამცირებს თურქეთში ირანის ექსპორტის პოტენციალს, ძირს უთხრის ირანს, როგორც ევროპის ბაზრის მიმწოდებელს.

საერთო ჯამში, ნათელია, რომ ირანს აქვს უდიდესი მარაგი და სტრატეგიულად სასარგებლო გეოგრაფიული პოზიცია. მას აქვს რამდენიმე არჩევანი ბუნებრივი აირის ექსპორტის სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სპარსეთის ყურის ქვეყნებში, სამხრეთ აზიაში, სამხრეთ კავკასიაში, თურქეთში და ევროპულ ბაზარზე. თუმცა, მას შემდეგ, რაც დეტალურად გადავხედეთ თითოეულ მიმართულებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა მათგანი ხასიათდება უამრავი (გეო)პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემით. ექსპორტის მიმართულებები, რომლებიც ხელს უწყობს ირანს, გახდეს ევროპისათვის მიმწოდებელი, არის ყველაზე რთული ამ ვარიანტებიდან, მანამ სანამ სანქციების თავიდან შემოღების საფრთხე იარსებებს ირანს ურჩევნია დაუკავშირდეს ნაკლებად დისტანციურ ბაზრებს, მაგალითად პაკისტანსა და სპარსეთის ყურეს.

¹ Shaban I. (2015). **Why Turkey Rejects Doubling Iranian Gas Imports, Natural Gas Europe, 16 April.** Available at: <http://www.naturalgaseurope.com/why-turkey-rejects-doubling-iranian-gas-import-23219> [Accessed: 17 April 2015].

² Jalilvand, R. D. (2013), **Iran's Gas Exports: Can Past Failure become future success?**

4.2. საშინაო (შიდა) გაზის რეგულირების პერსპექტივა: ირანი, როგორც არშემდგარი ექსპორტიორი

BP-ის სტატისტიკური მიმოხილვის თანახმად, 2013 წელს ირანმა მოიხმარა 156 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობის ბუნებრივი აირი (რაც ჩინეთის დანახარჯზე მეტია) და აწარმოა ოდნავ მეტი, 160 მილიარდი კუბური მეტრის ფარგლებში¹ 2012 წელს ირანი კვლავ გახდა თავისუფალი ექსპორტიორი (net exporter), ხოლო 1997 წლიდან 2011 წლამდე ის წარმოადგენდა იმპორტიორს თურქმენეთიდან მომდინარე გაზის მარაგით.

მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს უკავშირდება უცხოელთა მონაწილეობა ირანის ნავთობისა და გაზის მრეწველობაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება დასავლეთის კომპანიებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოცდილების ნაკლებობა ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ირანისათვის, განავითაროს თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) საექსპორტო წარმოება. თუმცა დასავლურ კომპანიებთან თანამშრომლობა, რომელთაც აქვთ გამოცდილება გაზის პროექტების განვითარებაში, ახალი მთავრობისთვის უფრო სასურველი გახდება.

ირანის ეკონომიკა მძიმედ არის სუბსიდირებული ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში (MENA (The Middle East and North Africa): ფულადმა დოტაციამ 80\$ მილიარდი შეადგინა, რაც მშპ-ის ერთ მეხუთედს წარმოადგენს.² ბუნებრივი აირის მრეწველობა გამონაკლისი არ არის. არსებობს ისეთი სუბსიდიებიც, რომლებიც ზედმეტ მოხმარებას ემსახურება, რისი შედეგიც გახლდათ 1990 წლის შემდეგ ადგილობრივი ბაზრის განაკვეთების ძალიან სწრაფი ზრდა. 2000-იან წლებში აჰმადინეჯადის ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა წარმატებით გაეტარებინა

¹ BP (2014), *Statistical Review of World Energy*. <http://www.bp.com/content/dam/bp/pdf/Energy-economics/statistical-review-2015/bp-statistical-review-of-world-energy-2015-full-report.pdf> [Accessed: August 10, 2014].

² Jalilvand, R. D. (2013), *Iran's Gas Exports: Can Past Failure become future success?*

რეფორმები მეტად მგრძობიარე და სწრაფად რეაგირებად სექტორში: რეფორმების გატარების პირველი მცდელობისას დაიწყო ძალადობრივი საპროტესტო აქციები 2007 წელს, რამაც გავლენა მოახდინა გაზის ფასების პროგრესულ ზრდასა და საბაზრო ფასების ცვლილებაზე.¹ ეს ცვლილებები კვლავ მიმდინარეობს.

ბუნებრივი აირის ექსპორტის კაპიტალიზაციისათვის განცდილი მარცხის გამო, ირანელთა უკმაყოფილება აჰმადინეჯადის მისამართით, სანქციებზე მძიმე აღმოჩნდა.² როუჰანის (Rouhani) ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მოსალოდნელი იყო რადიკალური ცვლილება ძალაუფლების გადანაწილებაში. როუჰანის პირველი ამოცანა იყო ექსპორტის გაუმჯობესება კონკრეტულად კი IPI-ის მილსადენის პროექტის დასრულებით. ამ პროექტს მაინცდამაინც არ მოუტანია რაიმე დამატებითი მოცულობები ირანისათვის ბუნებრივი აირის ინდუსტრიაში. ექსპორტი მთავრობისათვის გახდა მეორეხარისხოვანი: რეჟიმის სტაბილიზაცია და შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება – უფრო პრიორიტეტული.³

მიუხედავად იმისა, რომ როუჰანის ადმინისტრაციამ საჭირო ზომები მიიღო შიდა ფასების რეფორმირებისათვის⁴ და საკმაოდ სტაბილური მდგომარეობა შექმნა ნავთობისა და გაზის რეგულირებაში ნავთობის მინისტრად ბიჯან ნამადარ ზანგენეს დანიშვნით, ახალ პრეზიდენტს დიდად არ შეუცვლია ზოგადი შეხედულება დასავლეთიდან მომდინარე ინვესტიციებთან დაკავშირებით, საჭიროდაც არ ჩათვალა არაეფექტური ინსტიტუციური რეფორმის გატარება.

¹ **Habibi, N. (2014), Can Rouhani Revitalize Iran's Oil and Gas Industry?** Available at: <http://www.brandeis.edu/crown/publications/meb/meb80.html> [Accessed: 14 December 2014].

² Ibid.

³ **Jalilvand, R. D. (2013), Iran's Gas Exports: Can Past Failure become future success?**

⁴ **Hafezi P. (2014), Iran Fuel Price Hikes will be Big Test for Rouhani, Reuters, 27 April.** Available at: <http://www.reuters.com/article/2014/03/27/us-iran-subsidies-idUSBREA2Q09L20140327> [Accessed: 14 December 2014].

ისტორიულად დამამცირებელ გამოცდილებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნავთობის ანგლო-სპარსული კომპანია ახორციელებდა ირანის ეროვნული რესურსების ექსპლოატაციას. ისლამური რეჟიმის ანტილიბერალურმა იდეოლოგიამ შექმნა ის, რასაც ჯალივანდი ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი „მიზოფრენიულ პარადოქსს“ უწოდებდა: სანამ იარსებებს ის საფრთხე, რომ უცხოური კომპანიები კვლავ ნავლენ ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, ირანის მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და გამოიყენოს ამ კომპანიების მიერ შემოტანილი ინვესტიციები და ტექნოლოგიები. შედეგად კონტრაქტების უკან გამოსყიდვის სქემების კომბინაციის საჭიროება გახდა. ხოლო ირანის ხელისუფლების ეჭვმა ნავთობის საერთაშორისო კომპანიების მიმართ, აიძულა ინვესტორები ჯერ კიდევ 2012 წელს სანქციების დაწესებამდე უარი ეთქვათ დაფინანსებაზე.

2012 წელს სანქციების დაწესების შემდეგ, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, როგორცაა Schlumberger¹, წამყვან უცხოურ ინვესტორებს ირანის გაზის მრეწველობაში წარმოადგენდნენ რუსული კომპანიები (კონკრეტულად Gazprom). ფაქტობრივად, რუსულ კომპანიებს მნიშვნელოვანი ორმხრივი უპირატესობა გააჩნდათ. პირველი, მათ ვინც გადაწყვიტა დარჩენილიყო ირანის ენერგო-მრეწველობაში ჰქონდათ უკეთესი მდგომარეობის მოლოდინი მას შემდეგ რაც სანქციები მოიხსნებოდა და შეჩერებული პროექტები კვლავ ამუშავდებოდა, ევროპელი და ამერიკელი კონკურენტებისგან განსხვავებით.² მეორე, მას შემდეგ, რაც ისინი აღარ არიან დაკავშირებული კოლონიალისტურ წარსულთან ან იმპერიალისტურ ანმყოსთან, რუსულ კომპანიებს კვლავ შე-

¹ Edwards J. (2015), **Schlumberger Pleads Guilty to Violating U.S. Sanctions on Iran, Sudan, Reuters, 25 March**. Available at: <http://uk.reuters.com/article/2015/03/25/uk-usa-justice-sanctions-idUKKBN0ML2J320150325> [Accessed: 26 March 2015].

² Tomberg, I. (2009), *Iran in the European Gas Market: a Russian Point of View*, Institut Francais des Relations Internationales. Available at: http://www.ifri.org/?page=contribution-detail&id=5482&id_provenance=97 [Accessed: 14 December 2014].

იძლება ჰქონდეთ მოლოდინი იმისა, რომ, დაიმსახურებენ ირანის მთავრობის უფრო სასურველ დამოკიდებულებას. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით, და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ორივე რუსეთისა და ირანის გაზის მრეწველობა სახელმწიფოს მიერ არის მართული, შეიძლება ველოდოთ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის სქემების შექმნას. კიდევ უფრო აშკარა ხდება, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული კავშირების გაფართოება ბოლო პერიოდში კვლავ გაძლიერდა.

4.3. რუსეთისა და ირანის კავშირების ხელახლა განსაზღვრა

ექსპერტები აკვირდებიან ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერებას ისლამური რევოლუციის შემდეგ.¹ 1991-2011 წლები ხასიათდება, როგორც „ფრთხილი პარტნიორობა“ (რუსული დიპლომატია არ გამოხატავდა დიდ მონდომებას, რომ ირანს „სტრატეგიულ პარტნიორად“ მიიჩნევდეს).² მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა უკრაინაში ომის და სირიაში ISIS-ის გაძლიერების შემდეგ. 2014 წლის ბოლოსთვის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი ლავროვს, არ უყოყმანია, ირანისათვის „ბუნებრივი მოკავშირე“³ ეწოდებინა.

რაც შეეხება ირანს, ოფიციალური წარმომადგენლები ყოველთვის ფრთხილობენ, როდესაც თავიანთ პერსპექტივებს ევროპული ბაზრისკენ მიმართავენ.⁴ ქასმარის (ირანელი მკვლევარი) აღშფოთება ევროპის არც ისე მომხიბლავ ფასებთან დაკავშირებით

¹ **Kozhanov N. (2015), Understanding the Revitalization of Russian-Iranian Relations, Carnegie Moscow Center.** Available at: <http://carnegie.ru/2015/05/05/understanding-revitalization-of-russian-iranian-relations/i86n> [Accessed: 8 May 2015].

² **Kozhanov, N. (2012), Russia's Relations with Iran. The Washington Institute for Near East Policy.** Available at: <http://www.washingtoninstitute.org/uploads/Documents/pubs/PolicyFocus120.pdf> [Accessed: 14 December 2014].

³ **Kozhanov N. (2015), Understanding the Revitalization of Russian-Iranian Relations.**

⁴ **Tomberg, I. (2009), Iran in the European Gas Market: a Russian Point of View.**

შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც უპირატესობა რუსი პარტნიორებისკენ. ირანზე სანქციების დაწესების შედეგად, რუსეთმა გაზარდა თავისი წილი ირანის ეკონომიკაში. თანამშრომლობის ორი მთავარი სფერო მოიცავს ნავთობის მარაგს და ირანის ატომურ პროგრამას.

როგორც მოსალოდნელი იყო,¹ ივლისის დასასრულს, გაყიდვებზე განხორციელდა გარიგება. ირანის გაყიდული ნავთობი გაიცვალა რუსულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტში და დღეში 50 000 ბარელი შეადგინა. მართლაც, სანქციების რეჟიმის გამო, ირანის ნავთობის ექსპორტი დაეცა 2010-2014 წლებში დღეში 2,5 მილიონი ბარელიდან ერთ მილიონ ბარელამდე, რაც 30 წლის განმავლობაში წარმოადგენდა ქვეყნის მშპ-ის 5%-ს. ფაქტობრივად, თეირანი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ნავთობის ექსპორტი გაზის ექსპორტს აჭარბებს. ბოლო გამოთვლების თანახმად, ნავთობის გაყიდვებმა ნახშირწყალბადის ექსპორტის საერთო მოგების 75% შეადგინა.² რუსეთთან შესაძლო გარიგება იმის შესახებ, რომ გაყიდოს ნავთობის მნიშვნელოვანი წილი, შეიძლება შეღავათი გახდეს ირანის მთავრობისათვის და დამატებით მიიღოს სარგებელი სასურსათო უსაფრთხოების გარანტიის სახით, რაც ირანის მთავრობისათვის ცალკე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.³ როცა საქმე ბირთვულ სფეროს ეხება, თანამშრომლობა კიდევ უფრო ძლიერი ხდება. Rosatom არის **Bushehr NPP** (ატომური ელექტროსადგური) პროექტის მშენებლობის უდავო შემკვეთი.

¹ **Baczynska G. (2015), Russia Opens Way to Missile Deliveries to Iran, Starts Oil-for-Goods Swap, Reuters, 13 April.** Available at: <http://www.reuters.com/article/2015/04/13/us-iran-nuclear-russia-idUSKBN0N40YX20150413> [Accessed: 15 April 2015].

² **Heuty, A. (2012), Iran's Oil and Gas Management, Revenue Watch Institute.** Available at: <http://www.resourcegovernance.org/publications/iran%E2%80%99s-oil-and-gas-management> [Accessed: 14 December 2014].

³ **Kozhanov N. (2015), Understanding the Revitalization of Russian-Iranian Relations.**



სურათი 2. ბუშერის ატომური ელექტროსადგური ირანში
<http://www.atomstroyexport.ru/wps/wcm/connect/ase/eng/about/NPP+Projects/Current/Bushehr/>

პროექტის დასრულება გადაიდო ათ წელზე მეტი ხნით, რაც დაემთხვა სხვადასხვა ცვლილებებს ორმხრივ ურთიერთობებს შორის. ელექტროსადგურის მეორე ფაზის მშენებლობა წარმატებით დასრულდა 2013 წლის სექტემბერში. 2014 წლის შემოდგომაზე, რუსულმა ექსპორტმა შესთავაზა არსებული ნაგებობა-აღჭურვილობის გაფართოებისა და ახალი რეაქტორების მშენებლობის გეგმები.¹ ეს ხსნის რუსეთის პოზიციას ირანის სასარგებლოდ P5+1 მოლაპარაკებებში.

სამხედრო თანამშრომლობა სხვა მთავარი საკითხია ორმხრივ ურთიერთობებში. პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია ბირთვულ პრობლემასთან – მას შემდეგ, რაც რუსული S-300-ის სამხედრო იარაღი დაკავშირებულია ბირთვულ ობიექტებზე შესაძლო თავ-

¹ **World Nuclear News (2014), Russia to Build Eight More Reactors in Iran, 11 November.** Available at: <http://www.world-nuclear-news.org/NN-Russia-to-build-eight-more-reactors-in-Iran-11111401.html> [Accessed: 20 June 2015].

დასხმებისგან დასაცავად. მეორე, ახლო აღმოსავლეთი, ზოგადად, მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილია რუსული სამხედრო შეიარაღებისთვის, ხოლო ირანი ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსეთისათვის. რუსეთსა და ირანს შორის სამხედრო თანამშრომლობა აღდგა მას შემდეგ, რაც პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება, განეხლებინა თავდაცვითი რაკეტების მიწოდება (აღრე დაიბლოკა მედვედევის მიერ, 2010 წელს)

სხვა ფაქტორები, რომლებიც იწვევს რუსეთისა და ირანის პოზიციების თანხვედრას:

- საერთო პოზიცია სირიასთან დაკავშირებით 2011 წლიდან, ხოლო ISIS-ის წინააღმდეგ 2014 წლიდან;
- რუსეთის ურთიერთობების გაუარესება დასავლეთთან, რამაც მოსკოვს უბიძგა, ახალი კავშირების მოძებნისკენ;
- პარტნიორების შექმნის მნიშვნელობა განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში, სადაც ლიბიის კრიზისმა და სირიაში სამოქალაქო ომმა რუსეთის პოზიციები შეასუსტა.

ცხადია, მომავალში მოსალოდნელია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაზრდა. მაშინ გასაკვირი არ არის, რომ რუსეთისა და ირანის ეკონომიკური საბჭოების ერთიანი შეხვედრისას 2014 წლის სექტემბერში, მხარეები შეთანხმდნენ ორმხრივი ვაჭრობის მოცულობის გაზრდაზე \$15 მილიარდით 2017 წლისათვის.¹

ამ დადებითი მოცემულობიდან გამომდინარე, რომელშიც ვითარდება ორმხრივი ურთიერთობები 2014 წლის დადგენილებით გადაწყდა გაეუქმებინათ სამხრეთ დინების (South Stream) პროექტი და განევითარებინათ ახალი მარშრუტი თურქეთის მიმართულებით ირანიდან, რომელსაც თურქეთში Gazprom შეუერთდება შავი ზღვის გავლით. გასაკვირი არ არის, რომ ეს გადაწყვეტილება საჯაროდ განიხილება ირანის ხელისუფლების მიერ.² ამან

¹ Ibid.

² IRNA (2015), Iran, Russia Yet to Discuss Possible Turkish Stream Cooperation, 6 June. Available at: <http://www.irna.ir/en/News/81635167/> [Accessed: 20 June 2015].



რუკა 27. თურქეთის მილსადენი
https://www.nytimes.com/2015/01/22/business/international/russia-presses-ahead-with-plan-for-gas-pipeline-to-turkey.html?_r=0

შეიძლება Gazprom-ს მისცეს შესაძლებლობა მოახდინოს მილსადენის ადაპტაცია რომელსაც ევროკავშირის კანონმდებლობა არ ენიშნავს.

4.4. დასკვნა

სანქციების მოხსნის შემთხვევაში, ირანი კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს, რათა გახდეს ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი. ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ იგი გახდეს რუსეთის მთავარი მონინააღმდეგე ევროპული გაზის ბაზარზე. ამგვარი მსჯელობის მიზეზია ირანის გაზის უზარმაზარი რესურსები (რაც აჭარბებს რუსულ რესურსებს), ძირითად სფეროებში დაბალი ზღვრული ფასები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ევროპელთა მისწრაფება შეამცირონ რუსეთის წილის მინოდება. თუმცა, ამგვარი კონკურენცია არც ისეთი რეალურია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

პირველ რიგში, ევროპული გაზის ბაზარი ირანის გაზის ექსპორტის პრიორიტეტებზე მცირეა. მეორე, ირანის გაზის მრეწ-

ველობის არაორგანიზებამ შემდგომში შეიძლება შეზღუდოს ბუნებრივი აირის ექსპორტი. მესამე, ირანი რუსეთს განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან პარტნიორს, ხოლო ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა მოიცავს როგორც ნავთობის გაყიდვებს, ისე ბირთვული ინერჯისა და სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას. ამ შემთხვევების გათვალისწინებით, რთულია წარმოსადგენია, რომ ირანის მთავრობა ძირს უთხრიდეს საკუთარ მოკავშირეს, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი რაოდენობით გაზის გატანას ევროპაში. და თუ ამგვარი შეთანხმება დღეს დაგეგმილი არ არის, მოსალოდნელი არც ის არის, რომ ეს მოხდება ახლო მომავალში. არც ბოლო დროს განვითარებული მოვლენები უნდა უარყოფთ, იმის გათვალისწინებით, რომ მილსადენის ინფრასტრუქტურული პროექტები რამდენიმე წლით ადრეა დაგეგმილი.

5. განახლებები ინდოეთში: მიმდინარე სამუშაოები

ინდოეთი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ქვეყანაა მსოფლიოში. გლობალური ენერჯის სფეროში მისი მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდება და უდავოა, რომ მომავალში კიდევ უფრო წინ წაიწეოს განახლებადი ენერჯის რესურსების სფეროში. თუმცა ჯერ კიდევ უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. მიუხედავად ამისა, ინდოეთი დაბალკარბონატულ სისტემაზე გადასვლის ერთგული რჩება, ახლანდელი სტრატეგიები ამისათვის არც ისე ხელსაყრელია. ფართომასშტაბიანი პროექტების ნაცვლად, სასურველია ინდოეთმა ყურადღება გაამახვილოს უფრო პატარა პროექტებზე და განანილებულ რესურსებზე. უფრო მეტიც, ინდოეთისათვის საჭირო იქნება კონცენტრირება მოახდინოს არსებული ეკონომიკური და საკანონმდებლო სისტემის რესტრუქტურირების განახლებაზე.

როგორც ერი, რომლის მოსახლეობის რაოდენობა 1,3 მილიარდ ადამიანზე მეტია, მისი ეკონომიკა მეშვიდე ადგილზეა მსოფლიოში და გლობალურ ასპარეზზე ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ქვეყანაა. ინდოეთი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშე ხდება ენერგეტიკული თვალსაზრისით. ინდოეთის ენერგეტიკული მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობა ხაზგასმული არ არის მხოლოდ მისი ეკონომიკური ზრდის სისწრაფით და ენერჯის მზარდი მოხმარებით, ასევე იმ ფაქტით, რომ ენერგეტიკული დიპლომატიის მთავარი ბურჯი გახდა ცოტა ხნის (2014 მაისი) წინ არჩეული მთავრობის პრემიერ მინისტრ ნარენდა მოდის საგარეო პოლიტიკა. გარდა ენერგეტიკული უსაფრთხოების, ფინანსური და სხვა სახის ხელმისაწვდომობისა, მოდომ ხაზგასმით აღნიშნა უფრო მდგრად ენერგეტიკულ მოდელზე გადასვლის აუცილებლობა. მოდის სახელმწიფო ვალდებულება განახლებადი ენერგეტიკული რესურსების მიმართ გარდამტე-

ბი აღმოჩნდა ინდოეთისათვის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი ნამდვილად პერსპექტიული მოთამაშეა **განახლებადი ენერჯის რესურსების (RES)** სფეროში და, უფრო მეტად, მძიმე ენერგეტიკის მიმართულებით, მომავალში უდავოდ წინ წაინეწვს, კვლავ უამრავი პრობლემა რჩება გადასაჭრელი.

მოულოდნელად რა კონკრეტული პრობლემები შეიძლება წამოიჭრას ინდოეთის წინაშე უფრო მდგრად ენერგეტიკულ მოდელზე გადასვლის პროცესში? რამდენად იმედის მომცემია ინდოეთი როგორც RES მოთამაშე? რა არის მოდის განსაზღვრული RES-ის სტრატეგია და არის თუ არა მისი პოლიტიკა საკმარისად წამახალისებელი მიზნების მისაღწევად?

5.1. ინდოეთის ელექტროენერჯის წარევი (მიქსი)

ინდოეთი ამჟამად ელექტროენერჯის მეხუთე უდიდესი მომხმარებელია მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის, იაპონიისა და გერმანიის შემდეგ.¹ ინდოეთს აქვს ელექტროენერჯის მოცულობიდან 258,7 გიგავატი (GW) ექსპორტირებული.² აქედან უმეტესი წილი მოდის ქვანახშირზე, რომელიც ქვეყნის ენერგეტიკული მიქსის ნამდვილ მეფედ გვევლინება. ქვანახშირი ინდოეთის ელექტროენერჯის დაახლოებით 60%-ს ითვლის, რაც არაჰიდროენერგეტიკულ განახლებად რესურსებთან ერთად 12,3%-ს წარმოადგენს.

თუ დანვრილებით გამოვიკვლევთ ამ 12,3%-ს (31,7 გიგავატს) განახლებადი ენერგეტიკული რესურსებიდან, ცხადყოფს, რომ ძირითადი ნაწილი ქარზე მოდიოდა. ინდოეთი ამჟამად აწარმოებს ქარის ენერჯის საფუძველზე მიღებულ 21,1 გიგავატს, რაც არის

¹ **Central Intelligence Agency (2015), The World Factbook; Country Comparison: Electricity – Consumption.** Available at: <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/rankorder/2233rank.html> [Accessed: April 30, 2015].

² **Central Electricity Authority, Government of India, Ministry of Power (2015), Monthly All India Installed Generation Capacity Report.** Available at: http://www.cea.nic.in/reports/monthly/inst_capacity/jan15.pdf [Accessed: April 30, 2015].

ქვეყნის საერთო განახლებადი ენერგეტიკული რესურსების 213. ამას მოსდევს მზის ენერგია (6.7 გიგავატი ან 17%), ბიომასა (4,5 გიგავატი ან 13%) და მცირე წყლის ენერგია (4.2 გიგავატი ან 12%).¹

ამჟამად ინდოეთი ქარის გენერაციის გლობალური მოცულობის სიდიდის მიხედვით მეხუთე ადგილზეა, ჩინეთის, გერმანიის, შვედეთის შტატებისა და ესპანეთის შემდეგ, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით წარმოებული ქარის ენერჯის 6,1% მის განკარგულებაშია.² მეორე აღსანიშნავი საკითხია ასევე ის, რომ მათი მზის ენერჯის მოცულობა დღესდღეობით კვლავაც უმნიშვნელოა ამიტომაც 2015 წელს მთავრობამ \$100მლრდ-ნი ინვესტიცია ჩადო მზის სადგურების გაფართოებაში რათა 2022 წლისთვის წარმოებული ქარის ენერჯი 100 GW-ს გადააჭარბოს.³

| |
|--|
| 1000 W = 1kW 1000kW = 1MW 1000MW= 1GW |
|--|

გრაფა 4. დენის საზომის კონვერტაცია

http://www.rapidtables.com/convert/power/Watt_to_kW.htm

5.2. მიზნები

მოდის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სურთ გაზარდონ ინდოეთის ენერგეტიკულ ნარევეში განახლებადი ენერგეტიკული რესურსების წილი, რომლის მოდელირებაც ჩატარდა მოდის 2014 წლის კამპანიის სლოგანის შემდეგ: „ინდოეთი აწარმოებს საკმარის განახლებად ენერჯიას იმისათვის, რომ 2019 წლისათვის ყველა ოჯახს მიეწოდებოდეს ელექტროენერჯია“. ეს არის კარგი

¹ Ibid.

² **Global Wind Energy Council (2015), Global Statistics.** Available at: <http://www.gwec.net/global-figures/graphs/> [Accessed: April 30, 2015].

³ **Ravindran, S. (2014), India's Push for Renewable Energy: Is It Enough?, National Geographic.** Available at: <http://news.nationalgeographic.com/news/energy/2014/09/140919-india-modi-renewable-energy-science-world-wind-solar/> [Accessed: April 30, 2015].

მაგალითი იმისა თუ როგორი ამბიციურია მოდის მიზნები განახლებად ენერგეტიკული რესურსებთან მიმართებაში.¹ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 80 მილიონ ოჯახზე მეტი (400 მილიონი ადამიანი) იმდენად ღარიბია, რომ აქვთ მცირე ან საერთოდ არანაირი წვდომა ელექტროენერგიაზე, შეიძლება ითქვას რომ ეს ზედმეტად ამბიციური განაცხადია.²

კამპანიის სლოგანების გარდა, მოდიმ შექმნა ორი ოფიციალური სტრატეგია. ისინი დაყოფილია დროის ორ მონაკვეთად; მიმდინარე დროიდან 2022 წლის ჩათვლით (როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობის 75-ე წლისთავს აღნიშნავს) და 2022 წლიდან 2050 წლამდე. სტრატეგია ცნობილია “Desert Power India”-ს სახელით.³

2022 წლის მიზნად დასახულია განახლებადი ენერგეტიკული რესურსების წარმოების მოცულობის 160 გიგავატიტ გაზრდა, საიდანაც 100 გიგავატი იქნება მზის ენერგია, ხოლო 60 გიგავატი – ქარის. თუ მიზანი მიღწევა, განახლებადი ენერგია შეადგენს საერთო მოცულობის 15%-ს.⁴

160 გიგავატის სტრატეგია უმეტესწილად ფოკუსირებულია მზისა და ქარის მეგა დანადგარებზე, რისთვისაც გამოიყო €7,3 მილიარდი და რაც კონკრეტულად განთავსებული იქნება ჩრდილო დასავლეთსა და შორეულ სამხრეთ აღმოსავლეთში: რაჯასტანი, გუჯარათი, თამილ ნადუ და ლადახი. ასევე, ფული გამოიყო

¹ Katakay, Rakteem and Chakraborty, Debjit (2015), **Modi to Use Solar to Bring Power to Every Home by 2019, Bloomberg**. Available at: <http://www.bloomberg.com/news/articles/2014-05-19/modi-to-use-solar-to-bring-power-to-every-home-by-2019> [Accessed: April 30, 2015].

² Climate Group (2015), **The Business Case for Off-Grid Renewables in India**. Available at: <http://www.dalberg.com/wp-content/uploads/2015/02/The-business-case-for-offgrid-energy-in-India.pdf> [Accessed: April 30, 2015].

³ Bhaskar, Uptal (2014), **Budget Stresses on Clean Energy Resources, Live Mint**. Available at: <http://www.livemint.com/Politics/fUzkHkQ5VKZ73v6KeoJpAM/Arun-Jaitley-allocates-Rs-1000-crore-for-renewable-sector-s.html> [Accessed: April 30, 2015].

⁴ Ibid.



სურათი 3. მზის ენერჯის სადგურების განვითარება ინდოეთში
<http://solarpowerplantindia.blogspot.com/>

მზის ენერჯიაზე მომუშავე წყალსატუმბებისათვის (€5,8 მილიარდი) და მზის პანელებისათვის არხებისა და სახურავების დასაფარად (€1,4 მილიარდი).¹

“Desert Power India” ყურადღებას ამახვილებს, რათა გაზარდოს განახლებადი ენერჯეტიკული რესურსების წარმოების მოცულობა 445 გიგავატამდე 2050 წლისათვის, რაც საერთო მოხმარების მოცულობის 35%-ს შეადგენს მომავალში. მთავარი აქცენტი კვლავ ქარისა და მზის სანარმოებზეა გაკეთებულია, რომელთაც უნდა აწარმოონ 300 გიგავატამდე მოცულობის ენერჯია და განლაგებული უნდა იყოს შორეულ ჩრდილო-დასავლეთში, რაც ტარას უდაბნოს წარმოადგენს. ასევე, 55 გიგავატი წარმოებული იქნება ოთხი რეგიონიდან, რომლებიც უკვე ფლობენ ქარის უმაღლეს მოცულობას. ესენია თამილ ნადუ, კარნატაკა, ანდჰრა პრადეში და მაჰარაშტრა. უფრო მეტიც, 70 გიგავატი წარმოებული

¹ Ibid.

იქნება მზისა და ქარის უფრო პატარა პროექტებიდან და 30 გიგა-ვატი – სხვა ქვეყნებში არსებული ქარის საწარმოებიდან.¹

ეს შორს მიმავალი გეგმებია და უფრო მეტად ყურადღება გამახვილებულია მეგა აღჭურვილობა-დანადგარებზე, რომლებიც განლაგებულია თითქმის იგივე არეალში. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია არსობრივად შედეგიანია, მან შეიძლება დროდადრო წამოჭრას სხვადასხვაგვარი პრობლემა და დასახული მიზნების განხორციელება ვერ მოახერხოს.

¹ **Power Grid Corporation India Ltd. (2013), Desert Power India – 2050.** Available from: https://www.powergridindia.com/_layouts/PowerGrid/WriteReadData/file/ourBusiness/SmartGrid/desert_power_india.pdf [Accessed: April 30, 2015].

6. განახლებადი ენერგეტიკული რესურსების (RES-ის) მეთვალყურეები

მიუხედავად იმისა, რომ დაბინძურების ძირითადი ნაწილი, რომელიც ქვანახშირსა და გლობალურ კლიმატურ ცვლილებებს ეყრდნობა, ინდოეთს ასევე აქვს ზოგიერთი განსაკუთრებული მიზეზი იმისათვის, რომ უფრო მდგრადი ენერგეტიკული მიქსი აირჩიოს.


ძირითადი მიზეზი ინდოეთის მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა ენერგეტიკულ იმპორტზე, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 30%-ს შეადგენს და ეს რიცხვი მუდმივად იზრდება. იმპორტზე დამოკიდებულება გავლენას მხოლოდ მათ ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე კი არ ახდენს, არამედ ის სამთავრობო ბიუჯეტზე უზარმაზარ დატვირთვას წარმოადგენს.¹ ინდოეთის მთავრობა ამჟამად ხარჯავს ყოველწლიურად €136 მილიარდს ენერგეტიკულ იმპორტზე, რაც ქვეყნის GDP-ის 7,5%-ს შეადგენს.² იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებამ შესაძლოა დიდი ცვლილება გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკაში.

გარდა ამისა, ინდოეთი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვანახშირზე. ეს არა მხოლოდ ჰაერის ფართომასშტაბიან დაბინძურებას იწვევს, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე სხვადასხვა კუთხით. ინდოეთში ენერგეტიკული სიღარიბის მაღალი ნიშნულის გამო, ბევრი ადამიანი კვლავ ქვანახშირს იყენებს საკვების მოსამზადებლად და გასათბობად, რასაც მიყვავართ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემებამდე, განსაკუთრებით სასოფლო რე-

¹ 12 International Energy Agency (2015), India: Balances. Available from: <http://www.iea.org/statistics/statisticssearch/report/?country=India&product=balances&year=2012> [Accessed: April 30, 2015].

² Bhaskar, Uptal (2014), Budget Stresses on Clean Energy Resources, Live Mint.

Climate Change Performance Index 2016 • Overall Results



გრაფა 5. კლიმატური ცვლილებები 2016 წლისთვის
<http://www.rappler.com/science-nature/environment/113064-philippines-2016-climate-change-vulnerability-index>

გიონებში.¹ უფრო მეტიც, ინდოეთში ქვანახშირის წარმოება, არა-ეფექტურობისა და ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, მუდმივად სირთულეებს უკავშირდებოდა, რის გამოც იგი იმპორტზეა დამოკიდებული, მიუხედავად მნიშვნელოვანი ჭარბი ადგილობრივი რესურსებისა.²

¹ Climate Group (2015), The Business Case for Off-Grid Renewables in India.
² Apart from logistical problems, the Modi administration is currently also investigating corruption in coal tenders, which has brought to light many systemic issues in the sector. For more info, see: Crabtree, James (2015), India's former leader Manmohan Singh summoned in coal block probe, Financial Times, 11 March. Available at: <http://www.ft.com/intl/cms/s/0/d23b8988c7be-11e4-9226-00144feab7de.html?siteedition=intl#axzz3U41bqNVu> [Accessed: April 30, 2015].

ინდოეთმა ბოლო ხანებში გააცნობიერა კლიმატის ცვლილებით გამონვეული საფრთხეები. ქვეყნის მთავრობისათვის კლიმატის მიმდინარე ცვლილებები აუცილებლად მოსაგვარებელ საკითხს წარმოადგენს. ყველაზე საგანგაშოა შეფასებები, მაგალითად, “Maplecroft Climate Change Vulnerability Index”, რომლის მიხედვითაც, ინდოეთი არის ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ქვეყანა მსოფლიოში, როცა საქმე კლიმატის ცვლილების გვერდით მოვლენებს ეხება.¹

ამის ძირითადი მიზეზია გაუდაბნობა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან დაკავშირებით არსებული დანაკარგი, რაც ემატება საკვების ნაკლებობასა და წყალდიდობის საშიშროებებს, რადგანაც მოსახლეობის დიდი ნაწილი დატბორვის საფრთხის მქონე ზონაში ცხოვრობს.²

ზემოთ აღნიშნული მიზეზები ნამდვილად თვალსაჩინო ფაქტორების ნაწილია, რომლებიც აიძულებს ინდოეთს განავითაროს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების სფერო. პირველ რიგში, RES-ის განვითარება დაკავშირებულია სამუშაო ადგილების განვითარებასთან და მიჩნეულია, რომ 2014 წელს ქვეყანაში 70 000 სამუშაო ადგილის შექმნა პირდაპირ განახლებად ენერგეტიკულ რესურსებს უკავშირდება.³ მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ RES კარგად ერგება ინდოეთში არსებულ მდგომარეობის სპეციფიკას. ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორცაა ინდოეთი, წარმოების განვითარების საუკეთესო გამოსავალი

¹ Verisk Maplecroft (2014), Climate Change and Environmental Risk Atlas 2015. Available at: <http://maplecroft.com/portfolio/new-analysis/2014/10/29/climate-change-and-lack-food-security-multiPLY-risks-conflict-and-civil-unrest-32-countries-maplecroft/> [Accessed: April 30, 2015].


² Ibid.

³ 19 Jaiswal, Anjali (2014), New Report Series: India’s Burgeoning Solar and Wind Energy Markets Jumpstarting Job Growth, witchboard, Natural REsources Defense Council. Available at: http://switchboard.nrdc.org/blogs/ajaiswal/ew_report_series_indias_burge.html [Accessed: April 30, 2015].

იქნება ენერგეტიკულად ღარიბი რეგიონებისათვის გადანაწილება. სამწუხაროდ მათი დაკავშირება მთავარ მაგისტრალთან დიდ სირთულეებს წარმოადგენს.

6.1. პოლიტიკა და დაგეგმვა

ინდოეთს ამჟამინდელი ბიუჯეტის 14,5 მილიარდი ევრო აქვს გამოყოფილი RES-ისთვის, რომელიც პრემიერ მინისტრ მანმოჰან სინგის (Manmohan Singh – the Prime Minister of India from 2004 to 2014) ბიუჯეტზე 25%-ით მეტია. ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი მოხ-



რუკა 28. ინდოეთის ულტრა მეგა ელექტრო სადგურები
<https://knowpowernews.wordpress.com/>

მარდება მეგა ქარისა და მზის ფერმების მშენებლობას.¹ გარდა ამისა, ნარენდრა მოდის (ინდ. ახლანდელი პრემიერ-მინისტრი) მთავრობამ გაზარდა მოსაკრებელი ნახშირზე, რომელიც 0.75 ევროდან 1.50 ევრომდე გაიზარდა თითო ტონაზე. შემოსავალი მიიღება მოცემული დამატებითი მოსაკრებლებიდან, რომლებიც მოხმარებულ იქნება RES-ის პროექტების დასაფინანსებლად.² ნახშირის მოსაკრებლისგან განსხვავებით, საბაჟო მოსაკრებლები მზის პანელებისა და ქარის ტურბინების ნაწილებზე შემცირებულია 10%-დან 5%-მდე³.

ინდოეთის RES-ის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის „მწვანე დერეფნების“ განვითარება, რომელიც არის მანმოჰან სინგის ეპოქის გადმონაშთი.⁴ ეს პროექტი კონცენტრირებულია ელექტროენერჯის ტრანზიტზე და შექმნილია ადგილობრივი ბაზრისათვის. ეს არის ინდოეთის მთავრობის განგრძობითი საკითხი, სადაც (mega thermal power plants) მეგა თერმული სადგურები მიიჩნევა თაობის უნარიანობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, რომელიც ხშირად ვერ აღწევს ბაზარზე.

ბოლო დროს, ინდოეთში ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საუკეთესო შესაძლო კლიმატის ინვესტიციას RES-ს სფეროში. მართალია, ინდოეთი აღიქმება, როგორც შედარებით საიმედო ინვესტორად, მაგრამ არსებობს ბევრი დაბრკოლება უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისგან (**FDI -Foreign Direct Investment**). მიუხედავად ამისა, ენერჯის ინვესტიციის თვალსაზრისით, RES-ის სექტორი არის აბსოლუტურად „სტუმართმოყვარე“ საერთაშორისო ინვესტორებისათვის. მაგალითად, გარდა ჩვეულებრივი წახალისებისა, როგორცაა შესაძლებელი ტარიფები და

¹ Bhaskar, Uptal (2014), Budget StRESses on Clean Energy RESources, Live Mint.

² Climate Group (2015), The Business Case for Off-Grid Renewables in India.

³ Bhaskar, Uptal (2014), Budget StRESses on Clean Energy RESources, Live Mint.

⁴ Bhaskar, Uptal (2014), Power Grid Corporation India Ltd. (2012), Report on Green Energy Corridors. Available at: <http://re.indiaenvironmentportal.org.in/files/file/Report-Green%20Energy%20corridor.pdf> [Accessed: April 30, 2015].

ფისკალური ნახალისებები, RES არის ენერჯის ერთადერთი სექტორი, სადაც FDI 100%-ით შესაძლებელია და ის ასევე მუშაობს „შენება, ფლობა, მუშაობა“ დევიზით.¹ ეს ნიშნავს, რომ ნებადართულია RES-ის ინვესტიორების ღირებულებათა ყოველი ნაწილის კონტროლი, რაც ინვესტირებას უფრო მეტად მიმზიდველს ხდის.

6.2. შეფასება: პრობლემები

მიუხედავად ნარენდრა მოდის მთავრობის აშკარა ვალდებულებებისა, რომ გადაიდგას უფრო მდგრადი ნაბიჯები გაძლიერებული ეკონომიკის მიმართულებით, შეიქმნას მრავალი მოტივაცია და დაიხვეწოს სტრატეგიები, გარკვეული პოლიტიკის განხორციელება ჯერჯერობით კვლავ პრობლემად რჩება. მოდის გეგმები გლობალურად მოწონებულია, მაგრამ არის მიზეზები, რომლითაც ინდოეთის „მწვანე მომავალის“ საკითხი კვლავ ეჭვის ქვეშ დგება.

ერთ-ერთი უდიდესი პრობლემური საკითხი ამჟამინდელ სტრატეგიებთან დაკავშირებით არის ბიუჯეტის ნაკლებობა. თუმცა ახლანდელმა მთავრობამ RES-ის განვითარებისათვის გამოყო 14.5 მილიარდი ევრო, მრავალი ექსპერტის მიერ ეს მაინც მეტისმეტად მოკრძალებულად მოიაზრება. (GW) გიგავატის მზის ენერჯის მშენებლობის ღირებულება შეადგენს 1 მილიარდ ევროს, რაც ინდოეთისათვის ნაკლებად შესაძლებელს ხდის ამ მიზნის განხორციელებას.² მაშასადამე, ბევრი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ბიუჯეტში სულ ცოტა ათჯერადი ზრდა არის საჭირო³. <http://>

¹ KPMG (2014), India: Taxes and incentives for renewable energy. Available at: <http://www.kpmg.com/global/en/issuesandinsights/articlespublications/taxes-and-incentives-for-renewable-energy/pages/india.aspx> [Accessed: April 30, 2015].

² IRENA (2015), Renewable Power Generation Costs in 2014. Available at: http://www.irena.org/DocumentDownloads/Publications/IRENA_RE_Power_Costs_2014_report.pdf [Accessed: April 30, 2015].

³ Ravindran, S. (2014), India's Push for Renewable Energy: Is It Enough?, National Geographic. Available at: <http://news.nationalgeographic.com/news/energy/2014/09/140919-india-modi-renewable-energy-science-world-wind-solar/> [Accessed: April 30, 2015].

www.nationmaster.com/country-info/stats/Economy/Budget/Revenues – (მსოფლიო ქვეყნების ბიუჯეტი 2013 წლისთვის).

მეორე მხრივ, თუმცა, ადგილზე არის მეტი საგადასახადო შემოსავლების მექანიზმები განახლებისათვის, დაფინანსებები ყოველთვის სწორად არაა განაწილებული. “Economic Times”-ზე დაყრდნობით, შეგროვებული გადასახადის მხოლოდ ერთი პროცენტი განაწილდა RES-ში წინა მთავრობის მმართველობის დროს და მოდიმ ასევე გამოააშკარავა გეგმები, რაც მოიცავდა ფულის გამოყენებას ახალი და განახლებადი ენერჯის სამინისტროდან, რომელიც გამოიყენებოდა მდინარე განგის გასაწმენდად. იგულისხმება, რომ მოხდება დაფინანსებების საეჭვო გადანაწილება¹.

შემდეგი პრობლემატური საკითხი ეხება მიზანმიმართული RES-ის საშუალებების ადგილმდებარეობასა და ზომას. ერთ-ერთი ფაქტორი ყურადღებას ამახვილებს მეგა თერმულ სადგურებზე, რომელიც გადანაწილებულია ფართო ტერიტორიებზე და დღესდღეობით უკვე არსებობს ენერჯის მინოდების პრობლემა და ნაკლებობა მომხარებლებისთვის.² მეგა თერმულ სადგურებს ენერჯის გაზრდისათვის სჭირდებათ წლები, როდესაც შედარებით მცირე ზომის სადგურებიც მოთხოვნას აკმაყოფილებენ ბევრად უფრო სწრაფად.³ ყველა ეს ფაქტორი მთლიანობაში გვთავაზობს, რომ თუკი მწვანე დერეფნები იქნება შეკეთებული იმისათვის, რომ მივანდოთ ენერჯია ადგილობრივ ბაზარს, მათი უმეტესობა მაინც იმავე ტერიტორიაზე იქნება, რაც ჩამოიტოვებს დარჩენილ ინდოეთს უკან⁴.

ეს ყველაფერი გამძაფრებულია ეფექტური კანონმდებლობის სერიოზული ნაკლებობით. მაგალითად, ვხვდებით შეუსაბამობებს ეროვნულ და რეგიონულ კანონმდებლობებს შორის, რაც

¹ Ibid.

² Climate Group (2015), The Business Case for Off-Grid Renewables in India.

³ Ravindran, S. (2014), India’s Push for Renewable Energy: Is It Enough?

⁴ Climate Group (2015), The Business Case for Off-Grid Renewables in India.



სურათი 4. მდინარე განგის დღევანდელი სახე
<http://indiapollutionproject.weebly.com/ganges-river-pollution.html>

დაკავშირებულია RES-ისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენებაზე. დღესდღეობით, ჯერ კიდევ დაუდგენელია შესაძლებელია თუ არა სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება RES-ის პროექტებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მზის ენერჯის პროექტების მიმართაც კანონმდებლობა არ არსებობს. როგორც “Welspun Energy”-ის – ახალი დელის დამოუკიდებელი საზოგადო კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი – ვინეტ მიტტალი აღნიშნავს, „მონაცემთა ბაზა არ არის შექმნილი. არ ვიცით, სად არის სახურავის მზის პანელების ზედაპირები. არ გვაქვს არანაირი სტრატეგია ან საკანონმდებლო ბაზა მზის ენერჯის პანელებთან დაკავშირებით. სახურავზე ინსტალაცია, მათი დამტკიცებები და წვდომა კანონებზე არ არის კონსტიტუციის მიერ განსაზღვრული“.¹ ასევე, ქარის განვითარებასთან დაკავშირებით არის კვლევების ნაკლებობა. ქარის

¹ Parvaiz, Athar (2015), India’s Tough Renewable Targets, SciDevNet. Available at: <http://www.scidev.net/south-asia/environment/news/india-s-tough-renewable-energy-targets.html> [Accessed: April 30, 2015].

ნიმუშები ისევე, როგორც ელექტრო-ქსელის ინფრასტრუქტურა, იმისათვის რომ მოაწოდოს ზეგეგმითი ენერჯის რაოდენობა არის არასაკმარისად გამოკვლეული.¹

სხვა პრობლემები ბევრად უფრო სისტემური და ჩახლართულია, შესაბამისად რთულად მოსაგვარებელიც.

RES-ში ინვესტორების ჩართულობის პროცესი ნელა მიმდინარეობს. ბევრი კერძო ინვესტორი არასტაბილურად მიიჩნევს როგორც ინდოეთის საინვესტიციო კლიმატს, ასევე საბაზრო დეტალურ ანგარიშს. იმ ფაქტის გარდა, რომ ინდოეთის ეკონომიკა კვლავ არასტაბილურია, სექტორიც სტატიკურია. ამ ფაქტს მივყავართ საშიშროებისკენ, რომ იმ დროისათვის, როცა გარკვეული მეგაპროექტები დასრულდება, ტექნოლოგია უკვე მოძველებული იქნება². რაც შეეხება საჯარო დაფინანსებას, მრავალ საჯარო ფინანსურ ინსტიტუტებს აქვს დაფინანსებული თერმული ენერჯია, რომელიც შემოთავაზებული და დამტკიცებული იყო მანმოჰან სინგჰის მთავრობის პერიოდში (2008-2013) და თავს იკავებს ახალ პროექტებზე გადასვლისკენ³.

ასევე არის ღირებულების პრობლემა. მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი) ერთ სულ მოსახლეზე არის 1,500 ევროზე ნაკლები ნელინადში, რაც ინვეს ენერჯიაზე ფასების კლების აუცილებლობას ინდოეთში⁴. ეს გულისხმობს, რომ ბევრად უფრო მეტი ღირებულების პროექტები შექმნიდნენ სუბსიდირების საჭიროებას, რაც იმპორტის ხარჯების შემცირების უპირატესობას გააბათილებდა, რადგან მოხდებოდა განახლებადი რესურსებით შეცვლა.

საბოლოოდ, მინის სიმწირე არის სერიოზული საკითხი. გარდა კანონმდებლობაში სხვადასხვა მთავრობის დონეებს შორის შეუსა-

¹ Ibid.

² Ibid.

³ Ibid.

⁴ World Bank (2015), Data: India. Available from: <http://data.worldbank.org/country/india> [Accessed: April 30, 2015].

ბამობისა მიწის შთანთქმის თაობაზე არსებობს პროექტები, რომლებიც გაუქმდა გარემოს დაცვის პრობლემების გამო. ცნობილი მაგალითია უდაბნო თარის (Thar) მზის პროექტი, რომელიც იქნებოდა მზის ენერჯისგან წარმოშობილი რესურსის უდიდესი კაპიტალი მსოფლიოში 4 GW უნარით. პროექტი შეჩერდა ჩიტების მიგრაციისა და ბუნების ჭარბტენიან რეზერვთან სიახლოვის გამო.¹

მიწის სიმწირის გამო, სხვა არცერთი ადგილმდებარეობა არ იქნა ნაპოვნი. მიწის ნაკლებობა ასევე ხაზგასმულია სამხედრო და ეროვნულ მთავრობათა მოხსენებებში. ეროვნულმა მთავრობამ სცადა ვაკანტური სამხედრო მიწის შეძენა RES-ის განვითარების მიზნით, მაგრამ სამხედრო მთავრობამ მიწის სიმწირის მოტივით, იუარა ეს ინიციატივა².

6.3. შეფასება: დადებითი

ინდოეთის გზა RES-ის მძიმე ეკონომიკისაკენ არ იქნება იოლი. ამბიციური გეგმები არ ფარავს იმ ფაქტს, რომ კვლავ არის მრავალი პრობლემა და არასტაბილურობა დაკავშირებული RES-ის განვითარებასთან. განსაკუთრებულად შერჩეულმა სტრატეგიებმა, ნათელი და ლეგალური ეკონომიკური ჩარჩოს ნაკლებობამ, სისტემურმა საკითხებმა, როგორცაა მიწის სიმწირე და მოსახლეობისთვის მაღალი გადასახადების დაწესებამ, შეიძლება დააკნინოს RES-ის პოტენციალი. მიუხედავად ამისა, არის რამდენიმე დადებითი განვითარების გეგმა და თუ ინდოეთის მთავრობა ჭკვიანურად იმოქმედებს, შესაძლოა, მიაღწიოს საკუთარ მიზნებს.

RES-ის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ასპექტი არის მიმდინარე მცირე მოცულობის ჰელიო ენერჯის პროექტების ზრდა.

¹ Saket, S. (2014), India's plan for world's largest solar farm may stumble over wetlands, The Guardian. Available at: <http://www.theguardian.com/environment/2014/feb/11/india-worlds-largest-solar-farm-wetlands> [Accessed: April 30, 2015].

² Ranjan, A. (2014), Can't Spare Land for Solar Power: MoD, Indian ExpRESs. Available at: <http://indianexpRESs.com/article/india/india-others/cant-spareland-for-solar-power-mod/> [Accessed: April 30, 2015].



სურათი 5. ტკბილეულის მწარმოებელი ჰალდირამის ქარხანა ნანგპური/ინდოეთი

https://commons.wikimedia.org/wiki/File:Haldiram%27s - Teghoria - Kolkata_2012-04-11_9423.JPG

მაგალითად, ამერიკული მზის პანელის კომპანია “First Solar” ინდოეთში მუშაობს რამდენიმე დიდ კორპორაციასთან ერთად (როგორცაა: Microsoft India and Cisco).¹

RES-ის პოტენციალის განვითარების კიდევ ერთი კარგი მაგალითია ინდური საკვები პროდუქტების წამყვანი კომპანია Haldiram.

თავდაპირველად ამ კომპანიამ დაიწყო მზის პანელების რამოდენიმე ქარხნით, ახლა კი მონაწილეობას იღებს მთავრობის ტენდერებში იმ მიზნით, რომ განავითაროს მზის კაპიტალი.² ამის მსგავსად, ინდოეთის რკინიგზამ, რომელიც არის ელექტროენერჯის უდიდესი მომხმარებელი ქვეყანაში, გამოაცხადა, რომ ისინი

¹ Upadhyay, Anand (2015), First Solar Looks to Cash in on the Green Mood in India, Clean Technica. Available at: http://cleantechnica.com/2015/03/17/first-solar-looks-cash-green-mood-india/?utm_source=dlvr.it&utm_medium=twitter [Accessed: April 30, 2015].

² Upadhyay, Anand (2014), Snack Major to Stock Broker – Everyone Joins Telangana Solar Party, Clean Technica. Available at: <http://cleantechnica.com/2014/11/20/snack-major-stock-broker-everyone-joins-telangana-solar-party/> [Accessed: April 30, 2015].

გადაანალიზებენ 1 მილიარდ ევროს RES-ის განვითარებისათვის იმ მიზნით, რომ ენერჯია მიაწოდონ არა მხოლოდ მატარებლებს, არამედ სასოფლო რაიონებში მატარებლის სადგურებსაც. შესაბამისად, ეს უზრუნველყოფს მცირე ზომის სოფლებს სტაბილური ენერჯით.¹

გარდა ამისა, RES-ის დეცენტრალიზებულმა ბაზარმა აჩვენა საოცარი ზრდა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე და ამჟამად 40-ზე მეტი კომპანია არის ჩართული მზის ფანჯრებისა და მცირე ზომის მზის სახლების სისტემის განვითარებაში. კლიმატის ჯგუფის ანგარიშზე დაყრდნობით, რომელიც გაკეთდა Goldman Sachs-თან თანამშრომლობისას, მზის ფანჯრების გაყიდვა მსოფლიო მასშტაბით 2018 წლისათვის შეადგენს 35%-ს.

6.4. დასკვნა

მოსალოდნელია, რომ ინდოეთი გადავა უფრო მეტად მყარ და სტაბილურ ენერჯის მოდელზე. სტაბილური ენერჯის მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით კი, გზაზე ძალიან ბევრი პოტენციური დაბრკოლებაა. კონკრეტულად საკანონმდებლო და ეკონომიკური სფეროების სრულყოფილების ნაკლებობა. აგრეთვე ინდოეთი ჯერ კიდევ მოიაზრება ინვესტირების მიმართულებით როგორც არასანდო პარტნიორი, რასაც ერთვის მიწაზე და სახურავებზე მზის პანელის დაყენებაზე ლიცენზიის გაცემის და საკანონმდებლო ბაზის არარსებობა. პრობლემატურია ის მხარეც, რომ მთავრობის მიერ გადაანალიზებული დაფინანსება ჯერჯერობით არ არის საკმარისი RES-ის ამბიციების განხორციელებისათვის.

მიუხედავად ამისა, ყველა იმედი არ არის გადაწურული. თუ ინდოეთი შეძლებს, მიაღწიოს საბოლოოდ დახვეწოს კანონმდებ-

¹ Climate Group (2015), Railways Essential to Sustainable Prosperity in India Says Minister Prahbu. Available at: <http://www.theclimategroup.org/what-we-do/news-and-blogs/railways-essential-to-sustainable-prosperity-in-india-says-minister-prahbu/> [Accessed: April 30, 2015].

ლობა, ჩაატაროს კვლევა RES-ის სფეროში, წაახალისოს მცირე ზომის სკალები, წინ წამოსწიოს ინიციატივები მეგა პროექტებთან დაკავშირებით, მაშინ ინდოეთი მოახერხებს, გახდეს RES-ის უდიდესი მოთამაშე. მზადყოფნა, ამბიციები და მიზანდასახულობა უკვე სახეზეა, ახლა დროა მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება ქვეყნის საჭიროებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.thehindu.com/news/international/groundbreaking-for-TAPI-project-on-december-13/article7978148.ece> – TAPI-ის ინოვაციური პროექტი.
2. http://www.azernews.az/oil_and_gas/102297.html – დიდი ინვესტიციები TAPI-ის პროექტში.
3. <http://www.turkmenistan.ru/en/articles/17490.html> – შეხვედრა აშხაბადში.
4. <https://www.adb.org/sites/default/files/project-document/73061/44463-013-reg-tar.pdf> TAPI-ის პროექტის მესამე ფაზა.
5. <http://www.irs.org.pk/spapril12.pdf> – IPI და TAPI-ის პროექტები „ახალი დიდი თამაშები“.
6. Pepe Escobar, (2010), “Pipelineistan’s New Silk Road”, 18 ნომბერი 2011.
7. [file:///C:/Users/Student/Downloads/examining-the-TAPI-pipeline-and-its-impact-on-regional-and-cross-regional-rivalry%20\(2\).pdf](file:///C:/Users/Student/Downloads/examining-the-TAPI-pipeline-and-its-impact-on-regional-and-cross-regional-rivalry%20(2).pdf) – TAPI-ის პროექტის გავლენა რეგიონულ ჩარჩოში.
8. https://csis-prod.s3.amazonaws.com/s3fs-public/legacy_files/files/attachments/140606_TAPI_naturalgasPPT_0.pdf – TAPI-ბუნებრივი გაზის მილსადენი.
9. http://articles.economictimes.indiatimes.com/2012-04-26/news/31410262_1_hajigak-iron-ore-deposits-shortlisted-private-players 11 –The Economic Times, “SAIL, Nalco and JSP among 6 Indian companies in race for Afghan mines”, published on 26 April 2012, retrieved on 17 December 2012.

10. <http://www.cacianalyst.org/?q=node/5392> – Gulshan Sachdeva, „ავ-ღანეთისა და პაკისტანის სავაჭრო და სატრანზიტო შეთან-ბმება“, published on 1 September 2010, retrieved on 15 December 2012.
11. https://www.iea.org/publications/freepublications/publication/IDR_EasternEuropeCaucasus_2015.pdf – International Energy Agency, „აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია და ცენტრალური აზია“, 2015, p.173.
12. <http://www.thediplomat.com/2016/06/india-and-bhutan-cross-country-power-connectivity> – The Diplomat, „ინდოეთი და ბუტანი: დაკავშირება“, June 30, 2016.
13. https://af.boell.org/sites/default/files/TAPI_eng.pdf – TAPI – უსაფრთხოების პოლიტიკა რეგიონში.
14. <http://paleopolis.rediris.es/cg/PARTEX/acronyms.pdf> – გაზის და ნავთობის პარტეჟი.
15. http://russiancouncil.ru/en/inner/?id_4=7952#comments – თურქ-მენეთის გეოპოლიტიკური კოზირი.
16. <http://www.iranreview.org/content/Documents/Iran-s-Foreign-Policy-in-2016.htm> – ირანის 2016 წლის საგარეო პოლიტიკა.
17. [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2016/593554/EPRS_BRI\(2016\)593554_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2016/593554/EPRS_BRI(2016)593554_EN.pdf) – TAPI-ის ბუნებრივი გაზის მილსადენი.
18. https://idea.usaid.gov/prepared/Analytical%20Briefers/eads_analytical_brief_05.pdf – ენერჯია ახალი აბრეშუმის გზისთვის.
19. Richard Boucher, U.S. Assistant Secretary for South and Central Asian Affairs, >Turkmenistan: Change and the Future,> Ashgabat, Turkmenistan, May 29, 2008. <http://www.state.gov/p/sca/rls/2008/105714.htm>

20. “Energy crisis forces India to join Iran gas pipeline project”, Dawn, Pakistan, 26 April 2008. <http://www.dawn.com/2008/04/26/top1.htm>
21. Financial Express, GAIL to lay TAPI pipeline, India, 28 April 2008. <http://www.financialexpress.com/news/GAIL-to-lay-TAPI-pipeline/302677/>
22. https://www.policyalternatives.ca/sites/default/files/uploads/publications/National_Office_Pubs/2008/A_Pipeline_Through_a_Troubled_Land.pdf – მილსადენი პრობლემური მიწის გავლით.
23. <http://documents.worldbank.org/curated/en/283351468170975849/pdf/832500PADOP145010Box382156B00UO090.pdf> – სტრატეგიული კონტექსტი.



დიმიტრი დოლაბერიძე
Dimitri Dolaberidze

დაიბადა 1977 წლის 14 იანვარს, ქალაქ თბილისში. სოციალური გეოგრაფიის დეპარტამენტის დოქტორანტი. 2001 წელს დაამთავრა საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურა. 2002-2003 წლებში მაგისტრატურაზე სწავლობდა ამსტერდამის თავისუფალ უნივერსიტეტში პოლიტიკური ანთროპოლოგიის ფაკულტეტზე (Erasmus EU project). 2014 წლიდან მუშაობს თსუ-ის ბაზაზე „საქართველოს კომპლექსური განვითარების კვლევის ცენტრში“ დირექტორის მოადგილედ. 2015 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მყარი ფუნდამენტი“.

Ph. D. student at Tbilisi State University, Department of Social Geography.
1999-2001 graduate of Tbilisi State University, MA in International Relations.

2002-2003 graduate of Amsterdam Free University, MA in Political Anthropology.

Expert of Eurasian Oil and Gas pipeline projects.

In 2015 he published the book ‘Baku-Tbilisi-Kars Railway as a Sustainable Foundation for the Silk Road’.

2014 to present, Deputy-Director of the Georgian Complex Development Research Center at Tbilisi State University.

| | |
|-------------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის რედაქტორი | მაია ეჯიბია |
| გარეკანის დიზაინი | მარიამ ებრალიძე |
| კომპ. უზრუნველყოფა | ლალი კურდღელაშვილი |
| გამოცემის მენეჯერი | მარიაკა ერქომაიშვილი |

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tshavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: 995(32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge